მეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი



8 (05)
გ 20

III **მ ა რ ტ ი** III



აპრილის ნომერთან წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ
„მრავალჟამიერი“ მუსიკა ანდრია ყარაშვილისა

**შინაარსი:** 1) ფსიხოლოგია პედაგოგთათვის (ოტტო ლიპმანი) **ლ. ბოცვაძე.** 2) ბუნება და სამკურნალო მეცნიერება, ჰიგიენა (წერილი მეშვიდე)—**ილია ალხაზიშვილი.** 3) მინერალი ქიმია—**ნ. ჯანაშია.** 4) შემეცნების საზღვართა საკითხი (თარგმანი მაქს ფერვორნიდან)—**დ. ქადაგიძე.** 5) სიტყვა აკაკის გარდაცვალების ორმოცის თავზე—**ეპისკოპოსი ლეონიდი.** 6) სიტყვა აკაკის გარდაცვალების გამო წარმოთქმული პანაშვიდის წინ ქ. გეორგიევსკში—**მღვდლის გ. ხაჟომიას მიერ.** 7) აკაკის ხსოვნას—**ლადო ბზვანელი.** 8) საქართველოს მზეს!..—**ს. ტაიფუნი.** 9) ლოდინი—**კიკნა ფშაველა.** 10) შორის ძახილი—**გელა.** 11) დაკარგულ ვარსკვლავს—**ილ. გოგია.** 12. ზღვის სურთქვა—**ფასკუნჯი.** 13) მე—**ა. ფანცულაია.** 14) ზამთრის მელოდია—**გ. ლეონიძე.** 15) არ ვეურჩებით, არ ვეურჩებით (სადა ლექსი)—**დ. თურდოსპირელ.** 16) ვარდი ჰყვაოდა (საკსაგონს-კეიოსი)—**ლ. ძიძიგური.** 17) მეც ვქვითინებ.. **დ. თურდოსპირელი.** 18) მაგდალინელი—**მიხ. ბოჭორიშვილი.** 19) ,,ის მხარე“—**მიწიშვილი.** 20) ცხოვრების პირველ საფეხურზე (ფსიხოლოგიური ეტიუდი)—**კ. ხუვისუბნელი.** 21) თავ. გრიგოლ ორბელიანი და მისი პოეზია (ცხოვრების აღწერა)—**ილ. ფერაძე.** 22) ერის სულის ჯალათები—**ია ნარიძე.** 23) ,,შადრევანის‘‘ რედაქციას და ბ-ნი პ. ჯაფარიძე (პასუხის პასუხი)—**ლ. ბოცვაძე.** 24) ქართული ენა და სამეცნიერო ტერმინოლოგია—**ილ. ალხაზიშვილი.** 25) წერილი რედაქციის მიმართ. 26) განცხ.

**დამატება:** 1) ოქმი ქარ. შორის წერა-კით. გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა წლიური კრებისა, ნოემბრის 30 და დეკემბრის 7 1914 წ. (დასასრული). 2) ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოების 1915 წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ანგარიში.

---

## რედაქციას ჰყავს აგენტები შემდეგ ადგილებში:

**კავკავში**—ქართული სკოლა გრ. მაჭავარიანი. **ბაქოში**—ალ. ერაზ. გვარამაძისა, მეთ. კაკაბაძე და ილია გოგია. **ბანძაში**—ესტატე მონიავა. **თელავში**—ნინო გოგნიაშვილისა და წერა-კითხვის წიგნის მაღაზიაში. **გორში**—ნინო ანტ. ლომოურის ასული, **ყვირილაში**—სიმონ ორჯონიკიძე. **ჭიათურაში**—ი. გომელაური, **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძე, ლადო ბზვანელი და ლაზ. ხმალაძე. **სამტრედიაში**—წ. კ. საზ. კიოსკში. მინა კოპალეიშვილი. **ხონში**—ვლადიმერ ნადარეიშვილი. **ახალ-სენაკში**—სპ. ენუქიძე. **აბაშაში**—ვასილ ქობულია, ძველ-სენაკში—პოლ. ლორთქიფანიძე და გ. ბოკერია, **ფოთში**—მღ. ლ. წულაძე და იასონ ალექსიშვილი. **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადი“ გ. მახარაძე და ტრიფ. ინასარიძე, **ლანჩხუთში**—პლატონ იმნაძე და კალინიკე ქლენტი. **ახალციხეში**—კოტე გვარამაძე. **სიღნაღში**—წერა-კით. საზ. განყ. წიგნის მაღაზიაში—ი. კრაწაშვილი და ,,კახეთის ხმის‘‘ რედაქციაში—კ. ტყავაძე. **ოზურგეთში**—პარმენ თოთიბაძე. **სოხუმში**—ნიკო ჯანაშია. **ჩოხატაურში**—ს. თავათრქილაძე და ბართლომე მეგრელიძე (ხიდისთავში). **ონში**—რაისა ჯაფარიძე, **განჯაში**—ლუკა ხარაძე, **ზუგდიდში**—უფასო სამკითხველოში. **როსტოვში**—სტ. სვ. ელიაძე. **ხაშურში**—გ. ნ. იოსელიანი. **ზაქათალაში**—გრ. ქლენტი, **ნაოლალევში**—არჩილ სულავა და ურვან რევია, **სადმელში**—ვარ. ბახთაძე, **გაგრაში**—იოილ მაისურაძე.

საჭიროა აგენტები სხვა ადგილებშიც. რედაქცია სთხოვს ყველას, ვინც იკისრებს ამ საქმეს და დაგვეხმარება ჟურნალის გავრცელებაში, დროზე გამოგზავნოს ხელის-მომწერთა სია და ფული.

სამეცნიერო-პედაგოგიური ⅁ სალიტერ. ჟურნალი

# განათლება

(წელიწადი მერვე)

**III** **მარტი** **1915 წ.**

| | | |
|---|---|---|
| ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან.<br>ნახევარი წლით . . . 3 მან.<br>სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მან. | ცალკე ნომრის ფასი<br>40 კაპ. | ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში" და „განათლების" რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе. |


ოტტო ლიპმანი

## ფსიხოლოგია პედაგოგთათვის

### III

მეხსიერების მოცულობა და ძალდატანება. ტენდენცია ხელახლად წარმოებისადმი. კონკრეტული წარმოდგენა. თავისი თავის წარმოდგენა. ასოციაციის კანონი. მიმდეობანი. შეუგნებელი შეგრძნობანი. ილუზიები. მოლოდინის ჰიპნოზი. მიმდეობათა სტრუქტურა (შენობა). ფანტასტიური წარმოდგენანი. მოგონების პედაგოგიკა. ასოციაცია მსგავსებით. ცნების მიღება. ბავშვის ცნებანი. ცნების გაჩენის პედაგოგიკა. აზროვნების პედაგოგიკა.

წინა წერილებში ჩვენი სულიერი ცხოვრების საინტელექტუალო ელემენტები ზერელედ გავიცანით, ახლა ვნახოთ თუ, როგორ შეიქმნება ამ ელემენტებისაგან სულის სიცოცხლის საინტელექტუალო ნაწილი ე. ი. ა) რა კანონები უძევს საფუძვლად ამ შენობას, ან რა ფუნქციები ასრულებენ პირველ ხარისხოვან როლს, ბ) და ამ ფუნქციების საშუალებით რად გადაიქცევიან ეს ელემენტები,

იმ ნიჭს, რომელიც შეგრძნობისაგან წარმოშობს წარმოდგენათ და შეგრძნობას ცოტა თუ ბევრი ხნის განცდის გავლის შემდეგაც, თუნდ შეცვლილი სახით (წარმოდგენით) სასარგებლოდა ჰქმნის, ჰქვიან **მეხსიერება**. (იმ ნიჭის შესახებ, რომელსაც ცოტა განსხვავება აქვს და „მეხსიერებადვე" იწოდება, შემდეგ გვექნება მსჯელობა). ამ ნიჭის ფარგლებში, ამ მეხსიერებაში, არკვევენ ესრედ წოდე-

ბულს დამოუკიდებელს მეხსიერებას, რომელსაც ჰქვიან მოვლენათა გამრჩევი ნიჭი და დამოკიდებულს მეხსიერებას. დახსოვნების ნიჭად იმას გულისხმობენ, რომ შეიძლება აღადგინონ ის შეგრძნობანი, რომელნიც დამოუკიდებლად განუცდია ვისმე, მაგ. შეუძლია ნათქვამი სიტყვის გამეორება; დამოკიდებულ მეხსიერებად, ანუ საზოგადოდ მეხსიერად გულისხმობენ, პირიქით, ისეთს ნიჭს, რომლის საშუალებითაც მოიგონებენ ისეთს შემთხვევებს, რომელთა შემდეგ გაუვლია მრავალ სხვა მოვლენებს, ან დიდს ხანს. შეიძლება პირველისა და მეორე მეხსიერების ძალის გაზომვა, ამისთვის გამოსაცდელ ადამიანს წარმოაშობინებენ გაღიზიანებას, მაგალითად ამღერებენ იმავე ხმას, ან მოაძებნინებენ მრავალ გაღიზიანებათა შორის, მაგ. განსაზღვრული ხმის მოძებნა კლავიატურაზე (გაღიზიანებათა პოვნის მეთოდი), ან მოაძებნინებენ დამოკიდებულებას ახალ გაღიზიანებასა და წინანდელს შორის, შეფარდებით, მაგ. ერთნაირი ხმებია, თუ ერთი მაღალია და მეორე დაბალი (პოვნის მეთოდი მსჯელობის საშუალებით). ამ მეთოდის საშუალებით დამტკიცდა, რომ შეგრძნობანი სულში უცვლელად არ ინახებიან, პირიქით დროს განმავლობაში ისინი უფრო და უფრო იცვლებიან; რომ გავყვეთ ამ ცვლილებათა დაწვრილებით დახასიათებას, ძლიერ შორს წავალთ.

საზოგადოთ მეხსიერების მუშაობის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ წარმოდგენათა განახლება (და ცნობაც) ყველაზე უფრო კარგად, ცხადად განცდის შემდეგ მაშინვე ჩნდება, ცოტა ხნის შემდეგ ეს ნიჭი თავდაპირველად სწრაფად უვარგისდება, შემდეგ-კი ნელ-ნელა.

იმის მოცულობა, თუ დამოუკიდებლად რა შეიძლება შენიშნული იქმნას, ბავშვს ნაკლები აქვს, ვიდრე მოზრდილს. აქედან დასკვნა ასეთია—ბავშვისთვის დასმული კითხვები მოკლე უნდა იყვეს, კარნახის დროსაც ერთბაშად მხოლოდ მოკლე ნარკვევები უნდა უკარნახონ. წლოვანობისა და ვარჯიშის წყალობით იმისი მოცულობაც მატულობს, რაც შეინიშნება ან სხვანაირად დამოკიდებულად შეინარჩუნებს მეხსიერება და აგრეთვე დახსოვნების ნიჭიც.

მეორე ფუნქცია ინტელექტისა, რომელსაც ახლა განვიხილავთ **ასსოციაციაა**, რომელიც აკავშირებს ცალკე ელემენტებს და გახდის ერთ მთლიანად. როცა ვამბობთ ერთი წარმოდგენა მეორეს უერთდებაო, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ რომელიმე წარმოდგენა ამ ჟამად შეგნებაში როლს ასრულებს, ჩნდება ტენდეცია მეორე წარმოდგენის აღდგენისა, ე. ი. მისი შეგნებისა. რამდენადაც ორი წარმოდგენა ერთმანეთს უფრო მტკიცედ უკავშირდება, მით უფრო ძლიერია ეს ტენდენცია, რომელიც ამ სახით ცნობილი მაშტაბია ასოციაციათა სიმტკიცისა.

უფრო მტკიცედ ისეთი წარმოდგენანი უკავშირდებიან ერთმანეთს, რომელთა შორისაც განხორციელებულია ერთისა და იმავე საგნის, ობიექტის სხვა და სხვა თვისებანი, მაგ. ვარდის ფერი და მისი სუნი. უკეთ რომ ვსთქვათ, პირიქით, რომელიმე ობიექტის წარმოდგენა, **ნივთის წარმოდგენა**, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცალკე წარმოდგენანი, რომელნიც გამოწვეულია შესაბამ შეგრძნობით **ერთად** და **ერთ დროს**, ისე მტკიცედ უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ უერთმანეთოდ წარმოუდგენელია, ცალცალკე მათი წარმოდგენა შეუძლებელია.

მაშასადამე ნივთთა წარმოდგენას ისე უნდა ვუყურებდეთ, როგორც ცალკე წარმოდგენათა კომპლექსს, რომელიც ისეთი მტკიცეა, რომ კომპლექსის შთაბეჭდილებას ვერ გვაგრძნობინებს. რასაც ჩვენ ვარდის წარმოდგენას ვუძახით, მას შევიგნებთ არა როგორც კერძო წარმოდგენათა კომპლექს. ჩვენ იქამდის მივდივართ, რომ ვარდს ვაკუთვნებთ იმ თვისებათ, რომელნიც უკვე ნაწილობრივ ჰქმნიან „ვარდის“ წარმოდგენას. ჩვენ ვიგონებთ სუბსტანციას, რომელშიაც აღვნიშნავთ კერძო თვისებებს, მაშინ როცა სუბსტანცია წარმოადგენს ჩვენი გამოჩენის ჯამს (Modi). მხოლოდ იმიტომ რომ ყველას ერთად ვერ ვჰგნებთ, შეგვიძლიან ასეთი წინადადება წარმოვსთქვათ: „ვარდს სუნი აქვს“. ამ მომენტში სუნი ჩვენ ისე უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც არა მარტო ვარდის კუთვნილი: ამასთან მხოლოდ ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ აქაც, როგორც ყოველს ფსიხიურს ცხოვრებაში, კომპლექსი ისე არ უნდა გვესმოდეს, როგორც კერძო წარმოდგენათა უბრალო ჯამი, არამედ როგორც მჭიდრო ასოციაცია; ამას ემატება კიდევ რაღაც თვისებით ახალი რამ, რომელიც ანალიზის დროს შეუმჩნეველი რჩება. ეს ეხება იმ კომპლექსაც, რომელიც, უეჭველია, ძლიერ საჭიროა ჩვენს სულიერს ცხოვრებაში, თავის თავზე წარმოდგენისათვის (Ichvorstellung), რომელსაც ერთის მხრით ისე გავიგებთ, როგორც აწინდელსა და წარსულში განცდათა ჯამს და მათს ასოციაციურს კავშირებს, და მეორეს მხრით, თვისებით-კი სრულიად შეუდარებელია სხვა ამგვარ კომპლექსებთან.

ერთ კომპლექსიურ წარმოდგენაში თავს იყრიან არა მარტო ის კერძო წარმოდგენანი, რომელნიც თავისთავად რომლისამე ობიექტის თვისებას შეიცავენ, არამედ კერძო თვისებანიც, მაგ. რომლისამე სურათის, ისტორიის, რომლისამე რთული პროცესისა წარმოგვიდგებიან როგორც მთელი რამ ე. ი. ისე მტკიცედ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ თვითოეული ისეთის მაღალის ღირსების ტენდენციით არის აღჭურვილი, რომ ერთი თვისება აუცილებლად მეორეს იწვევს.

ამ ტენდენციის ძალას წარმოებისადმი, ანუ წარმოდგენათა შორის მტკიცე ასოციაციის ხარისხს, მაგ. ორი წარმოდგენისას ა და ბ ასე ზომავენ:

1. სიხშირით, რომლითაც ა-ს მოჰყვება ბ-ს წარმოშობა, 2. ამ წარმოშობის სისწრაფით, ესრედ წოდებულ სარეპროდუქციო ან საასოციაციო დროთი.

თუ ორი წარმოდგენა **ა** და **ბ** (მაგ., „მამა“ და „დედა“) ერთმანეთს უკავშირდებოდა, მაშინ რეპროდუქცია **ბ** (წარმოდგენა „დედა“) შეიძლება გამოწვეული იქმნას არა მხოლოდ წარმოდგენით **ა** (წარმოდგენა „მამა“), არამედ შეგრძნობითაც, რომელიც ამ წარმოდგენას შეესაბამება (თვითონ მამა) და შემდეგ ა-ს მსგავსი წარმოდგენითაც და ასეთისავე შეგრძნობით (მამის სურათი).

მაშასადამე საზოგადოთ ასოციაციის კანონი შეიძლება ასე გამოვხატოთ: თუ ორი შეგრძნობა **ა** და **ბ** ერთს დროს გაჩნდა, ან გაჩენით დროთი ერთმანეთს უახლოვდებიან, მაშინ შეგრძნობა **ა** და ყოველგვარი მისი მსგავსი შეგრძნობა და აგრეთვე მისი შესაბამი წარმოდგენა და ამ უკანასკნელის მსგავსი წარმოდგენაც იმ ტენდენციით არის მოცული, რომ შეგნებაში შეგრძნობა ბ-ს შესაბამი წარმოდგენა გამოიწვიოს.

მაშასადამე, ვუჭვრეტ ვარდს ე. ი. ვიღებ ფერის ცნობილს შეგრძნობათა, რომელნიც განსაზღვრულის სახით განფენილია სივრცეში, მაშინ ამ შეგრძნობათ მტკიცედ უკავშირდება სიტყვა „ვარდი“, ყნოსვითი და შეხებითი წარმოდგენა ვარდისა, რომ ისინი მაშინვე ჩნდებიან. ამისთანა კომპლექსს, შეგრძნობისა და წარმოდგენისაგან შედგენილს, მათ მიერ დამოუკიდებლად წარმოშობილს, ჰქვიან **მიმღეობა** (Wahrnehmung). ამით აიხსნება, რომ შეგრძნობა, როგორც ასეთი, არასოდეს არ ჩნდება ჩვენს შეგნებაში, რომ წმინდა შეგრძნობანი საზოგადოთ მხოლოდ ფსიხოლოგთათვის არსებობენ, რომელნიც შეგნების პროცესებს ანალიზს უკეთებენ. რაც მართლა ჩნდება ჩვენს შეგნებაში გარეგან გაღიზიანებით,—ყოველთვის მიმღეობაა.

აქ ჩავუმატებთ ორიოდე სიტყვას შეუგნებელ ფსიხიურ ცხოვრების შესახებ. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ისეთი შეგრძნობანი, რომელნიც მიმღეობად ვერ შეიქმნებიან და რომელნიც მაშასადამე შეუგნებლად რჩებიან, მაინც კვალსა სტოვებენ ფსიხიურს სფეროში, ასეთი აზრიც გამოუთქვამსთ—ფსიხიური პროცესის ეფექტისათვის სულ ერთია შეგნებულია, თუ არა. ასეთი ცდაც მოახდინეს (das Bewustwerden) რომლისამე მოვლენის ასახსნელად, რომ იგი მე-კომპლექსის (Ichkomplex) სფეროში მოჰყვება და მას უერთდება. ასეთი ასსოციაცია შეიძლება სრულიად შემთხვევით გამოჩნდეს ბოლოს და ამის წყალობით მივიღებთ შეგნებულს მოგონებას შეგრძნობის შესახებ, რომელიც წინად ვერ შეგვიგნია, მაგრამ წარმოდგენითაც შეუგნებელნი დარჩენილან და შეუძლიათ, თუ შემთხვევამ მორტანა, ჩვენს სულიერს ცხოვრებაში ესა თუ ის როლი აასრულონ, ან შეაჩერონ სხვა ასოციატიური პროცესები, ან ესა თუ ის მიმართულება მისცენ (konstellierend), მაგ. შუამავალი ასსოციაცია შეუგნებელ შუაწევრთან, მაგ., ასოციაცია: ბავშვი—[სკოლა]—სასწავლებლის სათამბირო.

ამ სახით ჩვენ დავინახეთ, რომ შეგრძნობანი, რომელნიც გამოიწვევენ იმ წარმოდგენათ, რაც უკვე გვაქვს, შეგნებულნი, მიღებულნი შეიქმნებიან, მაგრამ ასეთი შეგრძნობათა დამატება წარმოდგენებით ყოველთვის სწორი არ არის. მაგალითად ბინდისას ვხედავ რაღაც მუქს, $1^1/_2$ მეტრის სიმაღლისას, ამ შეგრძნობას უმატებ წარმოდგენებს, რომელიც კაცის შესახებ უკვე მაქვს, მაგრამ ეს „რაღაც“ ნადვილად-კი ხე არის, ე. ი. ჩემს შეგრძნობას შეუფერებელი დამატება მოჰყვა. ასეთს დამატებას ნამდვილ არსებულ შეგრძნობისადმი **ილლიუზია** ჰქვიან.

ამგვარი ილლიუზიები, აგრეთვე გალიუცინაციის მსგავსი მოტყუება გრძნობათა შეიძლება შთაგონებითაც იქმნეს გამოწვეული; უფრო დიდს როლს ასრულებს მოლოდინით შექმნილი შთაგონება. თუ რისამე შემთხვევის დაწყებას ველი, ვსთქვათ, გულისყურის მიპყრობით ველი სუსტ ხმაურობას, მაშინ ისე მოვიქცევი გონებით ამ შემთხვევის დაწყებისაკენ, რომ ხშირად მგონია შევიგენი კიდეც, თუმცა ობიექტიურად არ დაწყებულა; ან იმ სახით მივიღე და შევიგენი, როგორიც მოლოდინიც მქონდა, მაშინ როცა ობიექტიურად ეს შემთხვევა მოხდება რავდენადმე სხვანაირად.

შეგრძნობათა დამატებად ბუნებრივად ისეთი წარმოდგენები იხმარებიან, რომელთაც უფრო მტკიცე კავშირი აქვთ შესაბამ შეგრძნობასთან. ამიტომაც ხშირად შეცდომა მოგვდის ხოლმე, როცა უცნობ

საგნებს შეცდომით უეჭველებით მიჩვეულს წარმოდგენებს.

შეგრძნობათა ასეთს თვისებას — მხოლოდ მაშინ ხელახლად გამოიწვიოს წარმოდგენათა ნაწარმოები, როცა მიღებული უნდა იქნეს თვისებათა შესაბამი შეერთება, მოჰყვება არა მარტო გამდიდრება ჩვენი შემეცნებისა. პირიქით, სწორედ ამ თვისების გამო მრავალნი გაღიზიანებანი, რომელნიც ჩვენზე მოქმედებენ, უკვლოდ რჩებიან ჩვენი შემეცნებისათვის, სახელდობ ყველა ისინი, რომელთაც **იმ წუთ**ში არავითარი დამოკიდებულება აქვსთ ჩვენი შემეცნების შინაარსთან, მაშასადამე იმ წარმოდგენებთან, რომელთაც ჩვენ ამ ჟამად ვუფლობთ. ეს დამზადებული წარმოდგენები სხვა და სხვა გვარია არამც თუ პიროვნების, ინდივიდუუმის მიხედვით, არამედ დამოკიდებულია გარემოებაზედაც, მაგ იმ ცნობის გვარობაზე, რაც აქამდის დამოუკიდებლად მიგვიღია; ამიტომ ბავშვიც ზოგი სხვასაირად ითვისებს, როგორც მოზრდილი. მაშასადამე შეგრძნობანი, რომელთა შინაარსი საკმაოდ მტკიცეთ არ დაკავშირებია შესაფერ წარმოდგენათ, ძლიერ ხშირად შეუგნებელი რჩებიან. შეგრძნობათა **კომპლექსში**ც იმავე მიზეზით ცნობილი სხვაობა თითქმის ყოველთვის შეუმჩნეველი რჩება.

ზოგიერთს შემთხვევაში ჩვენი მიმღეობის ესრეთი სხვაობა მეტად მიზანშეწონილია. გამოწვეულ წარმოდგენათა გამო შეგრძნობათა კომპლექსი უფრო მოწესრიგებულია და გარკვეული (gegliedeter), ამასთან უფრო საინტერესო კერძო თვისებანი, სახელდობრ, ისინი, რომელნიც ასოციაციით გაერთიანებულია მრავალ წარმოდგენასთან, — უფრო მკვეთრად იჩენენ თავს სხვებთან შედარებით, რომელნიც, ცოტად თუ ბევრად, შეუმჩნეველნი რჩებიან, და მთელი კომპლექსი მაგალითად რომელისამე სიტყვის წარმოდგენის გამოწვევით, გარდაქმნილს მაღალს მთლიანს წარმოადგენს. მეორეს მხრით, იმაზედაც უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველს მიმღეობის დროს, როგორც ზემოთა ვსთქვით, კერძო თვისებანი გვეპარებიან, ჰქრებიან; ამ სახით ყოველს მიმღეობაში აუარებელი შეცდომის წყაროა. მით უფრო რომ არ კმარა და შემცდარია მიმღეობის შესაფერი სურათის მოგონება და მისი აღწერა.

იმ კომპლექსებში, რომელთაც ასოციაცია ჰქმნის, ჩვენ გავიცანით ჯერჯერობით მიმღეობანი და წარმოდგენათა მარტივი კომპლექსები. როგორც განსაკუთრებული სახე წარმოდგენათა კომპლექსებისა უნდა მოვიხსენოთ კიდევ **ფანტასტიური წარმოდგენანი**. წინად ვსთქვით, რომ წარმოდგენათა არსებობა უსათუოდ გულისხმობს, რომ მანამდის განუცდიათ შინაარსით მსგავსი შეგრძნობა; მაგრამ ეს წარმოდგენათა კომპლექს განსაზღვრით ეხება: მაგ. ვერა დროს და ვერას გზით ვერ წარმოვიდგენდი „წითელს“, თუ წინად არ მქონოდა წითლის შეგრძნობა, მაგრამ სრულად შემიძლია წითელ ტანისამოსში წარმოვიდგინო ის, ვინც წინად ყოველთვის ლურჯს სამოსელში მინახავს; ეს იმას ნიშნავს, რომ შემეცნებას ცალკე წარმოდგენათა გაერთიანებაში დიდი თავისუფლება აქვს. შემეცნების ესრეთი ნიჭი კომბინაციებისა საფუძველია, როგორც ბავშვის, ისე ხელოვანის ფანტაზიისა. როცა მაგალითად ზღაპრებში მოლაპარაკედ ცხოველები გამოდიან, ბავშვი მართლაც ისე წარმოიდგენს ამ ცხოველებს. ბავშვს, უეჭველია, არაოდეს არ განუცდია მთლიანი მიმღეო-

ბის სახით, მაგრამ თვითეული **კერძო** შემადგენელი ნაწილი ოდესმე ადრე განცდილი უნდა იქმნეს. იმ კაცს, ვისაც ნიჭი აქვს თავის კერძო წარმოდგენანი ახალ უცნობ, ან შეუძლებელ კომპლექსებად აქციოს, მდიდარი ფანტაზია აქვს. ფანტასტიური წარმოდგენანი ბავშვის სულიერ ცხოვრებაში დიდს როლს ასრულებენ, გაცილებით მეტს, ვიდრე მოზრდილთა სულიერს ცხოვრებაში და ეს იმ თვისების გამო, რომელიც წარმოდგენათ დასაწყისშივე თანდაყოლილი აქვსთ და რომელიც მხოლოდ ამა თუ იმ ინდივიდუუმის ცხოვრებაში მსვლელობასთან ჰქრება. ეს თვისება იმაში მდგომარეობს, რომ **ყველა** წარმოსადგენი რეალურად წარმოიდგინება. ბავშვმა ჯერ კიდევ არ იცის საზღვარი და გარჩევა რეალურ ქვეყნისა და თავის წარმოდგენათა ქვეყნის შორის, მოსაგონებელ და ფანტასტიურ წარმოდგენათა შორის. ამ გარჩევას იგი მხოლოდ მძიმე გამოცდილებით შეიგნებს. დროს განმავლობაში ეჩვევა ბავშვი თვის წარმოდგენათა კრიტიკულად გარჩევას, ე. ი. შეძენილ ცოდნათა საშუალებით ასწონ-დასწონის, არკვევს და ამ სახით ითვისებს ამ განსხვავებას. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს ამ პროცესის განვითარებას და დაეხმაროს ამაში. მან არ უნდა მოუსპოს ბავშვს ეს ძვირფასი ნიჭი, მისი ფანტაზია; არ უნდა დაფუშოს ბავშვის საიდეალო ქვეყანა და, ნუ უშლის თამაშს, მაგრამ მეორე მხრით მასწავლებელმა არ უნდა გაუღვიძოს ბავშვს ფანტაზიის ძლიერი მუშაობა, უფრო არ უნდა შექმნას საშიში წარმოდგენები მოჩვენებათა შესახების ამბებით და სხ. ამასთან საჭიროა შეაჩვიონ ბავშვი თავის ფანტაზიისა და რეალურ ქვეყნის გარჩევას: როცა ბავშვი თამაშობს, ან ოცნებობს, უნდა **იცოდეს** რას თამაშობს ან ოცნებობს, რამდენადაც ადრე მიეჩვევა ბავშვი სინამდვილისა და მოჩვენების გარჩევას, მით უფრო უზრუნველ ყოფილი იქნება იგი მწარე სიცრუისაგან, მოტყუებისაგან. როგორც მოჩვენებასა და სინამდვილეს შორის არის გარჩევა, ისე შეგვიძლია გავარჩიოთ ცოდნა და რწმენა, ამ გამორკვევიდან გამომდინარეობს აღმზრდელის მომავალი დანიშნულება. საჭიროა სასტიკად გაყოფილი იქმნას ცოდნისა და რწმენის ფარგალი: ა) არ კმარა ვიწამოთ მხოლოდ ის, რის ცოდნაც შეიძლება. რამდენადაც შესაძლებელი იქნება მასწავლებელმა არ უნდა მოითხოვოს მოწაფეთაგან, რომ მათ ავტორიტეტის ძალით სწამდეთ ესა თუ ის სამეცნიერო ჭეშმარიტება, არამედ სადაც კი შესაძლებელი იქნება დაუმტკიცოს კიდეც. ბ) არ შეიძლება იმისი დაჯერება, რაც მეცნიერების მიერ უარყოფილია. ამ ფარგალში მოჰყვება ბევრი რამ, რაც შეცდომით რელიგიის საგნად ითვლება. იმის რწმენას, რაც მეცნიერების თვალსაზრისით საეჭვოა, ცრუმორწმუნოებას ვუწოდებთ. გ) არ შეიძლება მეცნიერულად განსჯა და დადგენილების გამოტანა იმის შესახებ, რაც პრინციპიალურად შემეცნების საზღვარს გარეშეა და ეხება განსაკუთრებით სარწმუნოების სფეროს, მაშასადამე უფრო **ნამდვილ** რელიგიოზურ ღირებულებას და იდეალებს, რომელიც, რასაკვირველია, გარჩეულ უნდა იქმნეს ზემოხსენებულ ხშირად რწმენა-აღსარების ფერით შეფერადებულის „დოლმებისაგან!..

წარმოდგენათა კომპლექსები განსხვავდებიან კიდევ ზოგიერთ დამახასიათებელ თვისებებით. საზოგადოთ წარმოდგენათა კომპლექსში ჩვენ არ შეგვიძლია იმდენი

სხვა და სხვაობა გავარჩიოთ, რამდენიც შეგრძნობათა კომპლექსშია? თუ ვისმე ეუბნებიან წარმოიდგინე სახლი და მასთანვე ეკითხებიან, რამდენი ფანჯარა აქვს ამ წარმოდგენილ სახლს, რა ფერისა იგი და სხვა, ხშირად პასუხის მიცემა ამ გვარს კითხვებზე ადვილი არ არის.—ის ფაქტი, რომ ჩვენს წარმოდგენებს აქვს ხარვეზები, მით უფრო საგულისხმოა, რომ იგი ყველაზე ჰქმნის ცოტა თუ ბევრად **შთაგონების** საჭიროებას, ე. ი. არსებობს დახმარების შეძლებულობა, რომელსაც ერთი მეორეს უწევს წარმოდგენათა კომპლექსების ხარვეზების შევსებაში. იმ კაცმა, რომელმაც წარმოიდგინა თავის გონებაში სახლი, როგორც ვსთქვით, არ იცის წარმოდგენილი საგანი ორი-სამი თუ მრავალსართულიანია, მაგრამ თუ ჰკითხვენ: ,,სახლი ორ სართულიანი არაა?‘‘, მაშინვე წარმოუდგება ორსართულიანი სახლი და მიუგებს ,,დიაღ‘‘.

შთაგონების შესაძლებლობა მსუბუქდება კიდევ წარმოდგენათა შემდეგის თვისებით.

თუ ჩვენ ხანგრძლივ წარმოვიდგენთ რასმე, ამ წარმოდგენათა კომპლექსის შინაარსი უცვლელი არ რჩება; მისი შინაარსი ნაწილ-ნაწილად იცვლება. თუ წარმოვიდგენ მაგალითად ხეს, შემიძლია წარმოვიდგინო მუხა, ცაცხვი, ან ის ხე, რომელიც გუშინ ან ერთი წლის წინად მინახავს, წარმოვიდგინო ხე შვეიცარიაში, იტალიაში (თუ რომელს მივცემ უპირატესობას ამ წუთში, დამოკიდებულია შეგნების იმ შინაარსზედაც, რომელიც წინ მიდგას ამ წუთს და ან დამოუკიდებლად წინ მიუძღოდა მას). ამაშივეა, როგორც ვსთქვით, შთაგონების პირობა. თუ რავდენიმე ხნით წარმოვიდგენ სახლს, შეიძლება სართულთა რიცხვი განსაზღვრული არ იქნეს, როგორც ზემოთ ითქვა, მაგრამ მგონია ორი, სამი თუ მრავალი სართული აქვს. ახლა თუ მკითხვენ ორ სართულიანი სახლი არ წარმოიდგინეო, მაშინ სხვა და სხვა წარმოდგენათა შორის სახლის შესახებ, რაც მქონდა, მტკიცდება წარმოდგენა ორ სართულიან სახლზე; იგი ჩრდილავს სხვა წარმოდგენებს სახლის შესახებ და წმინდის გულით ვუპასუხებ ,,დიაღ“-მეთქი.

თითქმის ხელოვნური კითხვებიც-კი ვერ აძლიერებს ვერც ერთს აღძრულს წარმოდგენას, ვერ ავსებს ნაკლს და ვერც უჩვენებს თუ, როგორ აქვს თვით მკითხველს საგანი წარმოდგენილი. ამ კითხვებს თან მიჰყვება სახის თაღლიათად შეკეთების ტენდენცია, იმ სახისა, რომელიც მეხსიერებაში იმდენად შენახულა, რამდენადაც მისი ხარვეზი ან გაუგებრობა მკითხველის ყურადღებას იპყრობს და ცდილობს რითიმე შეავსოს, ან მოაშოროს და უპირატესობა რომელსამე ერთ წარმოდგენას დაუთმოს. ხშირად ეს იმაში გამოიხატება, რომ წარმოსადგენ საგანს მიაწერენ თვისებას, რომელიც საზოგადოთ აქვსთ ამგვარ საგნებს. თუ ვისმე უჩვენებენ ლურჯად შეღებილს ჰოჰინას და შემდეგ ოდესმე წინადადებას მისცემენ წარმოიდგინოს ჰოჰინა და დაასახელოს მისი ფერიც, უეჭველია პასუხად მიიღებს ,,მიხაკის ფერს‘‘, ანუ ,,ყვითელს‘‘, იმიტომ რომ საზოგადოთ ასეთის ავეჯისათვის ამისთანა საღებავებს ხმარობენ. ეს არ მოხდება, თუ შთაბეჭდილების მიღების დროს ფერი ვისმე ძლიერ ეჩხირება თვალში; მაგრამ ასეთი შემთხვევა იშვიათია, რადგანაც როგორც ცდამ გვიჩვენა, ფერი ძლიერ იშვიათად

იზიდავს ყურადღებას. სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენ მით უფრო მეტი შთაგონების გავლენის ქვეშ ვიმყოფებით იმ პირისაგან, რომლის ცოდნის უპირესობაში დარწმუნებული ვართ და რომლისგანაც შთაგონება გამომდინარეობს. სხვანაირად რომ ვსთქვათ ჩვენი საკუთარი ცოდნა სხვის ცოდნასთან შედარებით ნაკლებ გვჯერა. ამიტომ ერთის მხრით გაუნათლებელი ხალხი უფრო მიჰყვება შთაგონებას, ვიდრე განათლებული, ბავშვებიც უფრო, ვიდრე მოზრდილები, და მეორე მხრით ,,ავტორიტეტებს'' მეტი ძალა აქვსთ შთაგონებისათვის, ვიდრე უბრალო მომაკვდავებს.

რასაკვირველია, შესაძლებელია შთაგონება არამც თუ იმის, რაც სწორი და მართალია, არამედ—რაც შემცდარია, ამიტომ საზოგადოდ ისეთი მოთხრობები და ჩვენებანი, რომელნიც ერთი მეორეს მიჰყვებიან და ცხადად გვიხატავენ წარმოსადგენ საგანს, მეტი რწმენის ღირსია, ვიდრე ისეთები, რომლებიც, იძულებით და გამოწვეული მისახვედრ კითხვების საშუალებით.

დასახელებულ მიზეზებთან ერთად რომ წლოვანების მიხედვით შთაგონებაც მცირდება, უნდა დავასახელოთ კიდევ ერთი მიზეზი, რომლის შესახებ წინადაც ვამბობდით, სახელდობრ: ბავშვში ფანტასტიური წარმოდგენანი დიდს როლს ასრულებენ, ვიდრე მოზრდილებში, ბავშვის წარმოდგენას საზოგადოთ რეალური ხასიათი აქვს. აღეძრება თუ არა ბავშვს წარმოდგენანი ფანტაზიის სახით თავის ნებით, თუ გარედან შთაგონების სახით, ორთავე შემთხვევაში ბავშვი კრიტიკულად ვერ შეხედავს მას და ყველაფერი ნამდვილად მიაჩნია.

რაც შეიძლება დაბეჯითებით უნდა მიუთითოთ პედაგოგს, რომ ყველაფერი უსწორ-მასწოროდ ნათქვამი, ტყუილი არ არის. ცნება სიცრუე უსათუოდ დაკავშირებულია მოტყუილების სურვილთან. ამიტომ სიცრუე არ იქნება, თუ ა) ტყუილი ჩვენება შემცდარი მიმღეობისა ან უსწორ-მასწორო მოგონებათაგან წარმომდინარეობს, რომელთაც მივიღებთ, მაგალითად ლოდინისა ამ მისახვედრ კითხვებისაგან. ასეთი უსწორ-მასწორო ჩვენება მეტად ხშირია ყველა ადამიანში და მომეტებულად ბავშვებში;

ბ) თუ ტყუილი ჩვენება მიღებულია უსწორ-მასწორო გამოთქმით, ე. ი. თუ მაგალითად ბავშვმა არ იცის როგორი სწორი სახელი უწოდოს ამა თუ იმ შემთხვევას და ხმარობს შეუფერებელს გამოთქმას.

გ) თუ უსწორ-მასწორო ჩვენებას იძლევიან უიმისოდ, რომ მასში საზოგადოთ საკუთარი შეგნება იღებს მონაწილეობას. ბავშვები ხშირად ყველა კითხვებზე სრულიად მექანიკურად მოგვიგებენ „დიახ“; სხვა შემთხვევებში ბავშვები, დასმული კითხვების კილოს თუ სხვა ნიშნების მიხედვით, ისეთს პასუხს იძლევიან, რომელსაც, მათის აზრით, მკითხველი მოელის მათგან.

მაგრამ ის ჩვენებანიც-კი, რომელნიც არა უცოდინრობის გამოა გამოწვეული, ყოველთვის „სიცრუეს“ არ წარმოადგენს. საჭიროა იმათი შემოფარგვლა, რომელთაც შეუქმნიათ ფანტასტიური სახეები და რომელნიც, მაშასადამე, რაოდენადმე თამაშობას წარმოადგენენ. ბოლოს ისეთს ჩვენებებშიაც-კი, რომლიდანაც რამე სარგებლობას მოელიან, ყოველთვის ვერ შეიძლება წარმოვიდგინოთ მოტყუების სურვილი; ხშირად ერთს სურვილს შეუძლია

შესცვალოს მიმღეობა ანუ მოგონება, — იგი აზრის მშობლად გახდება. თუ ბავშვი სწორ პასუხს არ იძლევა შეკითხვაზე — ჩუმად პირი ხომ არ ჩაგიტკბარუნებია ტკბილეულობითაო, ეს უსათუოდ ტყუილი არ იქნება. მისი „არა“, შეიძლება არ ნიშნავდეს „მე პირი არ ჩამიტკბარუნებიაო“, არამედ „ძლიერ მინდოდა არ ჩამეტკბარუნებიაო“. სწორედ ასეა, როცა ბავშვი სეირნობიდან შინ ბრუნდება და ამბობს: „ხელმწიფე ვნახეო!“ აქ უეჭველია ნახვის სურვილმა და დრომ იმოქმედა ტყუილ მოგონებაზე და შინ დაბრუნებისას სთქვა, ვნახეო. მიზეზი, თუ რატომ მართებს პედაგოგს სიფრთხილე, რომ ბავშვს ტყუილის თქმა არ დასწამოს და თვითონაც არ იცრუოს, ის გახლავთ, რომ საზოგადოთ მიღებული სიცრუე ბავშვისთვის გაუგებარია; იგი თავისთავად ვერ მივა, ან გვიან მიაღწევს იქამდის, რომ სიცრუით შეიძლება სარგებლობა; მაგრამ თუ-კი ბავშვმა ერთხელ შეიგნო სიცრუის სარგებლობა, შემდეგ გადაჩვევა ძნელია; ეგოისტური მოტივები ბავშვისთვის გაუგებარია, დასჯას-კი პედაგოგი უნდა ერიდებოდეს. გაფრთხილება ყოველთვის სჯობიან სასტიკ ზომებს.

ჩვენებებში შეცდომებიც თხოულობს და საბაბს იძლევა პედაგოგიურად ზემოქმედებისას. როცა ბავშვის ყურადღებას აქცევენ მიმღეობისა თუ მოგონების მხრით შეცდომებს და უჩვენებენ ამა თუ იმ გზას გასასწორებლად, იგი კრიტიკულად შეხედავს თავის მიმღეობას და მოგონებას და ყოველს წარმოსადგენს რეალურად არ დასახავს. ბავშვი შეგნებულად დაუწყებს ცქერას თავის მიმღეობის ხარვეზებს და შეატყობს, რომ მათი შევსება თავის ნებით არ შეიძლება და მაშინ მიმღეობის დროს კერძო თვისებებს, რომელიც ჩვეულებრივად უსხლტება, მეტს ყურადღებას მიაქცევს. სპეციალი „სწავლება მოგონებისა“ შეიძლება ხერხიანად დაუკავშიროთ თვალსაჩინო სწავლებას და საბუნების მეტყველო საგნების შესწავლას. თუ შემთხვევა მოიტანს, აღმზრდელობითი ზომები, რომელიც შეეხება მოგონების სინამდვილით გადმოცემას, შეიძლება გამოიყენონ სამშობლოს შესწავლის გაკვეთილებზედაც.

წარმოდგენათა და შეგრძნობათა კომპლექსებს, რომელთა შესახებაც ამდენ ხანს ვმსჯელობდით, საფუძვლად აქვსთ **მომიჯნაობის კანონი** ე. ი. კანონი, რომლითაც შეგრძნობანი (და წარმოდგენანი), მწკრივად მდგარნი დროსა ან სივრცეში ერთმანეთს უკავშირდებიან; მეორე კანონი ასსოციაციისა არის **კანონი მსგავსებისა,** ერთსახეობისა. ბევრი ფსიხოლოგები ცდილობდნენ (და წარმატებითაც) მსგავსების კანონი მომიჯნაობის კანონზე ჩამოეყვანათ; ყოველ შემთხვევაში ჩვენ სულიერ ცხოვრებაში მსგავსების კანონი ისეთს დიდს როლს ასრულებს, რომ იგი ღირსია ცალკე განხილვისა. რასაკვირველია მსგავსნი წარმოდგენანი ძლიერ ხშირად უკავშირდებიან ერთმანეთს, ასეც რომ არ ყოფილიყო ქვეყნიერება მხოლოდ ცალ-ცალკე დაუკავშირებელ მოვლენათა განუჭვრეტელ ქაოსად მოგვეჩვენებოდა, ჩვენი აზროვნება და სიტყვა შეუძლებელი იქნებოდა. რომ ეს ასე არ არის, ეს მსგავსებით ასსოციაციების საქმეა. ვსთქვათ მე მაქვს შეგრძნობა a, მაგალ., ვიძენ მიმღეობას „ძაღლი“, ჩემს შემეცნებაში მაშინვე აღორძინდება ამ მოვლენის სახელის წარმოდგენა, სიტყვა „ძაღლი“; ეს წარმოდგენა ისევ ასსოციატიურად არის დაკავშირებული სხვა, მსგავს მოვლენებთან

á, ä — სხვა ძაღლებთან, საერთო თვისებანი a, á „ä"-თვის ცხადად იჩენენ თავს, ერთმანეთს ამაგრებენ და მასთან ერთად უფრო გრძელს კვალსა სტოვებენ ჩემს შეგნებაში, მაშინ როცა არა იდენტიური თვისებანი ერთმანეთს ასწორებენ. მსგავს წარმოდგენათა იდენტიური შემადგენელი ნაწილები ბოლოს გადიკვანძებიან ჩემს შემეცნებაში ერთ საზოგადო წარმოდგენილებად, **ცნებად**, და ამ დროდან ყოველი ახალი მსგავსი მიმღეობა მას უკავშირდება და ადვილად იკავებს ადგილს დიდს შეერთებულს მთელში. ცნების შედგენა იმით ადვილდება, როგორც ზემოთ ნაჩვენებ მაგალითში, რომ ყველა მსგავსი წარმოდგენანი უკავშირდებიან ერთსა და იმავე სიტყვის წარმოდგენას და ამიტომაც ხშირად იმ შემთხვევაშიაც სწორი სიტყვა მიენაცვლება, როცა ჯერ კიდევ ცნება არ გაჩენილა, ცნების შეუდგენელად, მაშასადამე, მსგავსებით უასსოციაციოთ, აზროვნება შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ არ შეიძლება ვსთქვათ, რომ აზროვნება **იგივეა, რაც ასსოციაცია.** აზროვნება უფრო ასსოციაციის ერთგვარი სახეა, სახელდობრ ისეთი, რომელშიაც ყველა წარმოდგენათ ერთგვარი ღირებულობა არ აქვსთ, მაგრამ ერთი „მთავარი წარმოდგენა" ხანგრძლივობით უფლობს და ბატონობს დანარჩენ ასსოციაციებზე.

ამ სახით აზრი, თუმცა ასსოციაციას ემყარება, მაგრამ თვისებით რაღაც ახალს წარმოადგენს. ასსოციატიურ პროცესში, რომელსაც ჩვენ აღვნიშნავთ აზროვნებად, **ერთი** წარმოდგენა ინტესივობით თუ სხვა რითმე გამოცალკევდება დანარჩენებიდან და იგი რჩება შემეცნების მხედველობის ქვეშ. აზროვნების პროცესსი განირჩევა ჩვეულებრივის ასსოციაციისაგან არა მარტო რაოდენობით, არამედ პრინციპიალურად და თვისებითაც.

ბავშვის ცნება სულ სხვაა, ვიდრე მოზრდილისა, ეს განსხვავებაც ბუნებრივად მით უფრო დიდია, რამდენადაც ბავშვი პატარაა. რადგანაც ბავშვს გაცილებით ნაკლები წარმოდგენა აქვს, ვიდრე მოზრდილს, ამის მიხედვით მას ცნებაც ნაკლები აქვს. მაგრამ ამ მცირე ცნებითაც ასე თუ ისე ბავშვი ცდილობს გამორკვევას ქვეყნიერებაში. ამას შეძლებისდაგვარად ასრულებს კიდეც, მხოლოდ მისი ცნებანი შინაარსით მეტად ღარიბია და ამიტომ წარმოდგენათა მეტს წრეს წვდება, ვიდრე მოზრდილთა ცნებანი. ამ სახით ბავშვს შეუძლიან იკმაროს მცირე ცნებანი და მაინც დაუმორჩილოს მათ ახალი ცნობები. ჰაეროპლანს ბავშვი უმორჩილებს „ფრინველის" ცნებას, წყალის ყოველ დაგუბებას — „შანაობას". ეს აზროვნების დაზოგვა, **ცნებათა სივრცე** დამახასიათებელი ნიშანია ბავშვების მიერ ცნებათა შეძენისა. მეორე იმაში მდგომარეობს, რომ ცნებანი შეიძინებიან პრაქტიკულის მოსაზრებისა და მაშასადამე **ახალნი** ცნებანი ისე შეიქმნებიან, როგორც ეს ხდება **მოზრდილებში.** მაგალითად „Pipi" ჩემი ორი წლის ვაჟისათვის ქაღალდსაც ნიშნავს და ფანქარსაც, ე. ი. ყველაფერს, რაც საჭიროა წერისა თუ „ხატვისათვის".

როცა ბავშვი წამოიზრდება, უფრო მეტს ცნებებს იძენს და გადაშინჯავს ძველს ცნებებს. ახალი ცნებათა მიღებისა და ძველთა დაყრის მიხედვით ფართოვდება ბავშვის სოფლმხედველობა და ცოდნა. იგი ისეთს მოვლენებს შენიშნავს, რაც წინად არ შეუნიშნავს. ამ გვარ პროცესებს პედაგოგმა, რასაკვირველია, **ხელი** უნდა შეუწყოს და ეს შეადგენს დაკვირ-

ვებითი სწავლების არსებითს მხარეს. ახალი ობიექტები უკავშირდებიან სიტყვებს და ამნაირად ჩნდებიან ახალ-ახალნი ცნებანი, ცნებანი, რომელნიც შეადგენენ მოზრდილთა და არა ბავშვების თვისებას. უნდა დაუკავშიროთ ამა თუ იმ სიტყვას არათუ საგნის სურათები, არამედ **თვითონ საგნები**, რადგანაც ერთის მხრით სურათი, რომელიც მხოლოდ ორის მხრით გაიზომება, სრულად ვერ წარმოადგენს ობიექტს; მეორე მხრით შესაფერ სურათს უნდა დაუკავშირდეს და შესაფერ ცნებას უნდა დაემორჩილოს არა მარტო მხედველობის შთაბეჭდილება, არამედ შეხებითიც. შემდეგში უცხო ენათა შესწავლა სამსახურს უწევს ცნებათა გამდიდრებაში. ერთი ენის ყველა სიტყვებისათვის მთლად შესაფერისი სიტყვის პოვნა მეორე ენაში ყოველთვის არ შეიძლება; ცნებანი, რომელნიც შეუქმნიათ სხვა და სხვა ხალხთ, ხშირად შუაზე იკვეთებიან, ამასთან ერთი ხალხი უფრო წინ, პირველ რიგზე ერთს თვისებას აყენებს, მეორე—მეორეს, ასე რომ ზოგი სიტყვის გადათარგმნაც სხვა ენაზე შეუძლებელი ხდება.

გარდა ცნებათა შედგენისა ბავშვის აზროვნებაც განსხვავდება მოზრდილთა აზროვნებაში კიდევ სხვა თვისებითაც. მისი მსჯელობანი და დასკვნანი უფრო ხშირად მარტივად მსგავსებაზე ანალოგიაზეა დამყარებული, ბავშვს ყოველთ უწინარეს აკლია მიზეზობრივი აზროვნების ნიჭი— მხოლოდ შემდეგში უვითარდება მას მოზრდილის თვისებრივი ხელოვნება ინდუქტიურისა და დედუქტიურის დასკვნისა. პედაგოგი, რომელსაც ჰსურს განუვითაროს ბავშვს აზროვნება, მუდამ თვალყურს უნდა ადევნებდეს, რომ ბავშმა მსჯელობანი და დასკვნანი მექანიკურად არ აწარმოვოს; პირიქით ბავშვი უნდა მიაჩვიოს **დამოუკიდებელ** აზროვნებას, საკუთარის მსჯელობიდან დასკვნის გამოყვანას.

დასასრულ ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო იმ ნიჭს, რომლის შესახებაც ვამბობდით შესავალში და რომელსაც მეხსიერება ვუწოდეთ. როგორც ვსთქვით მეხსიერება არსებობს არა მარტო გრძნობითი შთაბეჭდილებათათვის, არამედ ასსოციაციებისთვისაც, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ: შეგრძნობათა და წარმოდგენათა მიერ ერთხელ შექმნილი კომბინაციები მეხსიერებაში, ცოტად თუ ბევრად, დიდხანს რჩებიან, ამ კომბინაციების სიმკვიდრის მიხედვით.

**ლ. ბოცვაძე.**

# ბუნება და სამკურნალო მეცნიერება

# ჰიგიენა

(წერილი მეშვიდე)

## ადამიანის მკბენარი, მჭამელი პარაზიტები და მათთან ბრძოლა

### 2. მ უ ნ ი

„კაცმა ჭირი მალა
და ჭირმა თავი არ დამალა“-ო...
(ხალხ. ანდაზა).

### I

მეც ბევრჯერ გასიამოვნეთ ცისა და ვარსკვლავების აღწერით, ზღვა-ოკეანეთა წალკოტებშიაც ბევრი გასეირეთ, საქართველოს ბუნების მშვენიერებათა აღტაცებაც გაგიმჟღავნეთ, და ახლა-კი გთხოვთ ძირს დაიხედოთ, ჩვენს ბინძურობასაც ანგარიში გაუწიოთ, მეცნიერების შუქი მოვფინოთ, წყვდიადი გავანათოთ.

---

**მუნი.** Scabies არის კანის საშინელი სატკივარი, რომელსაც გამოიწვევს ხოლმე ერთ გვარი **თვალთ უხილავი** ცხოველი პარაზიტი. ამ ცხოველს ჰქვიან **მუნის ტკიპა** (Sarcoptes hominis ანუ Acarum Scabies).

იცნობდნენ თუ არა უწინ ძველის ძველად ამ საძაგელ მწერს, ჯერ კარგად არ არის გამოკვლეული. პირველი აღწერა მუნისა ეკუთვნის არაბებს—მკურნალებს. ხოლო თვით პარაზიტი ცხოველი, **მუნის ტკიპი,** პირველად აღწერა მოლოზონმა **წმიდა ჰილდეჰარდმა,** რომელიც მე-XII საუკუნის ნახევარში იყო რუპერტუს-ბერგის დედათა მონასტრის წინამძღვარი. (იხ. მისი თხზულება Physica).—

„ერთი კაცი წყალში იხრჩობოდა და გულგახეთქილი საზარლად ყვიროდა „ღმერთო მიშველე! ღმერთო მიშველე!“... ღმერთმა გადმოიხედა და ბძანა: „შე ოჯახქორო ე ხელები გაიქნიე, გაანძრიე და მეც გიშველიო“...“ (ხალხ. თქმულება).—

ჰო და წმიდანმა მოლოზანმა ჰილდეჰარდმა გულხელი კი არ დაიკრიფა და ღმერთო, ღმერთო არ იძახა. როცა მუნი დაერია მოლოზნებს და საშინლად იტანჯებოდნენ, მას წმიდანს კარგად ჰქონია შეგნებული რისთვისაც მიანიჭა ღმერთმა ჰკუა-გონება და ათი დახატული თითი— „იყავით მეცნიერ ვით მამა თქვენი ზეცისა“ აი რას თხოულობს ჩვენგან რჯული ქრისტესი (სახარება)...

მე-XVII საუკ. **ბონომოს** აქვს შესანიშნავად აწერილი **მუნის ტკიპა** და მისი დამოკიდებულება ადამიანის მუნთან. არის აგრეთვე ცნობები, რომ იმ ხანებში დახელოვნებული დედაბერები არჩენდნენ მუნიანებს იმ საშუალებით, რომ თვით ტკიპას პოულობდენ ადამიანის კანში და ნემსით აშორებდნენ. მიუხედავათ ამდენ მასალისა ჯერ მაინც სწავლულ ექიმებს არა სჯეროდათ, რომ **მუნი** პარაზიტისაგან წარმოსდგებაო.—ჯერ მე-XIX საუკუნის დასაწყისშიაც მეცნიერნი უფრო იმ აზრს ემხრობოდნენ, რომ მუნი ჩნდება ადამიანის გაფუჭებულ სისხლის გამო. ამ გამოურკვევლობისა გამო **პარიზში**

1812 წ. დაუნიშნეს დიდი ჯილდო-პრემია ვინც აღმოაჩენდა ნამდვილ მიზეზს მუნისას; ეს საჩუქარი მიიღო ქალმა, რომელმაც მუნის ტკიპი აღმოაჩინა. მხოლოდ შემდეგ მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ გალეს აღმოჩენილი მწერი ყველის ტკიპა იყო და არა მუნისა.—

გაიარა ოციოდე წელიწადმაც და 1834 წ. კორსიკელმა მცხოვრებმა პარიზის სტუდენტმა ვინმე **რენუციმ** ასწავლა პარიზელ ექიმებს როგორც უნდა პოვნა მუნის ტკიპისა. მას აქეთაა შეუდგნენ ამ საძაგელ მწერის წესიერად შესწავლას და მასთან საბრძოლველ საშუალებათა ძიებას.

მთლად კაცობრიობა დიდად დავალებულია განთქმულ მეცნიერის **ჰებრეს** მიერ (ფერდინანდი Hebra (1816—1880) პროფესორი—მკურნალი დერმატოლოგი (კანის ავადმყოფობისა) რომელმაც ვენის უნივერსიტეტში დაარსა თავისი სკოლა კათედრა დერმატოლოგიისა).—

ჰებრამ 1884 წ. გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი მუშაობა და გამოკვლევანი. დღეს უკვე ვიცით, რომ მუნი შეიძლება გადაედოს ადამიანს თუ რომ განაყოფიერებული დედალი ტკიპას, ანუ რამდენიმე სხვა და სხვა სქესისას გადმოვსხამთ ადამიანის კანზე. ისიც შეიძლება, რომ რომელიმე ცხოველიდან ავიღოთ მუნი და ადამიანს გადავსდოთ. ცხოველთა შორის მუნი უსხედს ძაღლს; კატას, ცხენს, ცაცალოს (კროლიკი), აქლემს და სხვ...

მუნი შეიძლება გადავსდოთ ადამიანს ექსპერიმენტალურ გზით. აი როგორ გადაედება ხოლმე: განაყოფიერებული დედალი ტკიპა მუნისა დასვით ადამიანის ტანზე. ეს მწერი მსწრაფლ დაიწყებს ცრიბრუტივით ტრიალს, ხან კი გაჩერდება, ხან უკანვე ბრუნდება, თითქოს ეძებს მოხერხებულ ადგილსაო, საიდანაც უფრო ადვილად შეატანს ადამიანის კანს. ბოლოს გაჩერდება, უკანა ფეხებით ფეხს მაგრად იკიდებს, მერე შესდგება კალხზე, ეძგერება პირით ადამიანის კანს, სჩხვლეტს და ჩადის კანში იმდენად ღრმად, რომ კანის ქვეშ-ქვეშ შეიტანოს გვირაბი—ირიბად იკვლევს, იკეთებს გზას. მუნის ტკიპას ეს გვირაბი პირველი მომასწავლებელია სატკივრისა. გვირაბის მიმართულება კანს გარედანაც ეტყობა მონაცრო ან მოშავო ხაზებივით. გვირაბის დასაწყისი კანზედვე დააჩნდება ხოლმე პაწია ბუშტის მაგვანად, რომელიც ადამიანს მერე უჩირქდება, ზედვე ახმება და როცა ჩამოვარდება (ფხანით ან სხვა გვარ) მაშინ პაწია ადგილი ნაყვავილარივით ეტყობა. სადაც გვირაბი თავდება, იქ ზის თვითონ ტკიპა. ვისაც თხელი ნაზი კანი აქვს კარგად რომ დავაკვირდეთ გარედანაც სჩანს ტკიპა მოთეთრო მარცვალივით. ამიტომ ადვილად შეგვიძლია ნემსით ამოვიღოთ, ამოვიყვანოთ. იქვე მუნის ტკიპას ნავალგვირაბში აწყვია 20 და ზოგჯერ მეტიც მომრგვალო კვერცხები.

მუნის ტკიპას ადამიანის ტანზე არჩეული აქვს თავისთვის სახერხო ადგილები, საიდანაც ადვილად შეატანს ხოლმე ადამიანის კანს. ეს ადგილებია: ხელის თითების გვერდებში და თითებ შუა ჩაჭდეულში თხელი კანი; მაჯის და იდაყვის მოსახრავში შიგნიდან; იღლიის ქვეშ; ჭიპის გარშემო; მამაკაცის სქესის ორგანოები—მასრა და ქისა; მუხლის ქვეშ მოსახრავში; ტერფის გული; დედაკაცის ძუძუს თავის და მის გარშემო კანი. ხოლო ვინც ჯდომელა მუშაობს, საჯდომის კანზედაც; ბავშვებს და აგრეთვე მოზრდილებსაც, ვისაც ნაზი კანი აქვს, ხელის გულიდანაც შეატანენ ხოლმე. შენიშნუ-

ლია, რომ პირისახე და თავი ძლიერ იშვიათად მუნიანდება.

როგორც ვსთქვით ტკიპი, შეატანს თუ არა კანს, თან გვირაბს სთხრის, გზას იკვლევს და თან გზა და გზა კვერცხს სდებს, როცა კვერცხის დებას გაათავებს, თითონაც გვირაბის სულ ბოლოში კვდება, ხოლო დედის ბადლად ახალი თაობა იჩეკება.

—

დასაწყისი მუნისა იმით იცნობება, რომ ადამიანს საშინელი ქავილი აუტყდება ხოლმე ერთს რომელსამე ადგილას. ეს იმას ნიშნავს, რომ მუნის ტკიპა უკვე შეუდგა თავის მუშაობას და კარგი ინჟინერივით ოსტატურად გაჰყავს გვირაბი. ღამე როცა კაცი ლოგინში თბილად წევს, მუშაობაც მაშინ უყვარს ტკიპას. აი ამ დროს ისეთი აუტანელი ქავილი აუტყდება ხოლმე კაცს, რომ მთელს ღამეს უძილოდ და მოუსვენრად ატარებს. დიდი მოთმინების პატრონი უნდა იყოს კაცი, რომ არ დაიფხანოს, დაიფხანოს კი არა ზოგჯერ სულ იკაწრის, იგლეჯს ტანს. ფრჩხილებით დაღადრული ადგილები წყლულებად გადაექცევა ხოლმე და უარესი დღე ადგება ავადმყოფს: ნაფხანი ადგილები წითლად იბურცება (პაპული), უბუშტდება, უჩირქდება და ახლა ამ ახალ დარდს—**ეგზემას** უნდა მორჩენა. თუ დროზე უშველით წყლული ერთს ადგილს რჩება და თუ რო ყური წაუგდეთ, მაშინ შეიძლება მთელ ტანსაც მოედვას.—

დედაკაცს თუ ძუძუზე გაუჩნდება მუნი და დროზე არ მოირჩინა, მუნის წყლულს შეუძლია გამოიწვიოს ძუძუს ყუნთის ანთება (მასტიტი).—

ზოგსაც იმდენად უგრძნობელი კანი აქვს, რომ მუნის ტკიპებმა რამდენიც უნდა იბუქნაონ იმის კანში, არც კი გრძნობს, აინუნში არ იგდებს, არ ეფხანება, ტკიპები ქეიფობენ, ფუთფუთობენ, პეპლაობენ, კვერცხებს სდებენ მრავლდებიან, თაობა თაობას ემატება და მუნის წყლული და ჩირქი ზედიზედ რამდენიმე სანტიმეტრის სიმაღლეთ სქლად ახმება ტანზე იმ ნაკბენ ადგილას. ამ სატკივარს მეცნიერმა **ბეკმა** დაანათლა **ნორვეგიული მუნი**, რომელნიც მან პირველად აღმოაჩინა ნორვეგიაში კეთროვან ავადმყოფზე.—

მუნი ყველას შეიძლება შეხვდეს—მდიდარსაც და ღატაკსაც, მაგრამ ისე უმიზეზოდ კი არა. ეს სატკივარი ადამიანს გადაედება თუ რომ მუნიანის ქვეშსაგებში ჩაწვექი ან მასთან ერთად დაიძინე.—თუმცა იშვიათად, მაგრამ შეიძლება ხელის ჩამორთმევითაც გადაედოს. მუნი ხშირი სტუმარია მუშა ხალხში დ გლეხთა ოჯახში. მიზეზი ის არის, რომ ვიწროდ სცხოვრობენ ერთს ან ორ ოთახში და ჯალაბობა კი დიდია. ფაბრიკა-ქარხანებში მთელი გუნდი მუშებისა ერთად იძინებს. ჰო და ერთს მუნიანს შეუძლია მთელს ოჯახს და მთელს ფაბრიკის მუშებს გადასდოს. ბავშვებშიაც ადვილად ვრცელდება მუნი, რადგან უფრო მჭიდრო ამხანაგობა აქვსთ ერთმანეთში.—

თუ რომ დროზე მიუხვდით, მუნი ადვილი მოსარჩენია. ყურ წაგდებით კი შეიძლება რამდენიმე წელიწადიც კი გასტანოს და მთელს ოჯახს გადაედოს. ადამიანის ჯანს სჩაგრავს, უძილობა სტანჯავს, გამხდარ კაცს სისხლი აკლდება, სნეულდება და სხვ...*)

—

*) გაზვიადებული სულაც არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მთელს რუსეთში **ათი მილიონი** მაინც ხდება მუნით ავათ.

**წამლობა და წამლები** იმისთანა უნდა, რომ რაც შეიძლება ადვილად დახოცოს მოსპოს მუნის ტკიპა, მაგრამ ჯერ თვით მწერი გავიცნოთ.



**მ უ ნ ი** *)

ადამიანის მუნის ტკიპა (S. Scabiei) თითქმის მრგვალი ტანისაა; მოყვითლო-თეთრი ფერი აქვს, დაფარულია მრავალ ნაოჭებით და ზურგზე ასხედს გარდიგარდმო ჯაგარივით ბეწვები. პირველი წყვილი წინა ფეხებისა **საწმახნავად**, მისაწებლად, საწოვნელად აქვს განგებ მოწყობილი, ხოლო დედალ ტკიპას უკანა ფეხებზე ჯაგარი ასხია, უკანა კარიც ზურგის მხრიდან უთავდება.—

სცხოვრობენ ადამიანის კანის ქვეშ მათგანვე გაყვანილ მიხვეულ-მოხვეულ გვირაბში. მამალი ტკიპა კვდება პეპლაობის აქტის შესრულების შემდეგ, ხოლო დედალი კვდება მაშინ როცა კვერცხის დებას გაათავებს, 4—8 დღის შემდეგ იჩეკებიან ექვს ფეხა მატლები, რომელნიც 14 დღის განმავლობაში სამჯერ კანს იცვლიან და თანაც ადამიანის კანის ქვეშ იკეთებენ ბინას—ხვრელს, გვირაბს. ახლა ეს ახალი თაობა იმეორებს მამა-პაპურ ცხოვრებას და ასე სჭამენ ადამიანს თვეობით და წლითი წლობით.

—

მუნის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალება ის არის, რომ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოთ საცვლებს—(პერანგს და მის ამხანაგს) და ქვეშსაგებს: ზეწარს თუ ჩარსავს, ბალიშის პირებს, საბნის პირებს და სხვ. ესენი ყველა მუნიანია, მაშასადამე ან უნდა დასწვათ ან არა და ძლიერ კარგად ხარშოთ ნაცარ-ტუტაში, იმდენად, რომ შიგ მყოფი მუნის ტკიპები და მათი კვერცხები განადგურდეს, მოისპოს.

თუ ნამდვილს მათქმევინებთ როგორც საცვლებში, ისე ჩარსავ-ზეწრებში, ბალიშის პირები ყველა ეს თვეში ერთხელ მაინც უნდა იხარშებოდეს ნაცარ-ტუტაში. ხოლო როგორ შეიძლება, რომ წელიწადში ერთხელ მაინც, მაგალითად ზაფხულობით, არ გაირეცხოთ საბანი, მისი მითელი და ზედა პირი; აგრეთვე ლეიბის მითელი და მისი ზედა პირი. ამათ ჯერ მოხარშვა მერე საპნის შემდეგ და მერე ისე გარეცხა უნდა. ჩითეულობა და რაიმე ფარჩა-აბრეშუმი ნაცარ-ტუტაში ფერს დაჰკარგავს, ამიტომ სჯობს სადა წყალში მოხარშოთ*). საზოგადოთ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ საბნის პირად იმის-

---

*) ეს მუნის სურათი შეცდომით დაიბეჭდა „გან." მეორე ნომერში ჯღიბას სახელით.

*) მე მინახავს საბნები სარჩულზე მიტკალამოვარებული იმდენად დიდად, რომ მიტკალი საპირეზედაც გადადის მთლად გარშემო ქობასავით და აქ დაბლანდულია. ეს ძლიერ ჰიგიენურია და სახერხო—თვეში ერთხელ მაინც გარეცხავთ, მეტადრე ავადმყოფობის შემდეგ—ოფლისა და სახველის შემდეგ სუფთად გაირეცხება. ჭირი იქით იყოს, აღარ შეგეზიზღებათ მაინც ნაოფლარის კვლავ სუნთქვა. სისუფთავე კი ესთეტიკური სიამოვნებაა.

თანაც ძვირფასი ფარჩა დაუდოთ, რომელიც გასარეცხად ველარ გაიმეტოთ—ეს ჰიგიენის კანონს სრულებით ეწინააღმდეგება. ნურას დროს ნუ დაივიწყებთ, რომ ადამიანი უსხეულო ანგელოზი არ არის... ე ტილებს და მუნს თავი დაანებოთ, აბა როდისმე მიკროსკოპის ქვეშ გასინჯეთ— თქვენს ძვირფას სამოსლებზე და საბნისპირზე მთელი ფარა გაგიჩნდებათ მიკრობებისა და მხოლოდ სახეიროთ დროს მოუღიან შეესივნენ თქვენს ჯალაბობას რომელიმეს ტანში და წუთის სოფელს გამოასალმონ. ამას რა დიდი მტკიცება სჭირია! მოგეხსენებათ ავადმყოფობაა, კარგად მყოფობაა, ოფლია, ჭუჭყია, და სხვა *) მეტადრე ბავშვების საბნები თვეში ერთხელ მაინც უნდა ირეცხებოდეს. რაც შეეხება ლეიბის ანუ დოშაკის მატყლს, აგრეთვე საბნის მატყლს ანუ ბამბას, ეგ ყოველ ზაფხულს უნდა უეჭველად წამოშალოთ და ცხელ წყალში საპნით გარეცხოთ, თუ არა მდინარე წყალში მაინც გარეცხეთ. მას მერე რასაკვირველია გაწკეპლვა უნდა მატყლს, რომ გაპენტილივით დადგეს. მე გირჩევთ საბანსაც მატყლი დაუდოთ ხოლმე, რადგან მატყლი უფრო ჰიგიენურია, ადვილადაც ირეცხება. მაგალითად ცხელ ქვეყნებში და საზაფხულო საბნებს სულ ნაკლებ დაუდეთ მატყლი, ხოლო ცივ ქვეყნებში და საზამთრო საბანს მეტი დაუდეთ და სხვ... დაგვრჩა ბალიშის ბუმბული თუ ყუვთუკი (გერმა). ამასაც ცხელი წყალით და საპნით უნდა გარეცხა. აიღეთ ბალიშის პირი, ჩაყარეთ შიგ ხავლათად გერმა თუ ბუმბული, მოაკერით პირი და ცხელ წყალში გასაპნეთ, რეცხეთ და გამოწურეთ ისევე როგორც პერანგს რეცხავთ. არც ბუმბული დაგაკლდებათ და ოფლით და ჭუჭყით სავსე ბალიში კი გაგისუფთავდებათ და ამით ჯერ რო ესიამოვნებით სისუფთავით და თანაც იქნება კიდეც გადარჩეთ ჭირის მიკრობებსაც **)... ეს ყოველივე რაც აქ ითქვა შეეხება ყველას თავადსაც და დიდებულსაც, მდიდარსაც და ლატაკსაც. ეს არის ჰიგიენის სასტიკი მოთხოვნილება, გადაუვალი კანონი.

---

წამლობა ამ გვარად უნდა. როცა **ბავშვებს** მუნი შეხვდესს წაუსვით იმ ადგილებზე სადაც იქავლებს **პერუს ბალზამი** (Bals. Peruviani) ანუ **სტირაქსი** (Styrax) ზეითუნის ზეთში არეული 1 : 3 ესე იგი ერთი წილი დასახელებული წამალი სამ წილს ზეთში აურიეთ და ისე წაუსვით. ან კიდევ შემდეგი საცხებელი: სტირაქსი, პერუს ბალზამი თითოსი 45 წილი და ამას მიუმატეთ **გენაგერჩაგის ზეთი** (Ol. Ricini) 10 წილი. აურიეთ და წაუსვით

*) ჩემს დღეში არ დამავიწყდება... სტუმრად ვიყავ სოფელში ერთს მდიდარ მემამულესთან ქართველ მაჰმადიან ბეგთან და ლოგინი დამიგეს სულ მთლად აბრეშუმისა—შამაშუში გახვეული—როცა გულუხვი მასპინძელი გავიცილე ჯერ ლოგინს დაუწყე სინჯვა—საბანზე რა ლაქა და რის ჭუჭყი გნებავთ რომ არ იყო, მთელი კოლონიები იყო ბაქტერიებისა—საბანი იქით გადავაგდე და პალტო დავიხურე.

**) აქ უნდა შევნიშნო, რომ ჩვენში, ქართველებში არ შევხვედრივარ, რომ ასე დენერალურად, კლასიკურად ყოველ წლივ ასუფთავებდენ ლოგინს—ეს რა თქმა უნდა დიდი დეფექტია და ბინძურობის მომასწავებელი. მაგრამ მთელს სომხობაში ახალქალაქში სახლს ვერ ნახავთ, რომ ლოგინს ყოველ ზაფხულს სასტიკად არ ასუფთავებდენ მდუღარეში რეცხვით და სხვ...

მაგრად მქავან ადგილზე (პროფესორი ადოლფი ბაგინსკი). თუ რომ ალაგ-ალაგ ეგზემაც გაუჩნდა, ამას ცალკე უნდა მორჩენა.—

ამ წამლების წასმის შემდეგ მეორე დღეს აბანეთ ხოლმე კუპრის საპნით ან კარბოლის საპნით და სუფთა უხმარი საცვლები ჩააცვით, ანუ რეცხვის დროს მოხარშული...

ამ გვარივე წამლობა უნდა დიდებსაც. თუმცა ძვირია (მისხალი 10 კაპეიკია), მაგრამ მუნის მოსარჩენად უებარი წამალი ითვლება იგივე **პერუს ბალზამი (Перуанскій бальзамъ)**. ჯერ ერთი რო სასიამოვნო სუნი აქვს, ავადმყოფს არ აწუხებს და თანაც მოქმედობს სწრაფად და უებარია. მუნიანმა ავადმყოფმა მთელი ტანი უნდა **დაიზილოს** პერუს ბალზამით, ერთ წასმაზე **ოთხი მისხალი** (35 კ.) ეყოფა.*) დაზელვის რამდენიმე საათის შემდეგ უნდა იბანოს საპნით (შინ ვანნაში ანუ აბანოში). 1 ან 2 დღის შემდეგ ასევე უნდა გაიმეოროს წამლობა და ყოველთვის კი უხმარიან მოხარშული საცვლები ჩააცვით ხოლმე. ამ გვარი წამლობა იმდენად უებარია, რომ ევროპაში ხარჯს არ დაერიდა სამხედრო უწყება და ჯარის კაცებსაც ასე სწამლობენ.

მუნის წინააღმდეგ აგრეთვე ხშირად იხმარება პროფესორის ვილკინზონის საცხებელი. მოიკითხეთ მხოლოდ აფთიაქში (**Мазь Вилькинзона**) ერთს კაცს 20 კ. ეყოფა. ან თუ გეხალისებათ თქვენვე მოამზადეთ. აი რეცეპტი:

აძლე: გოგირდის ყვავილი (Sulfur. Subl.) 3 წილი.
არყის კუპრი (Picis liquid.) 3 წილი.
წმინდა ცარცი (აფთიაქისა) Calcar. Carbon. ppt. 2 წილი.
აფთიაქის მწვანე საპონი (Sapo viridis) 6 წილი.
ღორის ქონი (თირკმლისა) ახალი 6 წილი.

შექმენით თანაბრად შეზელილი საცხებელი. მისხლობის ანგარიშით რო აიღოთ სულ 20 მისხალი გამოვა და ერთს კაცს ეყოფა კიდეც ტანის დასაზელად. გახსოვდეთ კი, რომ სახლში რამდენი სულიც არის მუნით შეპყრობილი, ყველას ერთს დროს უნდა წამლობა. ნუ იფიქრებთ მთლად გამუნიანებულ ჯალაბობაში ერთს ორს უწამლებ და დანარჩენი იოლათ წავა—სადღა უწამლო, ამდენი ფული არა მაქვსო. ასე ვერას გზით ვერ ამოაგდებ შენს სახლში მუნს, რადგან ერთიდან მეორეზე გადადის და მთელი წლობით უნდა იტანჯოს სახლობამ. ჰო და თუ შენი თავი არ გებრალება, ჯალაბობისა რა ბრალია?! მეტადრე ბავშვები რათ უნდა დაიტანჯნენ, ჩამოხმნენ შენი უგულობის გამო. ვილკინზონის საცხებელი მშვენივრად შველის და მთელს ოჯახს ერთი ან ორი მანეთით სრულებით მოარჩენ.—

ერთს საღამოს ლოგინში რო წვებოდნენ ყველანი დაატიტვლე, ვილკინზონის საცხებლით ყველანი დაზილე. მეორე ღამესაც ყველანი აბანე ცხელი ანუ ნელთბილი წყლით და საპნათ იხმარე აფთიაქის მწვანე საპონი (Sapo viridis). ეს საპონი ბაქმაზივით სქელი არის. ჯერ წაუსვი მთელ ტანზე (დაზილე) და 1—2 წამის შემდეგ ჩამოჰბანე, აბანე. იმავე საპნით თავიც დაჰბანე—მორჩა და ეშველა!..

1.2.

*) აფთიაქში წესია რამდენსაც მეტს იყიდით უფრო იაფია, მაგალითად **25 მისხალი** პერუს ბალზამი ორ მანეთად ღირს. სანდო აფთიაქის მაღაზია თუ გეგულებოდესთ იქ იყიდეთ—მანეთ ნახევრათაც მისცემენ.

P-D5302

მხოლოდ გახსოვდეთ, რომ სულ ახალი საცვლები (ანუ მოხარშული) უნდა ჩააცვათ და სულ ახალ ლოგინში (მოხარშულში) უნდა ჩააწვინოთ, თორემ 10—15 დღის შემდეგ ახალი თაობა მუნისა გამოიჩეკება და კვლავ ასტეხენ ბუქნაობას.

ჩვენში მუნის წამლად შინაურად მომზადებულ საცხებელს ხმარობენ: გოგირდს ურევენ ღორის ქონში (ერთ წილ გოგირდის ყვავილზე ორი წილი ახალი ქონი უნდა ღორისა. ასე ამზადებენ აფთიაქებში), მაგრამ ეს არ არის საიმედო წამალი მხოლოდ იაფად კი ღირს.

### მუნი შინაურ ცხოველებში

მუნი ძალიან არის გავრცელებული შინაურ ცხოველებში მეტადრე სოფლად. ამ ცხოველებზე მუქთახორობს მუნის სამ გვარი ტკიპი:

1) სარკოპტი (Sarcoptes) დიდი და პატარა. დიდი სარკოპტი ჩაზია უსხედს კანის ქვეშ: კაცს, ცხენს, ცხვარს, ლომს, ცაცალოს (კროლიკს), ხოლო პატარა სარკოპტი უსხედს კატას და ცაცალოს.

2) ტყავის მუნი სცხოვრობს ცხოველთა ტყავზე, საიდანაც სწოვს სისხლსა, შრატსა და ლიმფას. ამ გვარი ტკიპი მუნისა იცის ცხენმა, რქიანმა საქონელმა და ცხვარმა.

3) ტყავის ჭამია ტკიპები (dermatophagus) სცხოვრობენ ცხოველთა ტყავზე, უმთავრესად ფეხებზე და აქ იკვებებიან, (ღრღნიან) ახალ-ახალ ქერტლით, რომელიც კანს აცდის. განსხვავება ამათშიაც არის: ა) ცხენის და ხარის ტყავის ჭამია ტკიპი, რომელიც გამოიწვევს ხოლმე მუნს ფეხებზე და უკან გავაზე ანუ კუდუსუნზე. ბ) ცხვრის ტყავის ჭამია ტკიპი, რომელიც მუნს აყრის ფეხებზე.

შინაურ საქონელში თავი და თავი უბედურება მაშინ ეწვევა ხოლმე საქონლის პატრონს, როდესაც მუნი ცხვარს მოედება. მაგალითად, რა დიდი ზარალი მოაქვს ამ ჭირს მრეწველობაში, ეს სჩანს შემდეგი ციფირებიდან: 1884 წ. გერმანია'ში მუნი გადაედო 250 ათასს ცხვარს, ხოლო 1888 წ. ეს რიცხვი სამას ათასამდე ავიდა. გარდა იმისა რო ცხვარი ჯანდაკდება, იღუპება, თან მატყლი იკარგება რამდენიმე მილიონ მანეთისა. რუსეთშიაც საშინელ ზარალს აძლევს მუნი ცხვრის პატრონს.—

ყველაზე ადვილად მუნი გადაედება ხოლმე მთელს ცხვრის ფარას, როდესაც ახლად ახლად გაკრეჭილ ცხვარს გაურევთ გაუკრეჭელებში. აქ ვიწრო ფარეხში ან ბოსლებში ცხვარი ერთმანეთს ეხახუნება, თან ბოსლის სითბოც ხელს უწყობს და უფრო ხალისიანად აამოძრავებს ხოლმე მუნის ტკიპებს, რომელნიც ეძებენ ახალ პატრონებს—შეეხიზნონ ბეწვიანებს. მუნის ტკიპი ჯერ კუდის ძირთან (დუმასთან) გავაზე მიეკრობა ხოლმე ცხვარს და აქედგან გადადის ზურგზე, გვერდებზე, კისერზე და მხრებზე. მოკლე ხანში მუნისაგან ცხვარს საშინლად უზვიადდება მუნიანი ადგილები, მატყლიც ალაგ-ალაგს მუჭა-მუჭა სცვივა და სულაც მთელს ტანზე მატყლი ფუქდება, იხრდება. ზოგჯერაც ცხვარი ვამწვავებული თითონვე იწიწკნის პირით ბეწვს. ცხვარი აუტანლად იტანჯება, აკრაჭუნებს (სიმწვავით) კბილებს, აქა-იქ ქვას, კლდეს და ხეებს ეხახუნება, იგლეჯს მუნიან ადგილებს, მიწაზე გორაობს. მორეული მუნიანი ადგილები უწყლულდება, უმუწუკდება და ბოლოს დაჯანდაკებული, ტყავსა და ძვალზე დასული ცხვარი იღუპება. მეტადრე ზამთარში მუნი დიდი უბედურებაა

ცხვრის პატრონისათვის რადგან ცხვარი უფრო ხშირად ფარეხშია შემწყვდეული და მუნის ტკიპასაც ეგ უნდა, გაზაფხულზე კი ძლიერ შველის ცხვარს გაკრეჭა და ბანაობა.—

**წამლობა:**

მუნს ხანგრძლივი და ენერგიული, ბეჯითი წამლობა უნდა. ამისთვის საჭიროა ცხვარი ჯერ გაკრიჭოთ, მოაშოროთ ბალანი, ხოლო იმ ადგილებზე, სადაც მუნი ეტყობა, წაუსვით წამლები, რომლებიც ხოცავენ მუნის ტკიპს. მაგრამ ასე თითოთ რას გახდიბით, როცა მთელი ფარა მუნიანია, უნდა გამართოთ საგანგებოდ აბანო (ვანნა, აბაზანა). მთავრობის ბრძანებით პრუსიაში დღეს უმთავრესად ხმარობენ კრეოლინის ვანებს. ვიდრე კრეოლინის ვანაში აბანებდეთ ჯერ, უნდა წაუსვათ ცხვარს შემდეგი სალბუნი (ლინიმენტო):

აიღეთ: ინგლისური კრეოლინი 1 ნაწილი
სპირტი 90%  .  .  1  „
აფთიაქის მწვანე საპონი 8  „
ყველა წესიერად აურიეთ *)

ამის წასმის შემდეგ მუნიანი ცხვარი უნდა აბანოთ კვირაში ერთხელ კრეოლინის ვანაში—ორჯერ რო აბანოთ საკმარისია.

ასი ცხვარის საბანებლად $2^1/_2$ % კრეოლინის ვანნა ასე მზადდება:

აიღე: კრეოლინი $6^1/_2$ გირვანქა წყალი 250 გირვანქა ანუ ექვსი ფუთი და ათი გირვანქა ანუ სამი ვედრო წყლისა რო აირევა რძესავით თეთრი გახდება. საჭიროა ისიც იცოდეთ (რომ არ მოსტყუვდეთ) ნამდვილი კრეოლინი წყალში აირევა თუ არა, რძესავით გათეთრდება წყალი.

*) თუ ბევრია საჭირო, მაშინ კრეოლინი და სპირტი თითო გირვანქა აიღეთ და საპონიც 8 გირვანქა.

**კრეოლინი** (Креолинъ, Creolin) აფთიაქის მაღაზიებში ღირს ფუთი 5 მან. 50 კ. თუ გაჭირდა ექვსი მანეთი.

კრეოლინის მაგივრად ზოგჯერ ფენოლს ხმარობენ (კარბოლკა შავი) ფუთი ღირს 3 მან. 50 კ. ან ოთხი მან. კარბოლკა იმითი იცნობება, რომ წყალი არ თეთრდება რძესავ. ამით შეგიძლიანთ არ მოსტყუვდეთ.—კრეოლინი უეჭველად რძესავ ათეთრებს წყალს.

ფენოლი უბრალო (Карболовая кислота простая) იმიტო არვარგა, რომ ტყავსა სწვავს, მაგრამ მაინც შეიძლება სარგებლით ვიხმაროთ სელის ზეთში გადარეული, მაგალითად ორი წილი ზეთი და ერთი წილი კარბოლკა (ფენოლი). თუ ხბორებისთვის დაგჭირდათ, ზეთი კიდევ მეტი აიღეთ.—

ცხვრის ბანება კრეოლინის ვანაში რაღა თქმა უნდა კარგს დარშა, მყუდრო მზის გულზე უნდა—თბილს და უქარო დღეს.—

ზოგჯერ თამბაქოს (წეკოს, მახორკას) ნახარშსაც ხმარობენ საქონლის მუნისთვის.

—

ცხენს რო მუნი გადაედება, საშინლად იტანჯება. მეტადრე თბილს თავლაში, როდესაც მუნის ტკიპები იწყებენ ხოლმე ფუთფუთს, მოძრაობას, პეპლაობას, კვერცხის დებას... ზოგჯერ სიმწვავე იქამდე მიდის რომ ცხენი ცოფიანდება.—

**ცხენის წამლობა:**

წაუსვით: კრეოლინი წყალში არეული ანუ არყის კუპრი (березовый деготь)

თუ გაჭირდა და ამათ ვერ უშველეს რა, მაშინ აიღეთ სულეიმანი (1—5 პროც.) წყალში გახსნილი. სულეიმანი (Сулема) ხუთი მისხალი ჩაყარეთ ერთ ბოთლ წყალში და ცოტაც საჭმელი მარილი მიუმატეთ, კარგად ანჯღრიეთ, ვიდრე სულეიმანი წყალში გაიხსნებოდეს და ეს წამალი (წყალი) წაუსვით ცხენს მუნიან ადგილზე. სულეიმანი ძლიერი შხამია, საწამლავია და ამიტომ უნდა დოქტორის რეცეფტით გამოიტანოთ აფთიაქიდან და თანაც დიდის სიფრთხილით მოექეცით, თუ ვისმე წყალი ეგონა და დალია სიკვდილს ველარას გზით ვერ გადაურჩება— საშინელ ტანჯვით დალევს სულს.

სცადეთ აგრეთვე თამბაქოს, წეკოს ნახარში (5%). მაგრამ ამ წამლებით რო ჩამოჰბანოთ მუნიანი ადგილები, ბოლოს უნდა იხმაროთ (წაუსვათ) ზემოდ დასახელებული სალბუნი (ლინიმენტი) კრეოლინისა.

**ძაღლს** ძალიან ხშირად უჩნდება მუნი და ამიტომაც ძაღლის სიახლოვე საშიშია ადამიანისთვის, მეტადრე ბავშვებს ადვილად გადაედებათ ხოლმე მუნი ძაღლისაგან. აი ამიტომაც ცუდი ჩვეულება გვჭირს ძაღლებს რო ოთახში ვინახავთ. მეტადრე ზოგმა რო იცის ძაღლს თავის ლოგინზე ან ტახტზე, დივანზე აწვენს.

**ძაღლის წამლობა:**

წაუსვით: 1) კრეოლინის ლინიმენტი.
2) არყის კუპრის ლინიმენტი.
3) კრეოზოტი (Kreosotum).
4) ფენოლი (კარბოლკა) უბრალო.

კრეოზოტი და ფენოლი ისე სადათ არ წაესმის, უნდა აურიოთ ან წყალში ან სელის ზეთში ან ზეითუნის ზეთში. (ორი წილი ზეთი ან წყალი და ერთი წილი წამალი).—

რქიან საქონელს ისეთივე წამლობა უნდა, როგორც ცხენს: კარბოლის ან კუპრის საპონი (Дегтярное мыло) კრეოლინის ლინიმენტი (ზემოდ ნათქვამი) კუპრის საცხებელი და სხვ.

აგრეთვე ძლიერ არგებს: ვილკინზონის საცხებელით ზილოთ და ორ დღეში ერთხელ მწვანე საპნით და თბილი წყლით ჰბანოთ. თუ საქონელი ბევრია მუნიანი, მაშინ იმგვარათვე მოექეცით, როგორც ცხვარს ე. ი. წყალში გახსნილ კრეოლინით ჩამოჰბანეთ მუნიანი ადგილები და სხვ.

საზოგადოთ კანონად არის მიღებული, რომ ავადმყოფი მუნიანი საქონელი თუ ცხვარი არ უნდა მიაკაროთ საღს. ჭირიანები ცალკე ბოსელში შერეკეთ, ცალკე აძოვეთ და ცალკე აჭამეთ, ასვით და იქვე უწამლეთ.

ბოლოს და ბოლოს როცა დაატყოთ, რომ წამლობა არას შველის და ჭირი უფრო მძლავრდება, ყველაზედ უკეთესია თოფით მოკლათ და მოიშოროთ. საქონლისთვის თუ ცხენისთვის ისა სჯობს, რომ ტანჯვით სიკვდილს, ერთხელ მოკვდება და მორჩება, ხოლო ოჯახისთვის ის სჯობს, რომ აღარც ჯალაბობას გადაედება მუნი და აღარც დანარჩენ საქონელს. ერთის და ორის ზარალი სჯობს ვიდრე ათასი და ოცისა.

მუნიანი მკვდარი საქონელი უეჭველად უნდა ღრმად ჩაფლათ სოფელს გარეთ სადმე მიწაში, ან ნავთი გადაასხათ და დასწვათ.

ამასთანავე მუნიანის თუ ქეციანი საქონლის მოვლას ყველანი ნუ იკისრებთ— ერთი კაცი მიუჩინეთ. სიფრთხილით უსვას წამალი, რომ მუნს არ მიეკაროს ტანისამოსით და სხვ. მუნიანის წამლობის

და მოვლის შემდეგ ხელები უნდა დაიბანოს უეჭველად ცხელი წყალით და კარბოლის საპნით ანუ აფთიაქის მწვანე საპნით.—საზოგადოთ გირჩევთ ყველა ოჯახში აფთიაქის მწვანე საპონი (Sapo viridis) გამოულევლად იქონიოთ. ევროპიელები არამთუ წამლად ხმარობენ ამ საპონს, სამზარეულოშიაც კი ყოველდღე სტოლებს რეცხვენ მწვანე საპნით და შჩეტკით. როცა საეჭო რასმე მიეკაროთ, ან ის სტოლი რაზედაც საჭმელი უნდა მოამზადოთ და ან პური სჭამოთ, თუ საეჭოა მწვანე საპნით გარეცხეთ ხოლმე.

**ილ. ალხაზიშვილი.**

# მინერალი ქიმია

## შესავალი *)

ბადაავლეთ თვალი თქვენ გარს მდებარე არე მარეს!

უხშირესად მრავალფერი, თვით შთაბეჭდილებითაც დაუსრულებელია წარმტაცი სურათი მისი,—მომხიბლავია ჭრელი კალთები ბუნებისა, მაგრამ კიდევ უფრო მომჯადოებელი და ამასთანავე საკვირველი იმ სხეულთა სიმრავლეა, რომელნიც შეადგენენ მის ნივთიერ სიმდიდრეს!—

— არის რაღაც მიუწდომელი,—ჯერ დღესაც აუხსნელი და უხილავი—ენერგია, რომელმაც მისცა დასაწყისი მსოფლიოს,—ყოველ არსს, დაუქვემდებარა ერთ კანონს და ვით

---

*) სასურველია არ ეგონოს მკითხველს, რომ ქიმია მარტო იმით საზღვრდება, რასაც დღეს აქ ამოიკითხავს;—მართალია შესავალი სულ სხვა კურსისთვის იყო დაწერილი, მაგრამ არა მგონია დღევანდელმა დიდმა შესავალმა რამე ავნოს საერთოდ ასე პატარა წერილს, რომელშიაც მოვიმწყვდიეთ წინასწარი ცნობანი და აგრეთვე უმთავრესი ელემენტები და მათი რთულები. ცხადია რომ ჩვენ სიტყვაც არ გვითქვამს ქიმიურ კანონებზე; ტერმოქიმიაზე და სხვა მრავალ განყოფილებებზე, რომელთაც მაინც დიდი მნიშვნელობა აქვთ.

იგივე ითქმის ორგანიულ ქიმიაზედაც, რომელსაც ჩვენ სრულიადაც არ შევხებივართ, რათა იგი დღევანდელი წერილის პირდაპირ მიზანს არ შეადგენს.—

— ვსარგებლობთ უმთავრესად ფრანგული ტერმინოლოგიით, რადგან ისეთი ტერმინოლოგია მაგ. როგორიც რუსებსა აქვთ, ჩვენი ენისთვის ბევრგან სრულებით უხერხულად მიგვაჩნია.

და რაც შეეხება მარილებს,—აქ ხომ ვეცადეთ რაც შეიძლება განვშორებულიყავით მათ მიერ მოცემულ ტერმინებსა, რადგანაც ისინი პირველად ქიმიის ხელში ამღებს ორაზროვნობას უბადევენ. მაგ. რუსები იტყვიან ისეთ მარილზე როგორიცაა კალციუმის ნახშირბანდანი $Co^3Ca$ (ანუ ფრანგული corbonate de calcium) „**углекислый кальцій**“, ცხადია რომ აქ ეს ტერმინი **углекислый** ვერაა კარგად ნახმარი, როგორც ყველა მათი მარილების სახელები. ვისაც პირველად ესმის ეს სიტყვა, ჰგონია, რომ რაღაც მჟავისებურ სხეულთან აქვს საქმე და დარწმუნებული ვარ უფრო სითხეზე იქონიებს წარმოდგენას, ვიდრე ცარცზე ან მარმარილოზე, რის სახელადაც ის მათ მიუღიათ. ასეთი მაგალითებით სავსეა რუსული ქიმია. რასაკვირველია თავს ვერ გაიმართლებენ მითი, რომ სიტყვა **кислый**-ს ჩართვა **кислородъ**-ის, მჟავბადის მუნყოფას ნიშნავს, ისე ყველა მარილებს რომ მჟავის ხასიათი არა აქვთ ეს საანბანო ჭეშმარიტებაა.

**ნ. ჯ.**

საბედისწეროთ გამეტებულნი—მიანდო ეთერის ოკეანეს.

უწონარია თვით მადნარი ამა ოკეანისა, იგი ავსებს არა მარტო განუსაზღვრელ სივრცეს—მსოფლიოს, არამედ უმჭიდროესად აგებულ სხეულსაც კი,—იგი ჰბანს უმცირეს ნაწილს მატერიისას.—

— საზოგადოთ ყოველი სხეული, რომელსაც კი ვხვდებით ბუნებაში, შეგვიძლია გავყოთ ორ კატეგორიათ)—**ორგანიზულად** და **არაორგანიზულად.**

პირველს აკუთვნებენ უმთავრესად მცენარეებს და ცხოველებს.—ბოტანიკას და ზოოლოგიას დაუსახავთ მიზნად შესწავლა ამ სხეულთა აგებულობისა და სხვა მრავალ ფუნქციათა, რომელნიც მხოლოდ ცოცხალ არსის დამახასიათებელ თვისებებს ეხებიან.

— არაორგანიზულ სხეულთა შესასწავლ მეცნიერებას-კი—-ფიზიკა ეწოდება.

უკანასკნელთა იდუმალი შემადგენლობ-აგებულობა ანუ კონსტიტუცია რომ ვიცოდეთ,—აგრეთვე თვით ქიმიური რაობა მატერიისა, მაშინ ფიზიკა ცალკე მეცნიერება როდი იქნებოდა, არამედ მხოლოდ ნაწილი მათემატიქისა, რომლის საშუალებითაც სავცხოვო სისწორით შეიძლებოდა გამოანგარიშება არა მარტო მისა თუ, რასაც ვხედავთ, არამედ მისაც კი, რაც შემთხვევია დღემდი მატერიას, ანდა შეემთხვევა!—

— თუ მივიღებთ ჰიპოტეზას ეთერის არსებობის შესახებ,—პრობლემა ნახევრად ადვილდება;—წმინდა მექანიკური მოვლენანი, როგორიც არიან მაგალითად ეთერის ცალღისებური რხევა, და მაშასადამე არსებობა ჯერ არა სავსებით გამორკვეულ ენერგიისა,—ნებას იძლევიან განვმარტოთ ფიზიკა მეცნიერებათ—ენერგიის გარდაქმნისა—და ქიმია კი მეცნიერებათ—მატერიის გარდაქმნისა.

— ხუთასი წლის წინად ჩვენი ერისა, ლეუციტი და დემოკრიტი ამტკიცებდენ, რომ ყოველი სხეული შესდგება ატომებისაგანო, ე. ი. სრულიად პაწაწა, ერთმანეთის მსგავს, უჩინარ ნაწილებისგანო! ასეთმა მოსაზრებამ ჩვენამდისაც მოაღწია;—უკეთ რომ ვსთქვათ, რაც უწინ მარტოდ-მარტო ჰიპოტეზა იყო, დღეს ჭეშმარიტებათ და სინამდვილეთ გადაიქცა.

მარტივ სხეულებათ—ანუ ელემენტებად აღიარებენ ისეთ ნივთიერებას, რომლისგანაც სხვა ელემენტი ჯერ არვის გამოუყვია, არ დაუშლია კიდევ უპაწაწეს, უმარტივეს სხეულებათ. მაგალითად: წყალბადი, მჟავბადი, ნახშირმანი, ლითონები და რთულებით კი უკვე: წყალს, ნახშირმანულ ანჰიდრიდს, ლითონების მჟავრებს, ჰიდრატებს და სხვა...

ატომი რომელიმე ელემენტისა, ეს მისი ნივთიერების ისეთი უპაწაწესი ნაწილია, რომელსაც კი შეუძლია მიიღოს მონაწილეობა სხვა და სხვა ქიმიურ რეაქციებში;—ელემენტთა ატომები ერთმანეთს უერთდებიან, რომ შეჰქმნან მოლეკული, უკანასკნელთა შეერთების ნაყოფი იქნება გაჩენა რომელიმე მარტივი,—ანდა რთული სხეულისა, თუ კი რომ ატომები სხვა და სხვა ნივთიერებიდან წარმოსდგებიან. მხოლოდ ამ მცირედ სხეულთა ნაწილებს შეუძლიათ იარსებონ ფიზიკურად, მაგალითად: ერთი მოლეკული წულისა, ე. ი. ისეთი უპაწაწესი მისი ნაწილი, რომელსაც კი შეუძლია იარსებოს წულის სახით, წარმოსდგება ორი ატომის წყალბადისა, ერთატომ მჟავბადისადმი შეერთებულად ($H^2O$);—ერთი მოლეკული წყალბადისა შეიცავს ორ ატომს იმავე წყალბადისას, ე. ი. ორატომიანია.—არიან აგრეთვე ერთატომიანი ელემენტებიც, მაგ.: ჰელიომი, ცინკი, კადმიომი, ჯიკა.

არ შეუდგებით იმ მეთოდთა აღწერას, რომელნიც საშუალებას იძლევიან გამოვიანგარიშოთ თუ რამდენი მოლეკული იმყოფება მაგალითად ერთ კუბიურ სანტიმეტრ გაზში ჩვეუ-

ლებრივი ტემპერატურისა და ატმოსფერული მწოლობის ქვეშე, მაგრამ როგორც მაგალითი დაგვიმტკიცებს, მათი რაოდენობა ხშირად აღემატება 30 მილიარდს ისეთ მცირედ ერთეულზე. აქედამ ცხადათ ვხედავთ თუ, რა უნდა იყოს სიდიდე თითო მოლეკულისა: მაგალითად წონით, მასსა წყალბადის მოლეკულისა უდრის 2,04-$^{24}$ გრამს, რაც დიამეტრით ერთი მილიმეტრის ათ მილიონამდი თუ იქნება!

ყოველგვარ ქიმიურ რეაქციის, შეერთების ან და დაშლის დროს, ელემენტის ატომი უხლებლად რჩება; დაუსრულებლად ინახავს თავის ინდივიდუალობას, და სწორედ ამიტომაც დაიმსახურეს მათ სახელად ატომები. მაგრამ მაინც ყოვლად შეუძლებელია არ დაგვებადოს საკითხი,—თუ სანამდი რჩება ატომი ისე განუკვეთლად, და თუ არა,—წინააღმდეგ მოვლენაში, სად უძევს საზღვარი ასეთ მუდმივობას?

ერთი ატომი სპილენძისა, რკინისა, მჟავბადისა და წყალბადისაც-კი, რომელიც ყველაზედ უმჩატესია,—ნუ თუ ისინიც თავის მხრით არ იქნებიან შემდგარი პაწაწა, მჭიდროდ შეერთულ ნაწილებისაგან, რომელთა დაყოფა მართალია დიდ სიძნელეს წარმოადგენს ტეხნიკურის მხრითაც, მაგრამ შეუძლებლობას კიდევ არ ნიშნავს?

თუ რომ ეს იდეა მივიღეთ, რასაკვირველია, ბუნებრივი იქნება ჩვენი აზრი მის შესახებ, რომ ატომები აშენებული არიან ერთსა და იმავე მასალა-შემადგენლობით, და განსხვავდებიან კი მხოლოდ რაოდნობით და ხასიათით ამ ნაწილების ერთმანეთთან შეჯგუფებისა.

თუ ეს ასეა საგანთა სინამდვილეში, შეიძლება იფიქროს კაცმა ატომის გარდაჭქმნაზე,—შეჭქმნა ერთი ელემენტისა მეორესაგან,—ამაშია ამოცანა,—პრობლემა გარდაქცევისა.

ყველამ ვიცით, რომ მატერია მიისწრაფის მატერიისკენ მიმზიდველობის კანონით; ერთეული მუდმივი მიმზიდველობისა გვარწმუნებს, რომ ყველა სხეულთა ატომები იქნებიან შეჭქნილნი არათანასწორ შეკუმშვით თავდაპირველ ელემენტისა, რასაც ამასთანავე სავსებით ადასტურებს ის დამოკიდებულება ატომთა და სხვა ელემენტთა შორის, რომელიც აღმოჩენილ იქმნა ქიმიკოსთა მიერ და რაც უცილობლად ეთანხმება მათ შეხედულობას. ეს იდეა ყოველი საგნის შემადგენლობისა, ე. ი. მხოლობითი პრინციპისა არა უკანასკნელი დროის მოსაზრებაა, არამედ მას პარტიზანი მუდამ ჰყავდა. 25 ასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ტალესი ამტკიცებდა არსებობას ერთნაირ პირველყოფითი მადნარისა, რომელსაც მან სული და არა ჩვეულებრივი მიმზიდველობითი ძალის ქონაც კი მიაწერა. ანაქსიომენი, ანაქსიმანდრი და ჰერაკლიდიც ლაპარაკობდნენ ამ პირველყოფილ, მსოფლიურ მიზეზზე. წასული საუკუნის დასაწყისში—ინგლისელმა ქიმიკოსმა პრუსტმა გამოაქვეყნა ჰიპოტეზა მის შესახებ, რომ შესაძლებელია მარტოდ-მარტო წყალბადის პროგრესიული შეკუმშვით, რომელიც ყველა სხეულებზე უმჩატესია,—ყოველი ელემენტის მიღება!

ფრანკი დიუმა დაუბრუნდა მის ჰიპოტეზას და იპოვა ახსნა ამ მოვლენისა მასში, რომ სხეულების ატომიური წონა გამოხატულია ყოველთვის მთელი რიცხვებით (თუ სავსებით არა დაახლოვებით მაინც). თუმცა, იმ მოვლენის მიხედვით რომ ატომები ინახებიან სხეულთა ყოველგვარ ქიმიურ და ფიზიკურ ცვალებადების დროსაც,—დაშვებულ იქმნა ელემენტთა უსაზღვრო მუდმივობა ე. ი. ვითომც და ისინი უკვე ერთნაირ „მზა სხეულებსა“ მოგვაგონებდნენ.

ამნაირად, მარტო ოცი წელი იქნება მის შემდეგ, რაც მეცნიერთ სწამდათ ელემენტთა მუდმივობა,—მაშასადამე გარდაქცევის იდეას უტო-

პრათაც კი სთვლიდენ, და ამავე დროს მტკიცედ სწამდათ, რომ არცერთ სხეულს არ შეეძლო ენერგიის მოცემა, თუ კი რომ უკანასკნელს მას სხვა სახით მაინც არ შეუერთებდენ.—

— გასაოცარმა აღმოჩენამ რადიოაქტივობისა სრულებით დაამსხვრია ის პირვანდელი შეხედულობა,—მთელი რევოლიუცია მოახდინა მეცნიერებაში და სასიკვდილო მეხი დასცა ნივთიერების მუდმივობას:—მან ცხადად დაგვანახა, რომ არსებობენ სხეულები დამოუკიდებლად მქონე მუდმივი ენერგიისა,—რომელნიც ქიმიურად მარტივ სხეულებს წარმოადგენენ, მაგრამ აშკარად ჰბადებენ სულ სხვა ელემენტებს.

1896 წელს პირველ მარტს, ჰენრიხ ბეკერელმა აღმოაჩინა, რომ მეტალური ანუ ლითონური ურანიუმი და ურანიუმის მარილები, სრულ სიბნელეში ჰფენდენ სხივებს, რომელნიც შავი ქაღალდის და ალიუმინის თხელ ფურცლის ქვეშ ამოდებულ ფოტოგრაფიულ ფირფიტებს ამთაბეჭდილებდნენ, და—ამავე დროს ელექტრიზულ სხეულებსაც კი სცლიდნენ ხოლმე.

ამ მოვლენათა დამაფუძნებელი ხასიათი ჰენრიხ ბეკერელის აზრით იმყოფება შემდეგში:

1) „აღმოშვება არის ნებსითი და შესამჩნევი მუდმივობითაც:—ტემპერატურის ცვალებადობა ფართე საზღვრებში მათზე არ მოქმედობს“.

2) „ენერგიის გამოყოფა ეკუთვნის კერძოთ ატომს, ე. ი. სრულიადაც არაა დამოკიდებული ურანიუმის შერთულობის სხვა და სხვაობაზე, მაშინ როდესაც სხვა ფიზიკური და ქიმიური თვისებები იცვლებიან ერთი რთულიდამ მეორესადმი“.

უკვე აშკარად ვხედავთ, რომ ეს მოვლენანი, შეურყეველნი მიუხედავად ყოველი ცვალებადობისა გარეგან პირობებში,—ეხებიან ატომს უფრო პირდაპირად, ვიდრე სხვა რომელიმე დღემდი ცნობილი თვისებანი.—

— ორი წლის შემდეგ, როდესაც ქალბატონი და ბატონი კიური არჩევდენ სხვა და სხვა სხეულებს, იმ მიზნით რომ გაეზოგადოებიათ ბეკერელის აღმოჩენა, დარწმუნდნენ, რომ თორიუმი,—მისი მარილები, და აგრეთვე სხვა მრავალი მარილებიც იმავე თვისებებს იჩენდნენ,—ასეთ საერთო მოვლენას მათ უწოდეს სახელად—რადიოაქტივობა. და გარდა მისა ისიც გაარჩიეს, რომ ზოგიერთ სხეულის სხივოსნობა ბევრად აღემატებოდა იმავე თვისებას ურანიუმის და თორიუმისას;—აქედამ იბადება აზრი კიდევ სხვა, მაგრამ ჯერ უცნობ სხეულთა არსებობაზე, რომელთა რადიოაქტივობა ბევრად უფრო ცხოველი უნდა ყოფილიყო,—და სწორედ იმის ძებნით მიაღწიეს მათ და აღმოაჩინეს ორი ახალი სხეული—რადიუმი და პოლონიუმი;—უკანასკნელი ორ მილიონჯერ უფრო აქტიურია ვიდრე ურანიუმი. თითქმის იმავე დროს დებიერმა აღმოაჩინა კიდევ ახალი ელემენტი, რომელსაც სახელად აქტინიუმი უწოდა.—

—სანამ შევუდგებოდეთ რადიოაქტიულ სხეულთა სხივოსნობის შესწავლას, არ იქნება მეტი ცოტა შევჩერდეთ და შეძლებისდაგვარად ავხსნათ თუ რაა ჯერ კიდევ ბუნდოვანათ ცნობილი სხივოსნობა, რადიაცია და სხივი.

— ფიზიკის უკანასკნელმა აღმოჩენებმა დაგვანახვეს, რომ ენერგიის გადაცემა შესაძლებელია ორ სულ სხვა და სხვა სახით: ტალღისებური რხევით და კიდევ პაწაწა ნაპერწკლების, პროექტილების დენით.—

— სინათლე რხევითი მოძრაობაა, იგი გადაიცემის ერთნაირ უწონარ შუალში, რომელსაც უწოდებთ ეთერს. შუალი იგი არსებობს ყველგან, როგორც ყოველ სხეულში, აგრეთვე უნივთიერო სივრცეშიაც კი, — როგორიცაა მაგალითად სიცალიერე.—

— ხილული სინათლე, X სხივები. ჰერცის სხივები (უმავთულო ტელეგრაფი), ხასიათდებიან იმ ტალღისებური რხევით, რომელიც ხელს უწყობს მათ გავრცელდნენ ეთერში 300,000 კილომეტრის სიჩქარით წუთში. მაგრამ გარდა სინათლის სხივებისა, არსებობს სხივოსნობა კიდევ სხვა ხასიათისა და ბუნებისა, იგი შესდგება სულ მცირედ, პაწაწა,— ელექტროთი დატვირთულ ნაწილებისაგან, რომელნიც მოგზაურობენ აგრეთვე წარმოუდგენელი სიჩქარით. უკანასკნელნი ვრცელდებიან უოველთვის სწორი ხაზით, სანამ რამე დამოუკიდებელ მიზეზს არ გადაეჩეხებიან წინ.—

— რადიოაქტიკულ სხეულთა სხივოსნობა შესდგება სამგვარ სხივთაგან. ორი მათგანი ელექტრიზულ პროექტილების კატეგორიისაა და მაშასადამე მათი განშორება ადვილი შესაძლებელია მაგნიტური ძალის გავლენით, რომელიც გახრის, მიმართულებას შეუცვლის ელექტრიზულ სხივებს, მაგრამ სამაგიეროდ სრულებითაც არ მოქმედობს სინათლის სხივების მიმართულებაზე, ანუ გასარბენ გზაზედ.




ლები იმავე თვისებისა, როგორიც არიან მაგ. კატოდიური სხივები.—

— უოვლად შეუძლებელია ორი სიტყვით მისი ახსნა თუ რას წარმოადგენენ B სხივების ნაწილები, და ამიტომ იმედია მკითხველი დაკმაყოფილდება მარტო მათი თვისებების გაცნობითაც.—

— ზემოხსენებული სხეულები თითქმის უველა ერთმანეთს ემსგავსებიან;—მათ გადააქვთ უარყოფითი ელექტრული ტვირთი,—და სწორედ ეს ტვირთია ატომი ელექტრობისა,— ანუ ელექტრონი.

თითო ელექტრონის მასსა 1800 ჯერ უმცირესია წყალბადის ატომზე: არ შეიძლება იგი ჩაითვალოს—მატერიად, არამედ მხოლოდ შემადგენელად მატერიისა,—იგი შემადგენელია თვით მსოფლიოსი, რასაც ცხადად ამტკიცებენ ურიცხვი მოვლენანი, რომელთა კანონების შესწავლა დაუსახავს მიზნად ფიზიკას.

— ელექტრონები დიდ როლს თამაშობენ ელექტრულ დაცლაში,—ან და კიდევ როდესაც X სხივები ხვდებიან მატერიას, ისინი წარმოდინდებიან გახურებულ სხეულთაგან; სხვაგან კიდევ გადადიან ერთ მოლეკულიდამ მეორეზე და ჰყოფენ სხვა და სხვა ლითონებს მტარად სითბოსა და ელექტრობისა;— მათვე ვხვდებით სინათლის მოვლენებში, რათა სწორედ ეს მათი რხევით მოძრაობაა, რომ გადაიცემის ეთერის საშუალებით,—სახით ხილული ან და უხილავი სინათლისა.

საერთოდ კი ელექტრონების თვისებანი იძლევიან წარმოდგენას ერთგვარ საშუალო— ეთერიდამ მატერიისიდმი გარდამავალ ნივთიერობაზე,

B სხივები გამოდიან, უკეთ რომ ვსთქვათ გამოსხლტებიან ხოლმე რადიო აქტიკულ ნივთიერებიდამ წარმოუდგენელი სიჩქარით, რომელიც სინათლესაც კი უდრის; უსწრაფეს სხივს მაშინ სხეულები ვერ ჰკავებენ, ისე

1) B სხივები მეტად გადიხრებიან ხოლმე მაგნიტური ძალის გავლენით.

ბეკერელმა დაამტკიცა, რომ მათში ბევრია უარყოფითი ელექტროთი დატვირთული სხეუ-

რომ იგი ადვილად გასწვდის ყოველგვარ შუშეულს.

2) a სხივები დატვირთული არიან დადებითად;—მათი სიჩქარე უდრის 15—20,000 კილომეტრს წუთში. უკანასკნელთ უფრო ნაკლებად ხრის ხოლმე მაგნიტური ძალა, რადგანაც a-ს მასსა, როგორც მალე დავინახავთ, ატომია ჰელიომისა,—და მაშასადამე B-ს სხეულებზე ბევრად უდიდესი.

1894 წელს რამზაიმ გამოჰყო ურანიუმის მადნეულიდამ აღმოშვებულ გაზში ერთი ელემენტი, რომელსაც სახელად ჰელიუმი უწოდა. იგი მანამდი სრულიადაც უცნობი იყო ჩვენს პლანეტაზე, მაგრამ ლოკკიერის მიერ უკვე იყო ნახული მზეში, სპეკტრალური ანალიზის დახმარებით.

ეს გაზი მეტის მეტად მჩატეა, ე. ი. მისი სიმძიმე ორჯერ მეტი თუ იქნება წყალბადისაზე.

ჰაერშიაც პოულობენ მას $1/_{245000}$ პროპორციით.

ჰელიომს ნახულობენ ყოველთვის რადიოაქტიულ სხეულებში;—რუტერფორდი ამტკიცებდა, რომ ეს გაზი წარმოსდგება რადიოაქტიულ სხეულთა გარდაჰქმნიდანო; მან დაგვანახვა შესანიშნავ მაგალითებით, რომ რადიუმის a-ს ნაწილები, ჰელიუმიდან სრულიადაც არაფრით განირჩევიან, და მაშასადამე უკანასკნელი ელემენტის ატომებათ უნდა ჩაითვალოსო.

დღეს უკვე საქვეყნოთ დამტკიცებულია, რომ ყველა ის სხეულნი, რომელნიც იძლევიან a-ს სხივებს, აჩენენ აგრეთვე ჰელიუმსაც: a-ს თითო ნაწილი შეადგენს ჰელიუმის ერთ ატომს, მისი ელექტრული ტვირთიც გამოანგარიშებულია, იგი თვისებით დადებითია და რაოდნობით კი ორჯერ უფრო მეტია ელექტრონისაზე.—

— შეიძლება შეცდომით ვისმე ეგონოს:— რადგანაც რადიოაქტიულ სხეულები იძლევიან ჰელიუმსა, მაშ ისინი ქიმიურის თვალსაზრისით ყოფილან ჰელიუმის რთულებიო! ჩვენ დავინახავთ ახლავე, თუ რატომ იქნებოდა შეცდომა ასეთი მოსაზრება.—

— მართალია ჰელიუმი ჩნდება რადიოაქტიკულ ატომთა გარდაქმნის დროს, მაგრამ იგი შედეგია რადიოაქტიულ სხეულთა დეზინტეგრაციისა.—ერთგვარი ელემენტია პირველყოფილი მსოფლიოისა,—და ატომი მისი კი სხვა უფრო რთულ სხეულთა ატომების ასაშენებელი მასალაა.

3) რადიოკტივული სხეულები იძლევიან კიდევ მესამეგვარ სხივებს, ეგრედ წოდებულ γ სხივებს. უკანასკნელნი სრულიადაც არ ატარებენ ორ პირველ სხიბთა ხასიათს, ე. ი. არ ექვემდებარებიან იმავე ძალებს, არც ელექტრიზული არიან; მაგრამ უფრო მოგვაგონებენ X სხივების თვისებებს, და სრული უფლება გვეძლევა მივაწეროთ ისეთსავე სხივოსნობას, როგორიცაა მაგალითად სინათლე.

— დაუბრუნდეთ ისევ a და B სხივებს; მიუხედავათ მათის გასაოცარი სიჩქარისა, a B სხივების პროჟექტილები ნივთიერებაში შორს არ მოგზაურობენ:—მაგარი სხეულები მათ სწრაფად აჩერებენ და არც გაზები უწყობენ მაინცადამაინც ხელს მათ მოძრაობას, რათა მოლეკულების შეხლაში, სხეულები მალე ჰკარგვენ თავის პირვანდელ სიჩქარეს. ამ შეჯახების დროს ყოველთვის ადგილი აქვს ასეთსავე მოვლენას, რაც მაგალითად დიდ მატერიულ პროჟექტილებს შეემთხვევათ ხოლმე, ე. ი. შეხლის დროს მთელი მათი ცხოველი ძალა—სითბოთ იქცევა. ისე რომ რადიოაქტიული სხეულები ისეთ სხივოსნობით თბებიან და მაშასადამე მათი ტემპერატურა ყოველთვის აღემატება გარეშე სხეულებისას.—

ერთი გრამი რადიუმისა იძლევა საათში 132 კალორიას ე. ი. უმეტეს სითბოს ვიდრე საჭირო იქნებოდა მის წონა ყინულის დასადნობად. გამოყოფილი სითბო უნდა მძე-

წეროს თითქმის ერთიანად მარტო α-ს ნაწილებს, რომელთა ცხოველი ძალა შეადგენს 95 მესედს მათის სხივოსნობის ენერგიისას.

იბადება საკითხი, თუ სადაა წყარო ამ უწრეტი ენერგიისა? ჯერჯერობით მხოლოდ ორი ჰიპოტეზაა განხილული.

1) „დახარჯული ენერგია არის შეძენილი, ანუ უკეთ შეთვისებული გარეშე მყოფ სხეულთაგან; — რადიოაკტიკული სხეულები კი გარდამქმნელი არიან ენერგიისა“.

2) — „ენერგია მომდინარეობს იმავე მატერიიდამ, — ამ შემთხვევაში — თვით რადიოაკტიული ნივთიერება უნდა იყოს გარდაქმნილი“.

— სწორედ ეს უკანასკნელი ჰიპოტეზა ატომიური გარდაქმნისა უნდა იყოს დაცული და შენახული:

მით უფრო რომ იგი თვალსაჩინო შეიქნა ცდითი შემოწმების შემდეგ. —

— 1899 წელს, ორმა კაპიტალურმა აღმოჩენამ საბოლოოდ ცხად ჰყო მათი სინამდვილე და მოჰფინა სინათლე დღემდი უცნობ არეს.

ერთის მხრით ქალბატონმა და ბატონმა კიურიმ შეამჩნიეს, რომ თუ რომელსამე სხეულს განგებ მოათავსებდით რადიუმთან ერთად დახურულ ჭურჭელში, და შემდეგ კი განაშორებდით აქტიურ ნივთიერებას, — იგი თვით რამდენიმე ხნით რადიოაკტიკულ სხეულად ხდებოდა. მათ უწოდეს ასეთ მოვლენას სახელად რადიოაქტიული ინდუქცია.

მეორეს მხრით რუტერიკორდმა აღმოაჩინა, რომ რადიუმი იმნაირადვე მოქმედობდა გაზებზე, როგორადაც ზემონახსენებ მაგარ სხეულებზე: ე. ი. გაზები იძენდნენ ნივთირების აქტივობას. —

— ამავე მეცნიერმა დაგვანახვა თითქმის იგივე თვისებები თორიუმისა, რაც კიურიმ ადრე რადიუმს მიაწერა და ამასთანავე დაამტკიცა, რომ ეს უველაფერი ხდებოდა ემანაციით. —

ცოტა ხნის შემდეგ დორნმა აღმოაჩინა რადიუმის ემანაცია, რომელიც ნახევრდებოდა, 3,8 დღის განმავლობაში, რის უეჭველ მიზეზად მხოლოდ რადიოაკტიკული ინდუქცია იქნა აღსარებული. განვაგრძოთ: — რადიუმის ან თორიუმის ხსნილს რომ თბობა დაუწყონ, ან და შიგ რამდენიმე ხნით ჰაერის ნაკადი აბუყბუყოთ, — ხსნილი იძლევა ემანაციას და მაშასადამე ჰკარგავს ერთ ნაწილს თავის აქტივობისას, მაგრამ უფრო საყურადღებო ისაა, რომ იგივე აქტივობა ხელახლად თავისი ნებით აღდგინდება ხოლმე.

ამ მოვლენის საუკეთესო ახსნა იქნება შემდეგ მოსაზრებაში: თორიუმი და რადიუმი იძლევიან რადიოაქტიულ გაზს, რომელიც თავის მხრით ავრცელებს სხვა და სხვა საგნების ზედაპირზე აქტიურ ნალექს; — მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით ეს ემანაცია და აგრეთვე ნალექიც ჰქრებიან ხოლმე მცირე ხანში, რაც მათი არამუდმივობის, — სიმქრალის საუკეთესო ნიშანია.

ემანაცია იგი ერთსაირი გაზია, რომელიც მიღებული იქნა თითქმის წმინდა სახით; — გააჩნია საკუთარი სპექტრი, გამოანგარიშებულია აგრეთვე მისი კრიტიკული წერტილი ადუღების და გაყინვის ტემპერატურისაც.

ატომიური წონით და სხვა ზემოჩამოთვლილ ფიზიკურ თვისებებით, იგი იშვიათ გაზთა შორის არის ჩარიცხული (ჰელიუმი, არგონი, კრიპტონი და ქსენონი). ისიც საყურადღებოა, რომ ამ ელემენტის ყოველი განსხვავებითი თვისებანი იკარგებიან რადიოაკტივობის გაქრობის თანავე.

მაშასადამე, ემანაცია, როგორც უკანასკნელი მაგალითი გვიჩვენებს, მხოლოდ ეფემერული ელემენტი ყოფილა, რომელიც გარდაიქმნება ხოლმე. მაგრამ საკითხი არა ამ

გარდაქმნის პროცეშია, არამედ მასში, თუ რად იქცევა იგი!—

— 1903 წელს რამზაიმ და სოდდიმ მოამწყვდიეს ცარიელ შურშელში 60 გრამი ბრომიან რადიუმიდამ აღმოშვებული ემანაცია, რომელშიაც სხვა გაზები არ ერივნენ;—სამი დღის შემდეგ სპეკტრალური ანალიზის საშუალებით შეამჩნიეს ერთი ყვითელი ხაზი, რაც სავსებით ჰელიუმის დამახასიათებელია, ხუთი დღის შემდეგ ჰელიუმის სპეკტრი სრულად მოჩანდა, ე. ი. დამთავრებულიყო, მაგრამ ისიც საყურადღებოა, რომ ემანაციის პირვანდელ სპეკტრს სავსებით გაქრობა ჯერ ვერ მოესწრო. ამ პირობებში მიღებული ჰელიუმი, ემანაციისგან მოცემული α-ს სხივოსნობაა;—მაგრამ, როდესაც ემანაციის ერთ ატომს გამოეცლება α-ს ერთი სხეული,—დანარჩენი იმ ატომისა შეადგენს რადიუმის ერთ ელემენტს, რომელსაც სახელად **A** **უწოდეს**.

მაშასადამე ემანაცია იქცევა ჰელიუმათ და **A-რადიუმად**;—უკანასკნელი უკვე მკვრივი სხეულია და დაელექება ხოლმე ემანაციისთვის გამოფენილ საგნებს, ისინი იძლევიან კიდევ ჰელიუმს და **B-რადიუმს**, რომელიც თავის მხრით იქცევა **მესამე—C**—რადიუმათ და სხვა კიდ...

**Д—რადიუმის** შემდეგ სხეულების აქტივობა ნაკლებია, მაგრამ სამაგიეროთ მათი მუდმივობა მატულობს.

F-ის რადიუმი კი იგივეა რაც პოლონიუმი. ამ თანდათანობითი გარდაქმნის თეორია რადიოაქტიურ სხეულებისა ჩინებულად არის განხილული რუტერფორდი და სოდდის მიერ.

ვეცდებით შეძლებისადაგვარად გაგაცნოთ იდეა იმ მეთოდებისა, რომელთაც მისცეს ნება სახელოვან მეცნიერთ დაემტკიცებიათ მუნუოფა ანუ არსებობა გარდაქმნილი ელემენტებისა.

— უნდა ვახსენოთ, რომ გარდაქმნის კანონი მარტივი ელემენტებისა, რომელნიც განშორდებიან ანუ გამოეყოფიან წარმომშობელ ნივთიერებას, ექსპონენტური ანუ ხარისხობითია: მაგალითად ავიღოთ ცნობილი რაოდნობა რადიუმის ემანაციისა; 3,8 დღის შემდეგ შეგიძლიათ მიუსწროთ ნახევარს, მარტო მას შერჩენია პირვანდელი სახე; კიდევ 3,8 დღის შემდეგ კი ნახევრის ნახევარს.

ნივთიერების ნახევრობის გარდასაქმნელ დროს **პერიოდი** ეწოდება, იგივე კანონი შეიძლება გამოითქვას კიდევ სხვანაირად: „რაოდნობა გარდაქმნილი და დარჩენილი მატერიისა, თვით პროცესის დროს, გამოსახულია პროპორციონალი რიცხვებით“.

უკუქცევითი პროპორციონალობის კოეფიციენტისა შეადგენს ატომის საშუალო სასიცოცხლო დროს“.

დღეს თუ კი რომ ვისმე დასჭირდა რადიოაქტიურ სხეულთა კლასიფიკაცია,—ურანიუმს, თორიუმს და აქტინიუმს, როგორც წინაპართ, ყოველთვის თავში ახსენიებს ხოლმე.—

— ურანიუმის ატომი საშუალოდ ცხოვრობს ხუთ მილიარდ წელს, რადიუმის ერთი ატომის 2,900, აქტინიუმის ემანაციის ატომი $5^1/_2$ წუთს, თვით აქტინიუმისა კი $1/_{500}$ წუთს. ამ ევოლიუციის დროს,—ყოველთვის როდესაც კი ხდება ჰელიუმის აღმოშვება α-ს სხივების სახით,—რადიუმის ატომიური წონა იკლებს ოთხი ერთეულით, რაც სავსებით უახლოვდება ჰელიუმის ატომიურ წონას (მაგ. რადიუმისა=226,5-ა, ემანაციისა კი=222,5)

— გარდაქმნა თუ უსხივოსნობით ხდება, ანდა მარტო β და γ სხივების აღმოშვებით,—ატომიური წონის ცვალებადობას ვერ ამჩნევენ, მაგრამ ცხადია, რომ მის შემდეგ ატომები და აგრეთვე ელექტრონები, რომელნიც ატომებს ადგენენ,—სულ სხვა რიგათ იქნებიან შეჯგუფულნი.

თუ რომ სხეული არ იცვლის ადგილს, ე. ი. დეზინტეგრაცია დ^ა ელემენტების გამო-

ყოფა მის გარშემო ხდება, — რამოდენიმე ხნის შემდეგ დადგება ერთნაირი მდგომარეობა, რომელსაც რადიოაქტიურ წონასწორობას*) უწოდებენ; ე. ი. წონასწორობას ძველ სხეულთა დაშლის და ახალ ელემენტთა გაჩენის შორის (ანალოგია დისოციაციასთან), ისე რომ ასეთ წონასწორობას დიდი დამოკიდებულება აქვს ელემენტთა ატომების რაოდენობასთან და აგრეთვე თვით ატომის საშუალო სიცოცხლესთან. —

— ურანიუმი წინაპარია რადიუმისა, პოლონიუმისა და უეჭველად — ჰელიუმისაც.

საბოლოოვო, ანუ დასრულებითი ნაყოფი, რომელიც ყველას მუდმივი ჰგონია, — არის ტყვია.

უკანასკნელ ხანებში ეს მოვლენა სავსებით ნათელყოფილია (ქალბატონი კიური და დებიერნი), რადგან პოლონიუმი თვისი პროდუქტებით იძლევა 226,5 — 20, რაც 206,5, უდრის სისწორით ტყვიის ატომიურ წონას. —

— რადიუმი გადაიქცევა ჰელიუმად და ემანაციად.

იბადება საკითხი, თუ რა განსხვავებაა ამ უკანასკნელ მოვლენის და უბრალო ქიმიურ დაშლის შორის? რატომ არ შეგვიძლია ვთქვათ რომ რადიუმი შემადგენელია ჰელიომისა და ემანაციისა?

არ ითქმის ეს იმიტომ, რომ რადიოაქტიურ გარდაქმნა სრულიადაც არაფრით არა ჰგავს ქიმიურ რეაქციას, — რადგან პირველში ყველაფერი თავისთავად ხდება, — დამოუკიდებლად აგრეთვე ტემპერატურისა, მაგრამ კიდევ უფრო განსხვავებით ხასიათს ის მოვლენა იძლევა, რომ ამ გარდაქმნის დროს კოლოსალურ ენერგიის გამოყოფას აქვს ადგილი.

მაგალითად რადიუმი გარდაქმნის დროს, — პირველად ჰელიუმად და შემდეგ კი ტყვიათ, — იძლევა სამ მილიარდ კალორიას, ე. ი. იმდენსავე ენერგიას, რამდენსაც მოგვცემდა 500 კილოგრამი ნახშირის დაწვა, ან და კიდევ ერთ კუბიურ სანტიმეტრ რადიომს შეეძლო მოეცა 2,500,000-ჯერ მეტი ენერგია ვიდრე იმავე არეს მქონე, ასაფეთქებელ მჟავბადისა და წყალბადის რეულს.

ამნაირად რადიაქტიური ნივთიერება რთულ სხეულებს კი არ წარმოადგენენ, არამედ მხოლოთ ელემენტებს, რომელთა ატომები დარდაქმნას განიცდიან. ასეთ მოვლენაში ვხედავთ უცილობლათ მატერიის გარდაქცევას იმ სხეულთათვის რომელნიც იძლევიან α-ს სხივებს, და სრულ დეზინტეგრაციას კი იმათთვის, რომელნიც შობენ ჰელიუმს; რადგან ატომები გაორყოფდებიან ხოლმე ატომებათ, რომელთა ატომიური წონა ყოველთვის უმცირესია. —

— მიუხედავათ ყველა ზემოხსენებული ფაქტებისა, და აგრეთვე მისა, რომ დეზინტეგრაციის და სხვა მრავალ ნიშნობლივ მხარეებს, რომელნიც საკმარისად ნათელსა ყოფენ ამ ახალ ელემენტების არსებობას, მეცნიერები უცილობლად დებულობენ, — რადიოაქტიური მოვლენანი მაინც უცხო და საიდუმლო რჩება. პირველ მიზეზის ძებნაც ვერ დააგვირგვინებს საკითხს საბოლოოდ, რათა იგი სრულიადაც არ იძლევა პასუხს, თუ რატომაა მაგალითად ნებსითი ასეთი ევოლიუცია!

უარყოფა ატომების მოულოდნელი (ჰაზარდილ) დამხობისა — ყოვლად უსაფუძვლო მოსაზრება იქნება, რათა თუ რამ კი ითქვა დღემდი მათზე, შედეგია ხანგრძლივი, მეთოდიური, მეცნიერული შრომისა, რომელიც ყოველთვის მეტად სწორ პრინციპებს ემყარება და ამასთანავე მხოლოდ შრავალ ცდის შემდეგ აშენებს საერთო კანონს. —

— ნათელია, აქ გვერდს ვერვინ აუხვევს გარდაქმნის პრინციპს, რომელიც აშკარად დადადებს, რომ ატომები იმხობიან იმედივ.

---

*) უმჯობესი იქნება ვიხმაროთ ტერმინი შეთანწონილება. **რედ.**

კანონი შემთხვევითი დაშლისა თვით ატომთა ცხოვრებაზედ ურთულესია,—იგი ჯერ თეორეტიულად, მათემატიკოსების მიერაც არ არის სავსებით და ნათლად გამოთქმული, თორემ მის შემდეგ არა მარტო ატომთა ცხოვრების საიდუმლოებას ეხდებოდა ფარდა, არამედ სხვა მრავალ მოვლენებსაც, რომელნიც ღრმა ისტორიულ და სოციალურ ხასიათს ატარებენ, და მაშასადამე ყოველდღიურ ცხოვრებისთვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ.—

— ერთი კიდევ, რაც შეიძლება გვიბადებდეს ცნობის მოყვარეობას, მდგომარეობს შემდეგ საკითხში:

არის თუ არა რადიოაქტივობა საერთო თვისება მატერიისა!

ვგონებ მთელი მსჯელობიდამ ნათლად სჩანს, რომ ამ საკითხზე დადებითი პასუხის მიცემა აბსურდი არ იქნება.

— ეჭვს გარეშეა, რომ მატერია განიცდის ერთგვარ ევოლიუციას; მაგრამ ნუთუ ადამიანი ფიზიოლოგიურათ ისე უნაკლულოა, რომ იმ შემთხვევებში გამოყოფილმა უმნიშვნელო ენერგიამ მის გრძნობაზე შთაბეჭდილება მოახდინოს! და განა მარტო ილიუზია არ არის ის წარმოდგენა, რომელსაც ჩვენ ნივთიერების მუდმივობაზედ ვატარებთ?

მართალია რადიოაქტიური სხეულების შესწავლა გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ატომთა სამეფოში მეტად რთული წესწყობილება არსებობს, მაგრამ ნუთუ იმავე სხეულთა თვისებანი არ გვიმტკიცებენ, რომ მატერია არ არის უცვლელი!—

— თუ ურანიუმის ატომი ხუთ მილიარდ წელს ცხოვრობს, ან და კიდევ მარტო რადიუმისა აძლევს სამ მილიარდ კალორიას გარდაქმნის დროს, ვის შეუძლია იქონიოს წარმოდგენა იმ დაგროვილ ენერგიის რაოდენობაზე, რომელსაც შეიცავს მატერია? განა იმავე რადიუმის ტყვიად გადაქცევა საკმარის წარმოდგენას არ იძლევა იმ კოლოსალ ციფრებზე! და მერე, იგი განა მარტო მცირედი ნაწილი არაა იმ ენერგიისა, რომელიც დაგროვილა რადიუმის ერთ ატომში! ჰელიუმი და ტყვია,—საბოლოო სახე ხომ არაა ასეთი გარდაქმნისა,—და არა უკანასკნელთა ატომები, იგივე ულევი წყარო არაა მომავლისთვის?

„ენერგია იგი გამოიყოფის არა ჩვეულებრივი სინელით, მაგრამ მოვა, დრო, როდესაც ადამიანი უკეთ შეიარაღებული, შეამტვრევს კარებს ატომთა სამეფოსას, სადაც დააჩქარებს დეგრადაციას, რათა ისარგებლოს ატომთა შიგან მყოფ ენერგიითა;—სრულიადაც შესცვლის პროფესს. ე. ი. მოახდენს მატერიის ინტეგრაციას და ამით უეჭველად განახორციელებს ალქიმიკოსთა სატრფიალო ოცნებას!“

ნ. ჯანაშია.

(დასასრული იქნება)

პარიზი.

# შემეცნების საზღვართა საკითხი

(თარგმანი მაქს ფერვორნიდან)

(დასასრული)

„მე“ შევმეცნებ „რაღაცას“. შემეცნების ყოველი პროცესი ჰქმნის ურთიერთობას ორი ფაქტორისას: „მე“ და „რაღაცა“. რა არის „მე“? „მე“ არის ის, რაც ასე ეძვირება ადამიანის გულს, რაც აძლევს მას უმაღლეს სიხარულს და ულრმესს მწუხარებას, რომელიც მას ხან უყვარს, ხან ეზიზღება, ხან აღმერთებს, ხან სწყევლის, რომელიც უძლიერესად ამოძრავებს ადამიანში კეთილ-შობილურ გრძნობებს და იდეალებს და, მიუხედავად ამისა, მას შეუძლიან ჩააგდოს ადამიანი ბოროტ მოქმედებათა და ვნებათა წუმპეში; „მე“ არის ის, რასაც ადამიანი არ გასცვლიდა მთელ ქვეყანაზედ და ხან-კი მზადაა სრულებით მოიშოროს თავიდან, თუმცა ეს მისთვის ყოვლად შეუძლებელია, თუ ყველაფერზე ხელი არ აიღო, რომელიც მუდამ თან სდევს ადამიანს, ვითარცა აჩრდილი, რაც დაკავშირებულია მასთან და იღებს მონაწილეობას ყველაფერში, რაც ხდება ადამიანში და რასაც აკეთებს იგი. რა არის ეს მძლავრი, აუცილებელი, გარდამკიდე „მე“?

მეცნიერული კრიტიკის ფხიზელი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს „მე“ არის ხოლო ცდის ნაწარმოები.

ბავშვი იძენს ცოდნას გრძნობათა საშუალებით და აღმზრდელის დახმარებით ეჩვევა და სწავლობს სახელებს: დედა, მამა, წყალი, პური და სხვა. მრავალ საგანთა შორის, რომლებსაც ხედავს ბავშვი, არის მისი სხეულის ნაწილებიც. შემდეგში — განვითარების გზაზე, ბავშვის თვალწინ არის ხოლმე მუდმივ ზოგიერთა საგნები, როდესაც-კი იგი ხედავს, ესმის, გრძნობს, ფიქრობს და სხვა. ეს საგნები არის ბავშვის სხეულის ნაწილები. ამ ნაწილთა კომპლექსს ბავშვი ეძახის „მე“-ს. როდესაც ბავშვი ხმარობს სიტყვას „მე“, პირველ ხანებში მისი წარმოდგენა „მე“-ზე ჯერ კიდევ გამოურკვეველია. ამ ხანებში ბავშვი თავის „მე“-ს ვერ არჩევს სხვის „მე“-სთან, თუმცა ეს სხვები „მე“-ს მხოლოდ თავის თავს აწერენ. ხოლო თანდათან ეჩვევა ბავშვი თავის „მე“-ს და არჩევს სხვის „მე“-სგან. ბავშვის „მე“ ყველაფერში მონაწილეობას იღებს, რასაც-კი აკეთებს და ფიქრობს იგი; ამის გამო წარმოდგენათა კომპლექსი შესახებ „მე“-სი ღრმად იბეჭდება ბავშვის გონებაში წინაალმდეგ წარმოდგენათა, რომლებსაც ცვალებადი ხასიათი აქვთ. ამ ნაირად იბადება პირვანდელი ცნება „მე“-ს შესახებ. „მე“-ს მოკლედ რომ ვიანგარიშოთ — შეიცავს ნივთთა კომპლექსს, რომელიც მუდმივ თან დასდევს ყველას იმას, რასაც ადამიანი ითვისებს ან ფიქრობს, გრძნობს ან აკეთებს. „მე“-ს ცნება ფართოვდება იმის გამო, რომ ცდის ნიადაგზე ბროლისებურ სახეს იღებენ „მე“-ს შემადგენელი ახალი ნაწილებიც — ჩვენი სხეულის შიდა ნაწილების აგებულობის ანატომიურად შესწავლას ფრიად დიდი შინაარსი შეაქვს ჩვენი „მე“-ს წარმოდგენაში. ბუნებისმეტყველის და ექიმის წარმოდგენა ჩვენი „მე“-ს შესახებ მეტად ფართო და ღრმაა: ამათ შესწავლული

აქვთ ჩვენი სხეულის უჯრედთა რთული შენობა, დაწყებული ღვიძლის და ტყირპის უჯრედებიდან განგლიანურ უჯრედთა და ტვინის ნერვების ბუსუსთა საოცარ ნაზ სისტემამდის.

ამაზე მეტიც. ამ პირვანდელ ცნებას ბუნებურად ემატება კიდევ სხვა ნივთებიც. თანდათან ეჩვევა ადამიანი, რათა **ყველა** თვისი შთაბეჭდილებანი, წარმოდგენანი, აზრები ჩასთვალოს თავის „მე“-ს შემადგენელ ნაწილებად. ამ გვარად ეს დროში მეორედ შედგენილი „მე“ უსაზღვროდ იშლება გარემოცულ ბუნებაში. ასე მეორედ შედგენილი „მე“ ხდება, ბოლოს და ბოლოს, ოცნებად.

ამის გამო მეცნიერულ გამოკვლევაში „მე“-ს ცნება უნდა ვიხმაროთ ხოლო პირვანდელ მნიშვნელობით. მაშინ „მე“ არის მხოლოდ ჯამი ფიზიოლოგიურ პირობათა, რომელნიც იწვევენ ყველა შეგნებათა, წარმოდგენათა, აზრთა და გრძნობათა; ერთი სიტყვით, შეგნების ყველა პროცესებს; ე. ი. „მე“ არის **ადამიანის სხეული**. ვიწრო ფარგლით, „მე“ ნიშნავს პირობათა რაოდენობას; ეს ეს რაოდენობა, ჩვენ გარშემო მყოფ საგნებთან ერთად, ჰქმნის შეგრძნობას, ამის შემდეგ—მყისვე წარმოდგენას, აზრს, გრძნობას. მოკლედ რომ ვსთქვათ, „მე“ არის შეგნების პროცესის გამომწვევი აპარატი. უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ პირვანდელი „მე“ სრულიად არ ნიშნავს მართლა-და დამკვიდრებულ სისტემას. ეს „მე“ იცვლება დაბადების დღიდან სიკვდილამდე. ჩვენ გარშემო მყოფ მრავალ ფაქტორს, როგორც საზრდოობა და შხამი, დაღლილობა და ავადმყოფობა და ბევრს სხვასაც გავლენა აქვს ამ სისტემაზე და მის ნაწილებზე; მით ცვლილებას ახდენს კიდეც. რადგან შეგრძნობა და წარმოდგენა, აზრი და გრძნობა ერთნაირად განიმარტებიან არა თუ მარტო გარეშე ბუნების საგნებით, არამედ „მე“-ს სისტემის პირობათა კომპლექსით, ამისათვის აშკარაა, რომ „მე“-ს სისტემაში ყოველ ცვლილებას თან სდევს შეგნების პროცესში ცვლილება ისე, როგორც ეს ხდება ყოველ ცვლილების დროს გარეშე ბუნებაში.

ეხლა გადავავლოთ თვალი პირობათა მეორე კომპლექსს,—რომელიც შემეცნებაში დიდს როლს ასრულებს; შევხედოთ „რაღაცას“, იმ საგნებს, რომელნიც „მე“-ს **გარეთა**. განა არსებობს რამ საზოგადოდ „მე“-ს გარეთ? იქნება სრულიად უსაფუძვლოდ ვამტკიცებ, რომ არსებობს „მე“ და ნივთები „მე“ ს გარეშე? დავრჩები ხოლო ცდის ფარგალში და გზას აუხვევ ყოველ ჰიპოტეზას. ცდა მაძლევს მარტო ჩემსავე შეგრძნობებს და აქედან დასკვნილ წარმოდგენებს. მაშ, ნამდვილი ჰიპოტეზა ხომ აქ იქნება, „მე“ სა და გარეშე ბუნების შორის განსხვავება ალვიაროთ? ფილოსოფიური სისტემა, სოლიპსიზმად წოდებული, მართლა-და ამტკიცებს ამას და სრული სიმართლის გულისათვის საჭიროდ სთვლის სრულიად უარი ჰყოს „მე“-ს გარეშე ყველაფერი. ერთი შეხედვით ეს აზრი მოგვწონს კიდეც; მაგრამ როცა დაახლოებით გავეცნობით, მაშინ ეს შეხედულება აბსურდი გამოდის.

გავიცნოთ ეს სოლიპსიზმი უფრო ახლო. მსჯელობის მსვლელობა დაახლოვებით ასეთია: როდესაც მე ღრმად ვუკვირდები, რა არის ეს, თუ ის საგანი, მაშინ ცდა მიჩვენებს მარტო შეგნებათა განსაზღვრულ ჯამს. როდესაც მე ვიკვლევ, რა არის სხვა ადამიანის, მაშინაც მე ვაწყდები მხოლოდ შეგრძნობათა ერთგვარ კომპლექსს. ცდა სხვას არაფერს მაძლევს,

გარდა ჩემსავე საკუთარ შეგრძნობისა. ეს-კი ნიშნავს, რომ მთელი ქვეყანა არის მარტო ჩემი საკუთარი შეგრძნობა და წჯრმოდგენა. Solus ipse (მარტო თვით მე). თუ მე ყოველთვის სასტიკად ვემყარები ნაცად საბუთებს, მე სხვა რისმე დამტკიცება არ შემიძლიან. ასე ჰღალადებს სილიმპთა მოძღვრება. ჩვენ რომ მივიღოთ სიმართლედ, ვითომ „მე“-ს გარეთ არა არსებობს-რა, მაშინ მთელი ქვეყანა საოცნებო სურათად წარმოგვიდგებოდა. მაშინ მსოფლიო ყოველთვის გამოიცვლებოდა ხოლმე: ხან გარდიქცეოდა მრავალ ხალხიან მშვენიერ დარბაზად, ხან ეს იქნებოდა ქაღალდის თაბახი, ხან ელექტრონის სანთური; ღამე ხომ სრულიად გაჰქრებოდა, რათა დილით გარდაქცეულიყო საწოლ ოთახის ჰერად. მსოფლიო გახდებოდა დაუკავშირებელ შეგრძნობათა და წარმოდგენათა დახლართულ რამე. შემდეგ, „მე“ სრულიად დაჰკარგავდა თავის მნიშვნელობას, ვინაიდგან „მე“-ს მნიშვნელობა იმიტომ ეძლევა, რომ უპირდაპირდება სხვა ნივთებს. და თუ არსებობს მხოლოდ „მე“, მაშინ დაპირისპირება ჰქრება. და „მე“ მყობადობის იგივეობა იქნება საზოგადოდ. მყობადობა-კი არსებობს მხოლოდ დროებით, და მყობადობის ორ ხანათა შუა ყოველ ღამე პირღია გამოსჭვრეტს არყოფის უფსკრული. აღარა ღირს გავყვეთ სოლიპსიზმიდან დასკვნილ პარადოკსულ შედეგებს, რომელნიც გამომდინარეობენ სოლიპსიზმის იდეათა მსვლელობიდან, მიუხედავად ვითომ-და სასტიკ ნაცად საფუძვლისა, აღნიშნულ იდეათა მსვლელობაში, აშკარათ იმალება რაღაც შეცდომა.

მართლა-და, არც თუ ისე ძნელია ამ შეცდომის პოვნა. სოლიპსიზმი იღებს მხედველობაში მხოლოდ პირვანდელ ცდის ანუ შეგრძნობის საბუთებს. სოლიპსიზმი ვერა ჰხედავს ამ საბუთებიდან დასკვნილს, ვერა ჰხედავს ცდის მეორედ მოვლენილ საბუთებს, რომელნიც გვიჩვენებენ კანონ შეწონილობის არსებობას. ეს პირობითი კანონშეწონილობა მტკიცდება ცდის მრავალრიცხოვან საბუთებით ყოველ დღე და ყოველ საათს; ეს კანონზომიერება იძლევა ექსპერიმენტალურ დამტკიცებას იმისას, რომ ნივთები არსებობენ მაშინაც, როდესაც ესენი ჩვენზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენენ. მაგალ., ცდამ გვიჩვენა შემდეგი: ბორაკი (Натръ) რომ წყალში ჩავაგდოთ, ის მაშინვე იღებს რგვალ სახეს, შიშინით დარბის წყლის ზედაპირზე, დნება და, ბოლოს, სრულებით ილევა. ამ დროს გაჩნდა წყალბადი, და მჟამელ (ѢДКІЙ) ნატრის შენაზავი წყლისა, რომელიც შეიძლება შევკრიბოთ. ცდამ ათასჯერ დაგვიმტკიცა, რომ ეს პროცესი აუცილებელ კანონზომიერად ხდება ყველგან, თუ-კი არსებობს საჭირო პირობები. ცდისათვის რომ ყველაფერი მოვამზადო, ნატრი ჩავაგდო წყალში და თვითონ ოთახიდან გავიდე, მაშინაც პროცესი ისევე მოხდება, ვითომ მე იქა მდგარვარ და მიყურებია. ეს მე შემიძლიან დავამოწმო ან შედეგის გასინჯვით, ან მნახველის გადმოცემით. ასე დაურღვევლად მიმტკიცებს ყოველი ცდა, რომ ჩემ „მე“-ს გარეშე ნივთები არსებობენ მაშინაც, როდესაც მე მათ ვერც შევეხები, ვერც ვხედავ და სხვა. მაგრამ ესევე უნდა ითქვას ჩემ „მე“-ზედაც, რადგან ჩემ „მე“-ს, ე. ი. ჩემ სხეულს, ყოველთვის არა ვგრძნობ. ძილში, ბანგის ქვეშ, ან როდესაც ყურადღებას იპყრობს რამ, ან ღრმა ფიქრის დროს მე ჩემ „მე“-ს სრულებით არა ვგრძნობ; სხვა დროს თუ

ვგრძნობ, ისიც სხეულის რომელსამე ნაწილს. მე მუდმივ ვგრძნობ ჩემი „მე“-ს ნაწილს მაშინ, როდესაც სხვა-და-სხვა ნაწილებს უკავშირებ ერთმანეთს, ან „მე“-ს რომელიმე ნაწილს ვაერთებ გრძნობის ერთ-ერთ ორგანოსთან. მიუხედავად ამისა, მთელი ჩემი „მე“ არსებობს, თუმცა მე მას არა ვგრძნობ. ჩემი „მე“ ისევ ისეთი ნამდვილი ,,ნივთია‘‘, როგორც ყოველი სხვა ნივთი და როგორც ყოველი სხვა ნივთი წარმოადგენს განსაზღვრულ პირობათა სისტემას. ხოლო არსებობისათვის ბრძოლაში ჩემმა „მე“-მ დაიმუშავა აშპარტავნობის ფიზიოლოგიური ერთგვარი სახე; ამის წყალობით მსოფლიოს მრავალფეროვან ნივთებიდან ვაცალკევებ ჩემ „მე“-ს და ამ რიგად ჩემ „მე“-ს უპირდაპირებ მსოფლიოს მთელ ნივთთა სიმრავლეს. ნამდვილად-კი ჩვენ არ ვიმყოფებით არც მსოფლიოს **გარეშე**, არც მსოფლიოს **ზედ**; ჩვენ ვიმყოფებით თვით მსოფლიოში, როგორც ყველა სხვა ნივთები.

,,მე შევმეცნებ ნივთს‘‘, მაშასადამე, სჩანს: ჩემს „მე“-სა და რომელსამე ნივთის შორის იბადება ურთი-ერთობის იმ გვარი კომპლექსი, რომელსაც შედეგად მოსდევს შეგრძნობა, წარმოდგენა და აზრი.

ზემოთ აღნიშნულ საფუძველთა შემდეგ, ჩვენ შეგვიძლიან დავიწყოთ გამოკვლევა კითხვისა, თუ რამდენად შორს მიდის ჩვენი ნიჭი შემეცნებაში, და ამასთანავე შეზღუდულია ეს ნიჭი, თუ არა. ამ კითხვაზე ეხლა ადვილია პასუხის მიცემა; შესაძლებლობა შემეცნებისა ისევე გრცელია, როგორც მსოფლიოს შინაარსი, რადგან პრინციპიალურად არა გვიშლის-რა, რაიმე დამოკიდებულება ვიქონიოთ მსოფლიოს ამ თუ იმ შემადგენელ ნაწილთან.

გზა, რომლითაც მყარდება ეს დამოკიდებულება, როგორც დავინახეთ, უპირველესად ყოვლისა გაივლის ხოლმე გრძნობათა ორგანოებში. როდესაც ჩემ გრძნობათა ორგანოებს უკავშირებ ნივთებს და ამ გზით ტვინის განგლიონურ უჯრედებს, მაშინ მე ვქმნი შეგრძნობათა; შემდეგში ამ შეგრძნობებს გარდავქმნი წარმოდგენებად და აზრთადასკვნებად. შემეცნებობა შეგრძნობის გზით ყველა ნივთებისა, ამის გამო, აშკარაა. არის ნივთები, რომელნიც არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენენ გრძნობათა ორგანოებზე, მაგალ., ჰაერის აზოტი, ან სხივთა რომელიმე სახე. შეიძლება მათი შესწავლა? ცდა გვეუბნება: დიახ, ხომ გავეცანით მათ. ამ გვარ მოვლენათ შევმეცნებთ იმ ცვლილებით, რომელსაც ესენი ახდენენ სხვა ნივთებში; ეს ნივთები კი ჰმოქმედობენ გრძნობათა ორგანოებზე. ამ გვარ საშუალებით იყო აღმოჩენილი, მაგალითად, **რენტგენის** სხივები. მაგრამ გვეტყვიან: ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვეცნობით თვით ნივთებს და თუ ვეცნობით სხვა გზით, მის მოქმედების მიხედვით. ამაზე პასუხს ვაძლევ: ეს სულერთია, რადგან გრძნობითნი მიმღეობანი თვით აღბეჭდილნი ნივთნი ხომ არ არიან; ეს შთაბეჭდილებანი წარმოადგენენ ნივთთა რთულ სისტემას, რომელიც შეიცავს აღბეჭდილს ნივთს, როგორც შემადგენელ ერთ-ერთ ნაწილს, ისიც ან „მე“-ს კომბინაციაში, ან მის შემადგენელ ნაწილებისა. თვით ნივთი და ჩემი შეგრძნობა ამ ნივთისა **არას დროს** არ ნიშნავენ იგივეობას. ჩემი შეგრძნობა სრულიად სხვა და სხვაა იმის მიხედვით, თუ გრძნობათა რომელ ორგანოსთანა აქვს დამოკიდებულება ნივთს.

აი აქ ჩვენ მივახწიეთ იმ წერტილს, შემეცნების საზღვარს, რომლის იქით

გადასვლა ზოგიერთების აზრით ალბათ შეიძლება. აი როგორ გამოჰყავთ ეს დასკვნა. რადგან, ამბობენ, მე ვითვისებ ნივთს ხოლო შეგრძნობათა სახით, შეგრძნობა-კი გრძნობათა ორგანოების მიხედვით სულ სხვა და სხვაა და რადგან მე, მეორე მხრით, შემიძლიან დავამტკიცო ნივთების არსებობა მაშინაც, როდესაც მათ ვერა ვგრძნობ, იბადება კითხვა: რა არის „ნივთი თავის თავად'', შეგრძნობათა კომპლექსის გარეშე, „მე"-სა და მათ კომბინაციის გარეშე. აქ თითქოს შემეცნების საზღვარი მიხწეულია. აქ, ჩვენ წინ, თითქოს სრულ უიმედობის პირღია გაუვალი უფსკრული გაჩნდა, რადგან, თუ ვერ გავიგეთ, რა არის „ნივთი თავის თავად"— ამბობენ—მაშინ შემეცნება **სინამდვილისა** სამუდამოდ გაუგებარი დარჩება ჩვენთვის. მაშინ ჩვენ საუკუნოდ დავრჩებით მოჩვენებათა სამეფოში და განუწყვეტლივ უნდა დაუბრუნდეთ ხოლმე მწვავე საკითხს: რა არის ,,ნივთი თავის თავად"?

მაშ, ტანტალის ამ ტანჯვისაგან ხსნა აღარ არის?

მართლა-და, შემეცნების საზღვარი აქ არის? დიახ, მაგრამ მე რა მინდა განსაკუთრებით? მაგონდება: მე მსურს ვიცოდე, რას წარმოადგენს თავის თავად ნივთი, როდესაც მე მას ვერ შევიგრძნობ. როგორ? **შეუგრძნობლად** გაეცნო ნივთს? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ გაუცნობლად გაიგო, რა არის ნივთი. ეს წმიდა წყლის უაზრობაა და არა პრობლემა, რადგან აქ, ჩვენ წინ, **სრული** წინააღმდეგობა სუფევს.

მაგრამ:

,,სრული წინააღმდეგობა თანაბრად საიდუმლოა როგორც ბრძნისათვის, ისე სულელისათვისაც''.

ასე აქნობამდე ბრძენი და სულელიც მოწიწებით თავს იხრიან ამ საიდუმლო პრობლემის წინაშე. ხოლო ჩვენთვის საჭიროა თავი დავახწიოთ ამ გვარ ცრუ პრობლემებს, ვინაიდგან შემეცნების საკითხში უნდა იყოს უპირველესად ყოვლისა სრული სიაშკარავე. ,,შემეცნება'' ნიშნავს დამოკიდებულებათა დამყარებას. დავადგენ-რა დამოკიდებულებას ჩემსა და ნივთ შორის, მე შევმეცნებ ნივთს, ეს **მხოლოდ** იმიტომ, რომ ეს დამოკიდებულება დავადგინე. როგორ უნდა მოვისურვო ნივთის გაცნობა, თუ **არ** დავამყარე დამოკიდებულება ჩემსა და მის შორის. და თუ ამ გვარი დამოკიდებულება დავამყარე, მაშინ მე შემიძლიან გავეცნო **ყოველ** ნივთს. შემეცნების პროცესს ამ შემთხვევაში საზღვარი არა აქვს. ხოლო ისაა, რომ შემეცნებას წინ არ ეღობებოდეს ცრუ პრობლემები.

ბოლოს და ბოლოს, სრულიად შემცდარად ჰფიქრობენ, რომ ჩვენ ვერასდროს ვერ გავიცნობთ **სინამდვილეს**, ჩვენ ხოლო ვეცნობით მოჩვენებულ ქვეყანას. ჩვენც ხომ ამ **სინამდვილის** ნაწილს წარმოვადგენთ; ჩვენი შეგრძნობაც ისეთივე ნივთია, როგორც ყოველი სხვა ნივთი; ჩვენ შეგრძნობაში მყობადობა და შემეცნებობა ერთსა და იმავეს ნიშნავენ, ასე რომ შემეცნებაში ჩვენ განვიცდით თვით სინამდვილეს. ჩემი შეგრძნობაც ხომ „ნივთია თავის თავად'', როგორც ნივთთა ყოველი სხვა კომპლექსი. მე მხოლოდ თავიდან უნდა ავიცდინო ზემოხსენებული შეცდომა. მე არ უნდა ვგრძნობდე ჩემ თავს პრინციპიალურად ყველა სხვა ნივთების **მოპირდაპირედ**. ჩვენ დროს ადამიანი ეჩვევა დაუპირდაპიროს **თავის თავს** სხვა ნივთები, როგორც ობიექტები, რადგან იგი უშვრება მათ ანალიზს, უკეთებს კრიტიკას, ახდენს ანატომიურ და მიკროს-

კოპიულ გამოკვლევას და ამნაირად ხელოვნურად ზრდის ადამიანში მოპირდაპირეობის გრძნობას. ამ გვარ პირობებში ადამიანი თანდათან სრულიად ივიწყებს იმ ფაქტს, რომ იგი თვითონაც ნივთია, რომ იგი შეადგენს სინამდვილის ერთ-ერთ ნაწილს. ხოლო როდესაც ვხედავთ ბუნების მშვენიერ სურათს, რომელიც ჩვენზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს, როდესაც ვხეტიალობთ ლამაზ ადგილებში და,—რობერტ ფიშერის მოსწრებული სიტყვისა არ იყოს,—„ვუერთდებით“ ამ ადგილებს, მაშინ შევიგნებთ ხოლმე, რომ **შევადგენთ** სინამდვილის კერძს. ვისაც ხანგრძლივად უცხოვრია უდაბნოში და ყოველ მხრიდან—სადამდინაც-კი მისწვდები თვალთ-განუცდია მწირი ადგილებით გამოწვეული მტანჯველი შიში, ის ამ თავისებურ გრძნობას იცნობს. მაშინ ჩვენ ჩვენს თავს ბუნების გარეშე აღარა ვგრძნობთ, ჩვენ აღარა ვფიქრობთ, რომ ბატონები ვართ მთელი ქვეყნისა, რომ მთელი მსოფლიო ჩვენთვის ხოლო ობიექტია. მაშინ ჩვენ ვგრძნობთ ჩვენ თავს მთელის ნაწილად, ამ მთელის შიგნით; მაშინ ჩვენთვის ცხადია, რომ ჩვენი გრძნობით განვიცდით თვით სინამდვილეს და თვით ჩვენც სინამდვილე ვართ.

ეს უბედური იდეია იყო: განსხვავება ნამდვილი ქვეყნიერებისა და მოვლენათა სამეფოს შორის. მსოფლიო ერთია და არა ორნაირი და ჩვენც ამის ნაწილს შევადგენთ, როგორც ყოველი სხვა რამ. ამის გამო ჩვენც შეგვიძლიან ვიქონიოთ დამოკიდებულება სხვა ნაწილებთან, როგორც ამათ ერთმანეთში აქვთ და იმავ კანონშეწონილობით. ჩვენი შეგრძნობა **არის** ისეთივე დებულება ჩვენსა და სხვა **ნივთთა** შორის, როგორიც დამოკიდებულება აქვთ ამ ნივთებს ერთმანეთში; ასე რომ ამ შემთხვევაშიაც ჩვენ შემეცნებას საზღვარი არა აქვს. ან მაინც ექვია?

ბერლინის ცნობილმა ფიზიოლოგმა დიუბუა—რეიმონმა წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა: „შემეცნების საზღვარი ბუნების შესწავლაში *); ამ სიტყვამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია. დიუბუა-რეიმონი ორ პუნქტში ზღუდავდა შემეცნების საზღვარს. ნებას მივცემ ჩემ თავს კრიტიკულად განვიხილო ეს ზღუდეებიც.

ერთ საზღვარს დიუბუა-რეიმონი ხედავს **მატერიის არსის** გაგების შეუძლებლობაში. განვიხილოთ ეს საკითხი დაბეჯითებით. მატერიის ქვეშ რომ „თავის თავად აღებულ ნივთთა“ მათი საფუძველი, სუბსტრატი ვიგულისხმოთ, მაშინ, როგორც დავინახავთ, ამ სუბსტრატის შემეცნების პრობლემა აბსურდულია. და თუ მატერიის სახელით მივიღებთ არსებობის ყოველ სახეს, მაშინ მატერიის არსს შემეცნებთ ყოველ კერძო შემთხვევაში, ხოლო თუ დავადგინეთ შესაფერი მდგომარეობის და პროცესის პირობები. მაგრამ აქ არ იგულისხმებოდა არც პირველი, არც მეორე. ცნება მატერია უფრო ჰგულისხმობს იმისთანა სუბსტრატს, რომლიდანაც შენდება საშემეცნებო ყოველი ნივთი. ამასთანავე უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ნივთები შესდგებიან ერთ სუბსტრატისაგან. ხოლო ეს წინასწარი აზრი დიდი ხნისაა და არის აზრი, რომელსაც ჯერ დარკვევა არ შეჰხებია და შესწორება არ შეუტანია. ჩვენ ბუნებისმეტყველებაშიაც ხომ ბევრია—შემეცნების მხრივ—იმისთანა წარმოდგე-

---

*) Emil Dubois—Reymond „Über die Grenzen des Naturerkennens“ (границы познанія природы. Есть русскій переводъ). См. такъ-же того-же автора „Die sieben Welträtsel“ (Семь міровыхъ загадокъ).

ნები, რომლების დასაბამი მომდინარეობს ადამიანის პირველყოფილ დროის ცხოვრებიდან, წარმოდგენები, რომლების შესასწორებლად დღესაც ვმუშაობთ *). ამასვე ეკუთვნის მატერიის და სივრცის გავსების შესახები წარმოდგენები. მაგრამ ეს წარმოდგენები ჯერ კიდევ ვითარებაში არიან. ჩვენ შეგვიძლიან ეს წარმოდგენები მივიღოთ, როგორც დროებითი საჭირო ჰიპოტეზები და ამ ჰიპოტეზებში შევიტანოთ ხოლმე შესწორება, ცდის ახალ საბუთებზე დამყარებული. ფიზიკის განვითარების ახალი ფაზა თვალნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ მცირედაა მიღებული ეს ცნობანი. სულ რამდენიმე ათი წელიწადია, რაც ქიმიკურ ელემენტთა ატომები ითვლებოდნენ სამყაროს უკანასკნელ და ძირეულ შემადგენელ ნაწილებად. ამ ჟამად თითქმის დადასტურებულია, რომ ატომები იშლებიან, და ლითონთა გარდაქმნის შესახები წარმოდგენა თითქოს ხელახლა იწყებდეს აღორძინებას, თუმცა იგი დიდი ხანია, რაც ალქიმიურ ფანტაზიაში იყო ჩამარხული. ელექტრონების შესახები თეორია, როგორც სამუშაო ჰიპოტეზა, ნაყოფიერია ფიზიკის სფეროში ისე, როგორც ატომთა თეორია ქიმიის დარგში; უნდა ვიფიქროთ, რომ ატომებზე უფრო მცირე ნაწილაკები არსებობს; მაგალ., ნახშირბადის ატომში ითვლება 2000-დე ნაწილაკი. ხოლო არც ელექტრონებს მოუციათ ჩვენთვის ნივთთა ერთნაირი ნაწილები, ვინაიდგან ორ გვარი ელექტრონია: დადებითი და უარყოფითი. თუ გინდ რომ ასეც გვეფიქრა: დადებითი ელექტრონები მივეღო უარყოფითი ელექტრონების კომპლექსად, მაშინაც სიძნელე არ აგვშორდებოდა, ვინაიდგან კიდევ დაგვრჩებოდა სამყაროს შემადგენელი მეორე ნაწილიც—ეთერი; ამის გამო იბადება კითხვა: ელექტრონს და ეთერს შუა არის, თუ არა, იმისთანა დამოკიდებულება, რომ ამ ორმა შემადგენელმა ნაწილმა დაუახლოვოს ერთი მეორეს. მიუხედავად იმისა, აწინდელმა ახალმა აღმოჩენამ ფიზიკა ძლიერ გააცხოველა, ამ კითხვას ბოლო არ უჩანს. ერთი რამ შეიძლება ვსთქვათ ურწმენით: ის წარმოდგენა, ვითომ ყველა ნივთების სუბსტრატი ერთნაირიაო, **შეუძლებელია** იყოს ჭეშმარიტი, ვინაიდგან, **ყოველ** შემთხვევაში, იგი მიისწრაფვის წინააღმდეგობისაკენ. თუ წარმოვიდგენთ ნივთთა ჰიპოტეტურ სუბსტრატის შედგენილობას განცალკევებულ ნაწილაკებიდან, მაშინ—რაც გინდა პატარ-პატარა იყოს ნაწილაკები—იბადება კითხვა: რითაა შევსებული ამ ნაწილაკებ შუა ადგილები. აბსოლიუტური არარაობა აფრთხობს ძლიერ გაბედულ ფანტაზიასაც. უნდა ყოფილიყო, მაშასადამე, მეორე სუბსტრატი, და ამ სუბსტრატის საშუალებით მატერიალურ ნაწილაკებს ემოქმედნათ ერთმანეთზე. და თუ ვიფიქრეთ—მეორე მხრივ—რომ ყველა ნივთთა

*) ჩვენი წარმოდგენათა ამ გვარი შესწორების ინტერესები მოითხოვს, რომ უფრო სისწორით განვმარტოთ ხოლმე ცნებანი, რომლებსაც ვხმარობთ მეცნიერებაში; ეს არა კმარა: უნდა გამოვიკვლიოთ მათი წარმოშობა და ისტორია. ადამიანმა შექმნა ჩვენი ცნებანი, ამისათვის ყოველ შემთხვევაში საჭიროა დავისვათ კითხვა: არის თუ არა საკმარისი საბუთი, რომ არსებობდეს ის დაკვირვება და მსჯელობა, საიდანაც ოდესღაც დაიბადა ეს წარმოდგენები. კარგი იქნებოდა შეჩვეულვიყავით სინიდისიერად გადაგვესინჯნა ხოლმე სამეცნიერო მუშაობის ყოველ საზღვრის პასპორტი.

სუბსტრატი მთლად ავსებს სივრცესო, მაშინ, ჩვეულებრივ ცნებათა გამო, ძნელია წარმოვიდგინოთ ნაწილაკთა ადგილების ცვლა, ე. ი. სუბსტრატის შესქელება და შეთხელება; უამისოდ-კი რომელიმე პროცესის მსვლელობა ჩვენთვის გაუგებარი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, იძულებული გავხდებით არსებითად შევცვალოთ ჩვენი შეხედულება სივრცის შევსების შესახებ. ჩვენ უნდა შევიძინოთ კიდევ ბევრი ახალი ცოდნა, რათა შეგვეძლოს ავიცდინოთ თავიდან ყოველი წინააღმდეგობა და სიძნელე.

საგულისხმოა მხოლოდ **ერთი** ფაქტი. და თუ ჩვენი აზროვნება შეითვისებს ამას, მაშინ, უეჭველია, მივახწევთ იმას, რომ ჩვენი წარმოდგენა მატერიის შესახებ წინააღმდეგობათა მხრივ თავისუფალი იქნება. ეს ის ფაქტია, რომ ცდა იძლევა არა განცალკავებულს, დამოუკიდებელს, აბსოლუტურ ნივთებს, არამედ ხოლო დაკავშირებას. უტყუარი ანალიზი გვიჩვენებს, რომ არ არსებობს ნივთი, დამოუკიდებელი სხვა ნივთებისაგან. მხოლოდ გულუბრყვილო შეხედულება ნივთებზე გვაიძულებს უყუროთ ამათ, ან არა-და, მაგალ., ადამიანს, როგორც დამოუკიდებელ განცალკავებულ სისტემას. მაგრამ ეს ღრმა შეცდომმაა, „თუ ადამიანი სულელთა ეს მცირე ქვეყანა ჩვეულია ჩასთვალოს მთელად".

პირიქით, ადამიანი ყოველის მხრივ დამოკიდებულია თავის წრისგან. მატერიის შეუწყვეტელი ნაკადი გაივლის ხოლმე გარედან ადამიანის სხეულით. ამასთან არის დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლე. გარეგან პირობებს იგივე მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის, როგორც შინაგანს, რადგან ერთიც და მეორეც **საჭიროა**, და მხოლოდ იქ, სადაც ეს ორივე კომპლექსი რეალურად წარმოდგენილია, ვხედავთ ჩვენ ცოცხალ ადამიანს. ადამიანი იგივეობს (тожествен) გარეგან და შინაგან შეერთებულ პირობებთან; ესევე ითქმება ყოველ სხვა ნივთზედაც, სხეული იქნება ეს, თუ უსულო საგანი. ატომს ან ელექტრონს შეუძლიან არსებობა ხოლო იქ, სადაც იქნება პირობათა განსაზღვრული კომპლექსი. **აბსოლუტური**, პირობათა გარეშე მდგომი, დამოუკიდებელი ატომი შეუძლებელია. ყოველი ატომი დამოკიდებულია მრავალ სხვა-და-სხვა პირობაზე, და თვითონაც, თავის მხრივ, პირობას შეადგენს სხვა ნივთისათვის. ასე ყოველი ნივთი ერთსადა-იმავე-დროს დამოკიდებულია სხვა ნივთისაგან და თვითონაც დამოკიდებს ხოლმე სხვა ნივთებს. გამოკვლევათა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დამყარდეს პირობები და გაცნობილ იყოს დამოკიდებულებათა ურთიერთობა. ხოლო ამ გვარი გამოკვლევა არის **მეცნიერული** გამოკვლევა. ასე შევმეცნებთ არსებობის კანონშეწონილობას, ასე შევმეცნებთ თვით ნივთებსაც, რადგან ყოველი პირობა ხომ ამასთანავე ნივთიც არის. ეს ერთად-ერთი მეთოდია, რომლის საშუალებით შეიძლება **მეცნიერულად** გამოვიკვლიოთ მატერიის შესახები პრობლემა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივახწიოთ ამ კითხვაში იმას, რომ თავიდან ავიცილოთ წარმოდგენათა წინააღმდეგობა. როგორიც გინდა იყოს პასუხი: **შემეცნების პრინციპიალურ საზღვარს** ამ გზაზე ვერ ნახავთ. ჩვენ თვალწინ იშლება განუსაზღვრელი სივრცე მოუხვნელი მიწისა, მაგრამ ბუნება არსად არა სჩანს.

ბოლოს, ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ჩვენ ვიცნობთ მატერიას,

ატომს, ელექტრონს, როგორც აზრთა კონსტრუქციას და, მაშასადამე, როგორც ჩვენი თვითცნობის შემადგენელ ნაწილებს.

ამ ფაქტს გადავყევართ პირდაპირ შემეცნების სხვა საზღვარზე. დიუბუა-რეიმონით ეს საზღვარია — შეუძლებლობა **თვითცნობა მოვლენათა** ახსნისა

ხორციელობის და სულის ორმაგობის (დაულიზმის) იდეია, როგორც ვიცით, მომდინარეობს უძველეს დროიდან. ეს იდეია ნაყოფია პირველყოფილ დროის ადამიანის*) გულუბრყვილო, აზროვნებისა, ამასთანავე იმდენად ხელსაყრელი, მარტივი და მართლის მგზავსი, რომ შეიქმნა კულტურულ ხალხთა სულიერ სარჩოდ. ამ ჟამადაც ხელოვნურად ასაზრდოებენ ამ იდეიას მეცნიერულ ნიადაგზე „ფსიხოფიზიკურ პარალლელიზმის“ სახით. მართალია, პირველყოფილ დროის ადამიანის პრიმიტიული აზრი დღეს ჩვენთვის საკმარის საბუთს არ წარმოადგენს. ამისათვის ვეკითხები: რა გვაიძულებს, მივიღოთ ორმაგობა ხორციელის და სულიერის პროცესთა რიგებისა? პასუხი მუდმივ ღაღადებს: შენიშნულია, რომ სხვა ადამიანის შეგრძნობის, წარმოდგენის, აზრის, რომლების არსებობაში არავის ეჭვი არა აქვს, შეუძლებელია შეგნება გრძნობითად და ობექტიურად; მიუხედავად ამისა, ობექტიურად ადვილად მტკიცდება, რომ ხორციელი და თვითცნობის განსაზღვრული პროცესები ტვინში მიმდინარეობენ სრულ კანონშეწონილად და პარალლელურად.

ნუ თუ მართალია ეს დაკვირვება? მე ვამტკიცებ, რომ ეს ცდომილებაა, მე ვამბობ, რომ ხორციელის და სულიერის პროცესთა ორმაგობის იდეია არის ადამიანის ერთ-ერთი ცრუ აზრთაგანი, რომელიც ჯერ კიდევ არ განუდევნია წარმოდგენათა დარკვევას. ნამდვილად-კი აქ არ არსებობს ორმაგობა ხორციელის და სულიერის პროცესებისა; აქ ხელოვნურად დააშორეს ერთმანეთს ის, რაც, მართლადა, ერთიანობაა.*) მიუახლოვდეთ ამ საკითხს!

---

*) სამწუხაროა, რომ სასკოლო ფილოსოფია, უმეტესად ფსიხოლოგია და ცნებათა კრიტიკა იშვიათ შემთხვევაში ეხებიან ეთნოგრაფიას და პირველყოფილ ისტორიას, თუმცა, თავისდა უნებურად, იკვლევენ ამ მეცნიერებათა უმთავრეს ფსიხოლოგიურ შედეგებს. ფსიხოლოგებს და ფილოსოფოსებს ეთნოგრაფია და პირველყოფილი ისტორია წარმოუდგენიათ, როგორც კერპთა და ქვის ცულების კოლექციათა კრებული აწინდელ „ველურის“ და ,,პირველყოფილ ადამიანის‘‘. ნამდვილად-კი ეთნოგრაფიას და პირველყოფილ ისტორიას შეუგროვებია მრავალი მასალა, რომელიც ეხება ადამიანის აზროვნების განვითარებას. ამ მასალის წყალობით მრავალი ჩვენი წარმოდგენები და ჩვენი სულიერ ცხოვრების იდეიათა მსვლელობა სრულ ახალ შინაარსით მოგვეჩვენება. უპირველეს ყოვლისა, აქ მოვიგონებთ იმ აზრთა კრებულს, რომელიც ტრიალებს სულის შესახები იდეის გარშემო, იმ იდეისა, რომელმაც გამოიწვია ადამიანის არსის დაყოფა ხორცად და სულად.

*) ხორციელი და ფსიხიური პროცესები პარალელურად-კი არ ხდება ტვინში, ამის დამტკიცება არ შეგვიძლიან; ჩვენ შეგვიძლიან მივიღოთ ხოლო ის ფაქტი, რომ თვითცნობის განსაზღვრულ პროცესების აღმოცენება **დამოკიდებულია** ტვინის ქერქის შემადგენელ ნაწილების განსაზღვრულ პროცესებზე. აი ერთად-ერთი ფაქტიური საფუძველი. ფსიხოლოგიურ პარალელიზმის შესახები მოძღვრება ხოლო შემცდარი ახსნაა ამ ფაქტისა.

რატომ ფიქრობენ, რომ სხვა ადამიანის შეგრძნობას ვერ შევითვისებთ ობექტიურად? ეს იმიტომ, რომ საფუძვლად იღებენ შემცდარ საბუთს. აი როგორ გამოჰყავთ ეს დასკვნა: წარმოვიდგინოთ, რომ ტვინის განგლიონურ უჯრედთა პროცესის ღრმა ანალიზი მოვახდინეთ; მივიღოთ ისიც, რომ ყველა ატომების მოძრაობა მიმოსვლა ზედმიწევნით ვიცით, და ატომთა ეს მიმოსვლა ხდება იმ დროს, როცა ადამიანი განიცდის განსაზღვრულ შეგრძნობაში და პირდაპირ შეეფერება ამ შეგრძნობას. ამ შემთხვევაშიაც ჩვენ დავინახავდით მხოლოდ ატომთა მოძრაობას და არა თვით შეგრძნობას. ეს აზრი აიძულებს დიუბუა-რეიმონს დაინახოს შეგრძნობაში ადამიანის შემეცნების საზღვარი.

მე ვსთქვი, რომ ეს დასკვნა დამყარებულია შემცდარ საბუთზე. ეს აშკარადა ჩანს, თუ დავაყენეთ ასეთი კითხვა: თუ, ამ აზრის-და მიხედვით, შეგრძნობა შესამცნებია, მაშინ რა უნდა ვპოვოთ განგლიონურ უჯრედთა პროცესების ანალიზით? აი სადაა დამარხული შეცდომა? ყოველთვის ასე ჰფიქრობენ: რომ შესაძლებელი იყოს დავინახოთ სხვის განლიონური უჯრედები იმ დროს, როდესაც ადამიანი განიცდის შეგრძნობას, მაგალ., ტკივილებს ნემსის ჩხვლეტისაგან, მაშინ, ვითომ, ჩვენ თვითონ **განვიცდიდით** ამ შეგრძნობას. და რადგან ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ამ შემთხვევაშიაც ვერ განვიცდით სხვის ტკივილებს, ამიტომ ვსკვნით: მის შეგრძნობას გრძნობითად ვერ მივიღებთ. რა უგნური იდეიაა! სრულიად არ იღებენ მხედველობაში მეცნიერულ კონდიციონიზმის იმ ძირითად დებულებას, რომელიც მეტად უბრალო სიმარტივით ღაღადებს: პროცესი, ან მდგომარეობა განიმარტება მის ყველა პირობათა ერთნიშნოვან ჯამით. საქმეც ის არის, რომ სადაც ერთნაირი პირობებია, იქ ხდება ერთგვარი რამ; ხოლო სადაც პირობები **სხვადასხვაა**, იქ უნდა მოხდეს არა-ერთნაირი რამ. როგორ უნდა განვიცადო სხვისი ტკივილები, როცა უყურებ მის ტვინს და როცა ჩემში სწარმოებს პირობათა სულ სხვა კომპლექსი? რასაკვირველია, მე უნდა განვიცდიდე სულ სხვა შეგრძნობას, მინამ **ის**. მე მხოლოდ მაშინ განვიცდიდი ნემსისგან გამოწვეულ სხვის ტკივილებს, როცა თვითონ ჩავვარდებოდი პირობათა იმავ კომპლექსში, ე. ი. როცა მეც მაგრძნობინებდნენ ნემსის ჩხვლეტას. ისე-კი, როცა სხვის ტვინს უყურებ, მე ვიღებ მის ტვინისაგან მხოლოდ მხედველობითს შეგრძნობას.

თუმცა მე არ განვიცდი სხვის ტკივილების შეგრძნობას, როცა ვაკვირდები მის ტვინს, მაგრამ აქედან სრულიად არ დაისკვნება ის, ვითომ სხვისი შეგრძნობა ობექტიურად **შეუთვისებელია**. პირიქით, რასაც ვხედავ სხვაში, როცა მის ტვინში და ტვინის გარედ მომხდარ პროცესებს ანალიზს უშვრები, და როცა ის განიცდის ტკივილებს, **არის** მის შეგრძნობა. და თუ დიუბუა-რეიმონი, ლაპლასის სულის კვეთების მგზავსათ, როგორც თვითონ ამბობს, ყველა ამ პროცესების იდეალურ ანალიზს მოახდენს და მაინც ვერ შენიშნავს ყველა ამას, მაშინ იგი დაემგზავსება „მხედარს, რომელიც სრბოლავს ბოდენის ტბისა ზედან“!

პირობითი შეხედულება ნივთების შესახებაც საკმარის სისრულით გვიხსნის ამას: შეგრძნობაც ნივთია, როგორც სხვა ნივთთა მრავალი კომპლექსი, რომელსაც ალვნიშნავ მოკლე სიტყვით. ისე, რო-

გორც ,,ცეცხლი‘‘ ან ,,ელექტრონი‘‘, ან ,,სინათლე‘‘, ,,შეგრძნობაც‘‘ ერთგვარად განიმარტება თვის განსაკუთრებულ პირობათა კომპლექსით. როცა ვახდენ ამ პირობათა კომპლექსის ანალიზს, მე იმავ დროს ანალიზის ქვეშ ვატარებ შეგრძნობასაც. ხოლო ეს პირობებიც ხომ თვითონაც ნივთებია და როგორც ყველა ნივთები ექვემდებარება ობიექტიურ გამოკვლევას. მაშასადამე, თუ ყოველი პირობა გაცნობილია, მაშინ თვით შეგრძნობაც შესწავლილი იქნება, რადგან შეგრძნობა და **პირობათა ის კომპლექსი** ერთი და იგივეა. ამ შემთხვევაში **მეცნიერულ** ანალიზს აქ გასაკეთებელი აღარა რჩება-რა.*)

*) შეგრძნობის ყოველი პირობა რომ ვიცოდეთ, მაშინ რაღა გვინდოდა? რაღა დარჩება კიდევ, თუ, მაგალ., გავიგეთ გაზის ალის აღმოცენების ყოველი პირობა. კიდევ რომ რამის ძებნა დავიწყოთ, პასუხის პოვნა ძნელი იქნება. შეგრძნობა, როგორც ალი, **არის** სხვა არაფერი, გარდა მის ყველა პირობათა კომპლექსი. თუ შეგრძნობის ყოველი პირობა გაცნობილია, და თუ, ამასთან ერთად, ჰგულისხმობენ კიდევ ფარულ რამე, რასაც გრძნობითად შეთვისება არ შეიძლება, მაშინ ეს იქნება ნაანდერძევი პრიმიტიულ აზროვნების წარმოდგენისა, ვითომ ტანში იმყოფება სული, ე. ი. რაღაც უჩინარი, უკიდურესად თხელი, მოლანდებული. რაღაცა, რომელსაც, როგორც ,,მიზეზს‘‘, შეუძლიან გამოიწვიოს ტანის შეგნებული მოქმედება. რა ღრმათაა ჩანერგილი ეს გულუბრყვილო მატერიალისტური წარმოდგენა ჩვენ დროშიაც, ამას გვიჩვენებს ზოგიერთების ცდა, დაამტკიცონ ხერხიანი საშუალებით, რომ სული სცოცხლობს ტანში და სიკვდილის შემდეგ სადღაც მიდის. ბევრი ხანი არაა, რაც ერთი ცნობა დაიბეჭდა ამერიკულ, ინგლისურ და ნემეცურ გაზეთებშიაც, ვითომ ზოგიერთა ექიმებს აღმოეჩინოთ სულის წონა. ეს ცნობა სერიოზულად მიიღეს. ,,Daily Telegraph‘‘ (1907 წ. მარტის 12) გვაცნობებს: ექიმები ბოსტონელ დოქტორის დუნკან მაკდუგალლის პირით (შესანიშნავი მეცნიერი და შეერთებულ შტატებში პატივ დამსახურებული) გვიცხადებენ: ჩვენ მოვახდინეთ სერიოზული და უცილობელი გამოკვლევა იმისა, არსებობს, თუ არა, სული ადამიანის ტანში და მტკიცდება, თუ არა, სულის განსვლა ტანიდან შეხებისებურ გრძნობით. შედეგად გამოიყვანეს, რომ სული იწონის ერთ უნცს‘‘, მაშ, ადამიანის სული იწონის 30 გრამის ცოტა ნაკლებს! ეს, უთუოდ, უშნო და უაზრო ხუმრობა იყო ამერიკელ ზოგიერთა ექიმებისა. აქ დამახასიათებელი ისაა, რომ სერიოზული გაზეთები მსჯელობენ ამაზე და განათლებულ წრიდანაც ყურადღებით ეპყრობიან—ამას. რომ ამისთანა ცდას დღესაც სერიოზულად ახდენს ინტელიგენტი პირები, ამას ამტკიცებს ცნობა, რომელიც გამომიგზავნა რუს მასწავლებელმა; ეს გიმნაზიის მასწავლებელია და სწავლა დაუმთავრებია იურევში. წერილი 1904 წლის ნოემბრის 24-ს თარიღითაა აღნიშნული. იგი მწერს: მე ვხელმძღვანელობ ვუნდტის იმ დებულებით, რომ ცხოველის სული არის შიდა არსი იმავ მთლიანობისა, რომელსაც ჩვენ შევიგრძნებთ გარეშედ. რამდენიმე ცდით ამას უნდა გამოერკვია—მატერიალური რამ ხომ არ არის ეს შიდა არსი. და განაგრძობს: ,,ქინძისთავებზე ავაგე სუსალურ ოქროს რამდენიმე ზოლი; მათ შეეძლოთ თავისუფალი მოძრაობა. შემდეგ ავავსე წყლით მინის ჭურჭელი და შიგ ჩაუშვი რამდენიმე ყვავი (ან დამურა); ფეხები და ფრთები მაგრა გავაკარ რკინის ღერძს და ჭურჭელს დავაფარე სქელი კარტონი; ამ კარტონზე იყო ჩასხმული ქინძისთავებიც ოქროს ზოლებით.

მაშასადამე, შემეცნებით შეისწავლება თვითცნობის პროცესებიც, როგორც ყველა სხვა ნივთებიც. და აქ ადამიანის შემეცნებას საზღვარი არა აქვს. ხოლო შემეცნებას არ უნდა უყენებდეთ, ვითომდა, არსებულ პრობლემებს, თორემ გავეხვევით წინაალმდეგობათა ქსელში. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი სიძნელით სავსე გამოკვლევის შედეგის სიმართლეს დაამტკიცებს მარტივი მსჯელობაც. თუ ცდა გვიჩვენებს, რომ ყველა ნივთებ შორის არსებობს კანონშეწონილი დამოკიდებულება, მაშინ ყველა ნივთების შესწავლა შესაძლებელია. ,,მე შევმეცნებ ნივთს'' ნიშნავს—მე ვქმნი დამოკიდებულებას ჩემსა და ნივთის შორის. ამის გამო, თუ მე შევისწავლე მსოფლიოს მთელ შინაარსიდან მის მარტოოდენ ერთი ნაწილი, მაშინ მე სახსარი მეძლევა შევმეცნო მსოფლიოს სხვა ნაწილებიც, ვინაიდგან ყველა ეს ნაწილები დაკავშირებულია ერთმანეთზე; იმითაც-კი შევმეცნებთ, რომლებიც პირდაპირ შთაბეჭდილებას არ ახდენენ გრძნობათა ჩვენ ორგანოებზე. გამოუცნობელი დარჩებოდა მხოლოდ ის ნივთები, რომლებსაც **არავითარი** კავშირი არ ექნებოდა ქვეყნის კანონშეწონილად დამოკიდებულ შემადგენელ ნაწილებთან და **არც ერთ პუნქტში** არ შეჰხებოდნენ ჩვენი ქვეყნის შინაარსს. ყველა თავისუფალია—თუ მოისურვა—წარმოიდგინოს სხვა მსოფლიოც, რომელსაც **არავითარი კავშირი** *) არ ექნება ჩვენ მსოფლიოსთან. ვისაც ამგვარი წარმოდგენა აკმაყოფილებს, იმის თავის ნებაა. მეცნიერების მხრივ ამისთანა ფანტაზიის შექმნას მნიშვნელობა არა აქვს. ყოველ შემთხვევა-

.................................................

ცხოველების სიკვდილის რამდენიმე წამის შემდეგ ოქროს ზოლებმა დაიწყეს ძლიერი მოძრაობა; ეს მოძრაობა ემგზავსებოდა ყვავის ან დამურის ფრთების თრთოლვას''. ანალოგიურ ცდაში აიღეს სქელი გუმბი ცხოველების დასახრჩობად და ქსელის ძაფი ინდიკატორად—შედეგი ისევ ის გამოვიდა. ცდის მომხდენი ,,ჰფიქრობს''—,,ცხოველში აღმოჩენილი **სული** წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში, აზოტის უფერულ გაზისებურ ნივთიერებას; ამ ნივთიერებას აქვს ფორმა შესაფერ ტანისა, რომელიც შემდეგში ვეღარ ითვისებს მყავბადეს''. ღია წერილში, ნოემბრის 30-ს, იგი უარს ამბობს გამოსთქვას თავისი დასკვნა, რადგან ოქროს ზოლების და ქსელის ძაფის მოძრაობა ყოფილიყო შედეგი შემცდარად დაყენებულ ცდისა. ქრისტიშობისთვის 1-ს დეპეშაში მან უკანვე წაიღო თავისი უარი და ღია წერილში ისევ აღიარა სისწორე თვის პირველ შთაბეჭდილებათა. აქედან სჩანს, რა ძლიერ მღელვარებას განიცდიდა ჩემი კორესპონდენტი. ეს დამახასიათებელი მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, თუ რამდენად გავრცელებულია განათლებულ წრეებშიაც პირველყოფილ დროის ადამიანის გულ-უბრყვილო იდეია; ამ იდეით—არსებობს გაზისებური უფერული სული თავის პატრონის მგზავს სახიანი; სული განილტვის ხოლმე იმავ ფორმით. და ეს იდეია დახეტიალობს ჩვენ შორის, როგორც აჩრდილი. ეხლა მაინც, აწინდელ ცოდნათა სფეროში, ბოლო მოუღოთ ქვის ხანის შეხედულებას.

*) თუ გინდ ყოფილიყო სხვა მსოფლიო და **ერთად ერთ** პუნქტში ჰქონოდა კავშირი ჩვენ მსოფლიოსთან, **ერთად ერთ** პუნქტში ემოქმედნა ჩვენი სახე, მაშინ იგი არ იქნებოდა მეორე მსოფლიოდ; იგი იქნებოდა ჩვენი მსოფლიოს შემადგენელი ნაწილი, იმავ კანონშეწონილობას დაემორჩილებოდა და მის შესწავლაც ისევე შეიძლებოდა, როგორც ჩვენი მსოფლიოსი. ეს არასოდეს არ უნდა გვავიწყდებოდეს.

ში, **ჩვენი** მსოფლიოს მთელი არსებული კანონშეწონილობის შესწავლა შეიძლება. აქ ჩვენ შემეცნებას პრინციპიალური საზღვარი არ შეხვდება. ეს აშკარაა რკინისებურ აუცილებლობით. მაგრამ ერთიც კიდევ. ცდა არ იძლევა მსოფლიოს დასასრულს, არსად წერტილს, სადაც ნივთი იყოს შეზღუდული. ცნება დასასრულისა და შეზღუდვის შესახებ შედეგია **ზერელა** დაკვირვებისა; ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ ჩვენის გრძნობათა ორგანოებით შეგვიძლიან ერთსა და იმავე დროს **ალვიბექდოთ** ნივთთა მცირე რაოდენობა, მათი განსაზღვრული სისტემა. თუ უსაცილო (ТОЧНЫЙ) ანალიზი მოვახდინეთ, მაშინ დავინახავთ, რომ ნივთთა შორის არსებობს კავშირი თვალუწვდენელი რიგებისა. შეზღუდვილი ნივთი იქნებოდა აბსოლუტური ნივთი; ჩვენ-კი აბსოლუტურ ნივთებს არ ვიცნობთ. ცდიდან გამომდინარეობს ცნება არა განსაზღვრელობისა და შეზღუდვილობისა, არამედ ცნება განუსაზღვრელობისა და შეუზღუდველობისა.

განუსაზღვრელია და შეუზღუდველი ჩვენი ქვეყანა, და ასევე ჩვენი შემეცნების შესაძლებლობაც განუსაზღვრელი და შეუზღუდველია.

მაშ, შორს დამღუნებელი „Jgnorabimus“, შორს მჭმუნვარება—ამისთვის მიზეზი არ არის—მაშ, გაუმარჯოს ახალგაზდა და სიხარულით სავსე გამოკვლევას.

 დ. ქადაგიძე.

---

## შეცდომის გასწორება

(იხ. „გან.“ № II)

| დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|---|---|
| „თვითოეულად“ (105 გვ.) . . . | თვითონ |
| „სენსუელისტები“ (107 გვ.) . . . | სენსუალისტები |
| „შემდეგად“ (108 გვ.) . . . | შედეგად |
| „კუნთისაც“ „ . . . . | კუნთისთვისაც |
| „კვნტ“ (107 გვ. შენიშვნა) . . | კანტ |

108 გ., მარჯვენა სვეტში, სწერია: „გამეორებულ მოვლენად წარმოდგენათა სფეროს“... „გამეორებულ“—ეს კორექტურულ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რადგან „вторичное“ явленіе, признакъ, процессъ... გამეორებას-კი არ ნიშნავს, არამედ დროში შემდეგ მოვლენილს, აღმოცენებულს, ევოლიუციის წესით უფრო გვიან წარმოშობილს და უფრო რთულსაც. ასევე უნდა გვესმოდეს მე-113 გვ. დაწერილი „გამეორებული შემეცნება“ და სხვაგანაც...

დ. ქადაგიძე.

# სიტყვა

აკაკის გარდაცვალების ორმოცის თავზე, თქმული ფოთის საკათედრო ტაძარში.

ორმოცი დღე შესრულდა, რომ აკაკი აღარ დაიარება საქართველოს მიწის პირზე; ორმოცი დღეა, რაც აღარავის ქართველთაგანს აღარ უხილავს დიადი გონების სალარო—აკაკის მაღალი შუბლი, ორმოცი დღეა, რაც აკაკის გენიოსური ენა ჩასდგა და ჩვეულებრივად აღარ აბნევს ჰკუა მახვილობის ობოლ მარგალიტებს, ორმოცი დღე გავიდა, რაც აკაკი, ვით შემოსული და სავსებით მოწეული ნაყოფი, მოსწყდა სიცოცხლის ხის ტოტს, გარდაიცვალა და ამის გამო გლოვობს, სტირის და გმინავს ქართველი ერი!

რა დიდებას და ფას დაუდებელ ღირებულობას წარმოადგენდა სამშობლოსათვის აკაკი, ეს ბალღისთვინაც აღარ არის ჩვენში უცნობი და ასახსნელი. თუ მორწმუნე პირი თავის უტყუარ რწმენას შემოქმედისადმი გამოსთქვამს ხოლმე სიმვოლო სარწმუნოებაში, ქართველმა ერმა თავისი გულსნადები აკაკის პიროვნების შესახებ ქვეყანას ამცნო აკაკის დასაფლავების დღეს, თებერვლის რვას. ხსენებულ დღეს სულით და ნებაყოფლობით გაერთიანებულმა ქართველობამ საჯაროთ ვაღვიარეთ და ქვეყანას დავანახვეთ, რომ აკაკი იყო ჩვენი ერის სულის საუკეთესო მხარეების ზეგარდმო მადლით ცხებული მხატვარი, ჩვენი ხალხის იდუმალი გრძნობებისა და სასოების სწორ უპოვარი გამომთქმელი, ქართველთა იდეალების საუცხოვო მქსოველ-მქარგველი, ჩვენი საუკეთესო მერმისის ზეშთაგონებული წინასწარმეტყველი, მშობლიო ქვეყნის თავგანწირული დარაჯი, ყველა ჩვენთაგანის უდიდესი მოძღვარი, უწარჩინებულეს წინამძღოლი, უბრძნესი მასწავლებელი, მოკლედ—აკაკი დავსახეთ ჩვენი ერის სულის მესაიდუმლოეთ. ამით ყველაფერი ვთქვით, ამით აკაკის პიროვნობის მნიშვნელობა და მისი ნაწერების ღირებულობა უმეტნაკლებებოდ ავწონ-გავზომეთ და გამოთქმულს ველარაფერს ჩაურთავთ, ველარაფრით შევავსებთ. „ხმა ერისა, ხმა ღვთისა“-ო. ერმა ასე მონათლა, ასეთ ვინმეთ იცნო დიდებული მგოსანი და ერის მთლიანი შემადგენელობის განაცადი, მთელი ერის მსჯავრი და გულიდან გამოძახილი ხომ საღვთო, სამარადისო და უცილობელი თვისებისაა!

თვისი ხანგრძლივი სიცოცხლე და მგრძნობიარე ჩანგის ციური ჟღერა ისე დაასრულა განსვენებულმა ქართველმა, რომ არასოდეს ღვთის საწინააღმდეგო ბეწვისოდენი რამეც არა გაურევია რა თავის ზღვა ნაწერებში. პირიქით, მისი ჩანგი ხშირათ იმართებოდა ქრისტე ღვთაების საგალობლად. აკაკის სიკვდილის გამო უმწერვალეს მწუხარებაში მყოფნი მხოლოდ ქრისტეს მოძღვრებით უნდა ურიგდებოდეთ ამ აუტანელ მოვლენას. მაცხოვარი ბძანებს: ამინ, ამინ გეტყვი თქვენ: უკეთუ არა მარცვალი იფქლისა

დავარდეს ქვეყანასა და არა მოკვდეს, იგი მარტო ხოლო ეგოს; ხოლო უკეთუ მოკვდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს (იოან. 12, 24).

იფქლის ან ხორბლის ერთი მარცვალი რომ აფხვიერებულ და გაწმენდილ ხნულში ვარდება, თავის ნაცვლად იძლევა ას-ორას მარცვლიან მაძღარ თავთავს. აკაკიც, სანამ ცოცხლობდა, წარმოადგენდა ერთეულს, ინდივიდს, განსაზღვრულ პიროვნობას, ეხლა-კი, რაკი იგი ჩაითესა გარდაცვალების შემდეგ მშობლიო ერის გულში, უნდა ვსასოებდეთ, რომ დაჰკარგავს მარტოობას და ერთი გადაიქცევა ათასად და ასიათასად. ამ იმედმა, ამ მოლოდინმა უნდა გაგვიქარვოს და შეგვაძლებინოს ატანა დღევანდელი გოდებისა.

მაგრამ რაც უნდა სალი, მაძღარი და ჩინებული ღირსებისა იყოს ხნულში ჩათესილი ხორბლის მარცვალი, მაინც მარტო დათესვა არ კმარა. თუ პატრონმა მიწა არ მოუფხვიერა დანათესს, არ მორწყო, არ გამარგლა და მეველედ არ მოუდგა, რომ ამოსული ჯეჯილი საქონელს არ მოაძოვოს და არ გააქელინოს, ვერაფერ ძნას ვერ მიიტანს იგი კალოზე.

ჩვენთვინაც დღევანდელ შემთხვევაში მარტო ის არ კმარა, რომ რაკი ჩვენს სათაყვანო მგოსანს გაუჭერით სამარე საქართველოს გულში, მხართეძოზე წამოვწვეთ და მოსვენებას მივეცეთ. აბა, სწორეთ ახლა გვმართებს გამოფხიზლება და ხელის გამოღება, ახლა უნდა თვითეულმა ქართველმა მეოჯახემ გახადოს აკაკის ნაწერები თავისი სახლის უსათუო კუთვნილებათ, ახლა უნდა ყოველ ქართველ ოჯახში დამზადდეს ხნული აკაკის მოძღვრების დასათესად, ახლაა საჭირო, რომ ქართველმა მამებმა და დედებმა გაუფუონ და გაუღვიონ თვიანთ შვილებს გულები აკაკის ნაწერების სიყვარულით, ახლა უნდა ქართველმა მშობლებმა აუძრან თავიანთ ნაშობებს სასიქადულო მგოსნის ნაწერების შეთვისების წყურვილი, ახლაა საჭირო, რომ თვითეულ ქართველ ოჯახში აბიბინდეს აკაკის აზრების ნაზი ჯეჯილი, ახლაა საჭირო, რომ ქართველი მშობლები მეველედ მოუდგნენ თავიანთი შვილების სწავლა-აღზრდის საქმეს, რომ ვისმე ტლანქმა ხელმა არ გათელოს და ყამირათ არ გახადოს მოზარდი ქართველობის გული აკაკის ნაკურთხი მარჯვენით ნათესის შესაწოვ-შესისხლხორცებისათვის.

შვილებო, ძმებო და დებო, მისახდომს მივხვდეთ, გასაგები გავიგოთ!

**ეპისკოპოსი ლეონიდი.**

# სიტყვა

თქმული აკაკის გარდაცვალების გამო პანაშვიდის წინ ქ. გეორგიევსკში— ხონის საოსტატო სემინარიის სადვთო სჯულის მასწავლებლის მღვდლის გ. ხაჟომიას მიერ.

რამოდენიმე კვირა გავიდა მას აქეთ. რაც დეპეშამ მოგვიტანა ჩვენ მეტის-მეტად სამწუხარო ამბავი. „ჩავიდა მზე საქართველოსი, აღარა გვყავს დიდებული აკაკი“. მე ვერ დავიჯერე ეს და ახლაც არ შემიძლია გავიზიარო ეს სამწუხარო ამბავი.

როგორ! მოკვდა ტკბილ-მგალობელი საქართველოსა, დიდება და სიამაყე ივერიისა?

არა! ეს არ არის სიმართლე. როგორ! მოკვდა ის, რომელიც ორმოცდაათი წლის განმავლობაში მახვილი, მაღალი, მტკიცე ჭკვით, მდიდარი ფანტაზიით, მხატვრულის ხელით ხელოვნურად ხატავდა სურათს სამშობლო ქვეყნისას! როგორ მოკვდებოდა ის, რომელმაც თავისი გენიის ძალით შესძლო აღედგინა გასული საუკუნოები და წარმოედგინა გასული დროის პიროვნებანი ესეთის სიმტკიცით, რომ თვით რეალური სახე გვეჩვენებოდა მკრთალი მასთან შედარებით.

არა! „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს“ და იცოცხლებს კიდევ დიდხანს, დიდხანს სანამ ცოცხალი იქნება ქართველი ერი.

აბა ვინ არ იცის აკაკი. და ვერ ნახავთ ადგილს, რომ არ იყოს აკაკი. შეიხედეთ ლამაზად მოწყობილ სახლში ამაყი იმერელისა, იქაც თქვენ დაინახავთ აკაკის. შებრძანდებით ღარიბ ქოხში მარდი მეგრელისა, ისიც ცოცხლად გაგაცნობენ თქვენ აკაკის. ჩაფიქრებულს ქართლელს შეუფარავს თავის ქოხში აკაკი. ცოცხალის სახით გიამბობს თქვენ აკაკიზე მკვირცხლი და ცნობის მოყვარე გურული. მძიმეთ მოლაპარაკე რაჭველი ვალათ ჩაითვლის გაგაცნოს თქვენ აკაკი. მშვიდობიანი კახელი სიტკოებით გიამბობს თქვენ დანდობას აკაკისთან. ეს კიდევ ცოტაა. გადაშალეთ მოსწავლე ყმაწვილის რომელიმე სახელმძღვანელო წიგნი და თქვენ უეჭველად ნახავთ იქ არა ერთსა და ორს უკვდავ ლექსებს და მოთხრობებს დიდი პოეტისას. თუ უკვდავია მაღალი იდეები, სილამაზე და სიმშვენიერე, შეერთებული სინაზე და სიმშვენიერე, შეერთებული სინაზე და გულის სიწმინდე, მაშინ აკაკიმ ჭეშმარიტად მოიპოვა უკვდავება ისეთის სიმშვენიერით თავისი პოეზიისა, რომელიც შეიცავს უმაღლეს ღირსებას ნამდვილი ხელოვნებისას. თუ შევეხებით აკაკის იდეიურ ქმნილებას, ამაზე თვით ფაქტების სინამდვილე გვიკარნახებს, რომ პოეტი იყო უნიჭიერესი წარმომადგენელი გასული საუკუნის სამოციან-წლეების საქართველოს მოღვაწეებისა.

მის ნაწარმოების შინაარსის სიმდიდრეს ხომ ვერავინ უარყოფს?

ეხლა შევეხოთ სილამაზეს და სიმშვენიერეს აკაკის პოეზიისას. აქ საჭიროდ ვცნობ გაცნობოთ თქვენ ერთი საიდუმლოება. კარგად ცნობილი პოეტი გრიგოლ ორბელიანი შესანიშნავი სახით თვალთცრემლიანი დასტიროდა მთელს ცხოვრებას. სამშობლოს განშორებულმა, დაგვიტოვა მხატვრული აღწერა საქართველოსი. კარგა ხანია მან აილო დაფნის გვირგვინი თავზე და მით შეამკო შუბლი ჩვენი დიდი

პოეტისა. რისთვის? საუკეთესო ლექსებისათვის, რომელიც შექმნა აკაკიმ.

როდესაც აკაკი ოთხმოცდა-ათიან წლებში კითხულობდა თავის ლექციას „ვეფხვის ტყაოსანზე", მაშინ ძვლები მთავარის ქართული პოეზიისა დიდებული შოთასი დაინძრენ. და რა უყოთ თუ აკაკი დაივიწყებს ჩვეულებრივ თავის თავმდაბლობას და იფიქრებს გაავლოს ხაზი შოთასა და მის შორის. თუ საჭიროა ვილაპარაკოთ აკაკის პოეზიის დემოკრატიულ მიმართულებაზე, მაშინ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დამახასიათებელი გლეხის გაჭივრებისა, რაფიელ ერისთავი, ძნელია დავსვათ ერთ სკამზე საქართველოს დიდ პოეტ აკაკისთან. თუ შევჩერდებით იმაზე, რომ რა ნაზი და ჩაფიქრებულია მისი ლირიკა, მაშინ ეჭვს გარეშეა, რო თვითეულმა ჩვენგანმა მშვენივრათ იცის გამოცდილებით, რომ ის სავსეა სიმპატიური გრძნობებით, რომლებიც გამოწვეულია აკაკის ნაზი, საკვირველი მუსიკალური საგალობელით. როგორ მადიანათ მოგვადგება თვალს ცრემლები, რა სიტკბოების კანკალს გრძნობს გული, როდესაც მოისმენს მისი საკვირველი ლექსების ჰარმონიას. ასეთის ნაწარმოებით აჯილდოებდა აკაკი თავის ხალხს. ან რით მოიხვეჭა მან საქართველოში გაუქრობელი დიდება პოეტისა? ვიმეორებ, კიდევ მიზეზი ასეთი დიდება-პატივცემისა აკაკისადმი ეს არის იდეიური განუსაზღვრელი დანდობა სამშობლოს ინტერესებზე და ადამიანზე, ეს მომხიბვლელი ნაზი კილო მისი პოეზიისა, რომელიც ამავე დროს განსხვავდება არაჩვეულებრივის სიმტკიცით და სრული ჰარმონიული შეთანხმებით, რომელსაც ვხედავთ მის რეალურ სახით გამოყვანილს პირებში და სხვ. და ან ასეთის მაღალი ღირსების პოეზიით პოეტმა მოიპოვა ისეთი ღრმა სიმპატია, ისეთი სიყვარული და განუშორებლობა ხალხისადმი, რომელიც შეგვიძლია ვთქვათ, არ შეხვედრია წილათ რუსთველის დროიდან, არც ერთ პოეტს. ამიტომ პოეტი გაჩნდებოდა თუ არა სამშობლო ქვეყნის რომელსამე კუთხეში, მაშინვე თითქმის მთელი ხალხი სტოვებდა თავის ჩვეულებრივ სამუშევარს და დიდის ამბით უმართავდენ მას ნამდვილს ეროვნულს დღესასწაულს, რომელზედაც ხელის-ხელ საგოგმანებლად ხდიდენ აქ მის ბრძნულ სიტყვებს რომელთაც ერთნაირად ისმენდა მოხუცი და ახალ გაზრდა; მგოსნის სიტყვებში ისინი პოულობდენ ღრმა სულიერ სიტკბოებას. ასეთ სულიერათ ასაზრდოვა მან თავისი ხალხი მთელ თავის სიცოცხლეში, რითაც მოიხვეჭა გარშემო სულ ფართე და ფართე წრე საზოგადოებისა. მაგრამ ჩვეულებრივი სისუსტე ადამიანისა ვერ გაუმკლავდა ჩვეულებრივ მოვლენას და წაგვართვა ჩვენი ბრძენი მასწავლებელი. მაგრამ პოეტი მუდამ ცოცხალი იქნება ჩვენს გულში, ეხლა კი ჩვენ, მისი სულიერი შვილები, სიშორის გამო მოკლებული ვართ, როგორც პატარა ფუტკრები თავის დედა ფუტკარს, გარს შემოვერტყათ მის კუბოს, და მისივე აღძრული, ანთებული გულით, გავათბოთ მისი გაცივებული გული.

მთებო! მთებო! კავკასიონისა, მაღალო მწვერვალნო იალბუზისა და ყაზბეგისა, გაეხვიეთ თქვენ შავ-სქელ ღრუბლებში, აცნობეთ ჩვენი გულითადი მწუხარება ივერიის შვილებს და გადაეცით სახელოვან მოხუცს საქართველოსას ჩვენი უკანასკნელი სალამი.

ქ. გეორგიევსკი

20 თებერვალი 1915 წ.

# ბედნიერება და მიზანი ცხოვრებისა

(უკვდავ აკაკის ხსენებას)

Სრული ჭეშმარიტებაა, რომ „ყოველი კაცი თავის ბედის მჭედელია‘‘... მაგრამ რაში გამოიხატება თვით ბედნიერება?!..

მე არ ძალმიძს მეფე ვიყო, ინდოეთსა ვფლობელობდე... ან კი რად მინდა თავისუფალ ხალხს რომ ვჩაგრავდე, ვბატონობდე?!..

არც შევნატრი მე ამ ქვეყნის დიდებულთა—მათს გარეგნულ ბრწყინვალებას, წუთისოფლის ამოებათა ამოებას...

მე არა მშურს ალექსანდრე მაკედონელისათვის და არც თუ იულიოს ცეზარ და ნაპოლეონისათვის სისხლში გასვრილი დაფნის გვირგვინი, მტარვალის სახელი...

მაინც, რას ჰქვიან მაშ ბედნიერება?..

მე არა ვფლობ ოქროს მადნებს და არც ჩემთვის მოცურავენ უცხო ქვეყნიდან ხომალდები თვალ-მარგალიტით დატვირთულნი...

ან რად მინდა კრეზი ვიყო, სიმდიდრე, საუნჯე, უთვალავი მოვიხვეჭო,—მონად გავხდე მამმონასი. ან კი ,,ვით შემერგება, რაც არ მერგება‘‘!?..

მაშ რა არის ბედნიერება?..

მე არა ვგრძნობ თავს ბედნიერად სემირამიდას თილისმა ბაღებში, ჰაერში ჩამოკიდულს, ხელოვნურ, ხელთქმნილს უცხო წალკოტში...

არა ხიბლავს გულს არც თუ ალკავიდას მარად ზურმუხტი მირტები...

მაშ რაშია ჩემი ბედნიერება?!..

მიყვარს სამშობლოს თბილი კერა, ცივი წყარო, გიჟი მდინარე. მიყვარს მთის ჰაერი, მისი ეთერი და ნაზი ზეფირი. ცა მშვენიერი, ცა მხიარული, ლაჟვარდი, ბუმბერაზ მთებზე, თოვლის ზოლზე დაყრდნობილი...

ყველასათვის ბრწყინავს ცად და ქვეყნად დიდებული მზე, გულის გამთბობი, მალხენი, ცხოველ მყოფელი, ძლევა მოსილი...

ყველასათვის მომხიბლავია ხელთუქმნელი ედემი ჩემი საყვარელ სამშობლოსი...

ყველას შეუძლია აღტაცებით დასტკბეს შავი ზღვით და მოლ-მაღნართა უთვალავის ფერადებით. ვინ არ უგალობდეს უცხოთ დახატულს ცოცხალ სურათებს, რომელთაც გრძნებით მოსილი კეკლუცი ბუნება ყოველ ცისმარე დღე სცვლის და კვალად ქმნის — მარად და მარად...

ჩემი ტურფა სამშობლოს გულუხვი დედამიწა, მშობლიურ დედის ნაზი სიყვარულით ყველას გვიღიმის, გვეტრფის, გვეალერსება,—გვასაზრდოებს ჩვენც და ყოველ სულდგმულს, ვარდსაც და ბულბულსაც. ხოლო ოდეს... განვვლით რა ცხოვრების გზას, მშობლიურ გულშივე ჩაგვიკრავს, ჩაგვიხუტებს, წიაღსა შინა ჩაგვიმარხავს...

დიაღ, ყველა ჩვენგანს შეუძლია იქონიოს მზის გულზე, მზის სხივებით გაჩირაღდნებული, მთის კალთაზე წამომდგარი, ლამაზი ქოხი. ყველას შეგვიძლია ჩავდგათ საკუთარი, სამკვიდრო კერა სიყვარულით გამთბარი, გავიხაროთ ოჯახით, ცოლშვილით, მეგობრით და ნათესავით. ყველას შეგვიძლია ვიქონიოთ პატიოსანი სახელი და წმინდა-უბიწო გუ-

ლი—უმწიკვლო სინიდისით დამშვიდებული.—ყველას შეგვიძლია გულწრფელად აღვასრულოთ მცნება მაცხოვრისა, ქრისტიანობის მთავარი აზრი:—გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი და უმეტეს მტერი ჩვენი ვითარცა თავი ჩვენი... ყველანი მოვალენი ვართ პატიოსანი და მედგარი შრომით ვიცხოვროთ—ჩვენი ოფლით მონაგარი, ჰალალი ლუკმა ჩვენც ტკბილად შევირგოთ და გაჭირვებულსაც ვარგოთ.—

დიაღ ბატონებო, ჭეშმარიტი ბედნიერება ყველასათვის ადვილი მისაწდომია. დიდსაც და პატარასაც ადვილად შეუძლია **გულში ჩაიდგას სამოთხე**—დასტკბეს ბედნიერის ცხოვრებით, პატიოსნებით, კეთილ-დღეობით...

,,ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის''—აი ამ ჭენმარიტ მცნებას უნდა ვემსახურებდეთ, უნდა მივყვეთ მას მთელი ჩვენის არსებით, წრფელის გულით და სულით. ეს მცნება არის **მიზანი ჩვენის სიცოცხლისა, ცხოვრებისა**. ეს მცნება გვაერთებს ჩვენ ყველ კაცს გლეხსაც, მეფესაც და დიდებულსაც, ვინაიდგან ყველანი ერთის ზეციერი მამის შვილნი ვართ, ერთ ნაირ ღვთიურ ნიჭით, უკვდავი სულით და მოსიყვარულე გულით დაბადებულნი.

მაშ სიყვარულით აღვასრულოთ სიცოცხლის მიზანი: ,,**ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის**'' მაშინ დამყარდება ამა ქვეყნად სამოთხე—ნამდვილი ბედნიერება, ძმობა-ერთობა, წრფელი სიყვარული და კაცთა შორის კეთილ-დღეობა, სრული სათნოება...

აი აქ ვპოვე მე ჩემი გულის სამოთხე და ბედნიერება—**ყველა ჩემთვის ზრუნავს და მეც ყველასთვის...**

**ილ. ალხაზიშვილი.**

---

# აკაკის ხსოვნას

(გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს)

დღეს შესრულდა ორმოცი დღე, რაც სამშობლო ქვეყანა გლოვობს და დასტირის თავის ერთგულსა და დიდებულ შვილს! ორმოცი დღეა, რაც შესწყდა საყვარელი მგოსნის ჩანგის მქუხარე ხმა! დღეს ის აღარ დასტრიალებს თავს თავის ერს, არამედ საუკუნოდ განისვენებს საქართველოს დედა ქალაქში, მის საყვარელ მთაწმინდაში, სადაც „გაზაფხულის" მოტრფიალეს ცის ნამი ცრემლად ეფრქვევა, ნიავი დილა-საღამოს სევდიანი ხმით ნანას დამღერის და ახალგაზდა ბულბულები საგაზაფხულო სხვა და სხვა ჰანგებს დასტვენენ და ხან კი მწარედ დაკვნესენ იმის ყვავილებით მორთულსა და ამწვანებულ საფლავს!...

აკაკის არაოდეს არ დავივიწყებთ! ორმოცდა თექვსმეტი წლის განმავლობაში ის მოუწყენლად უმღერდა თავის სამშობლოს, შენატროდა თავისი ერის გათვითცნობიერება-გამოფხიზლებას, რასაც იგი უწოდებდა ყოველთვის თავის სიმღერებში **„გაზაფხულის მოახლოებას"**.

აქვე მომყავს ამ ათი წლის წინად ნეტარ ხსენებულო აკაკის მიერ დაწერილ **„საგაზაფხულო სიმღერა“**:

„ყველას გვესმის ჟღივილის ხმა,
შეფთქრიალდნენ ჩიტუნები
და გაისმის ყოვლისა მხრით
გაზაფხულის ტკბილი ხმები.

—

გაიღვიძეთ!.. აღარ გვძინავს,
გავახილეთ ყველამ თვალი
და ჭიკჭიკით გვეგებება
მახარობლად დღეს მერცხალი.

—

მაღლა მთიდან ხმა გაისმის
გულს ხვდება და ატკბობს ყურსა!
შაშვი არის... შავი შაშვი,
რომ გაჰკივის სალამურსა!

—

დაბლა ბარში ათას ჰანგზე
აღგზნებული ბულბული სტვენს,
ღირს უღირსის გაურჩევლად
ყველას ატკბობს, სიამეს ჰფენს,

—

ეს ხომ ყველა ნიშანია,
რომ მოსულა გაზაფხული?
პირუტყვებიც კი ფხიზლობენ
ზამთრისაგან დაჩაგრული,

—

მაშ გაზაფხულს ჩვენც ვეღოდეთ,
წმინდათ მივსცეთ ხელი ხელსა
და გავკაფოთ ახალი გზა,
აუქციოთ მყარი ძველსა!

—

გვახსოვდეს, რომ პატიოსანს
ოფლს მოითხოვს სამართალი
და ტანს განსწმენდს ჭუჭყიანსა
მხოლოდ მარტო წმინდა წყალი!

—

არც სისხლით და არც ცრემლებით
არ იქნება ტანის ბანა!
შრომაშია მხოლოდ შვება
და ცხოვრების გამოცანა!“

აი, როგორი დიდებული და მარილიანი სიტყვებით ამხნევებდა ის და ანუგეშებდა ყოველთვის თავის ერს! დაბოლოს, როდესაც დაინახა გამოფხიზლებული ხალხი და დადგა მისი სანატრელი დრო, უწოდა **„გაზაფხული“**, მოეფინა იმის გულს ნათელი, ნუგეში და სვიმონ მოხუცივით სთქვა: **„აწ განმიტევე მონა შენი მეუფეო!“**

განისვენა მან, ჩვენ კი გვიანდერძა **„ძმობა, ერთობა და სიყვარული“**, ამისთვის გვმართებს ყველას, ვინც პატივს ვცემდით საყვარელ მგოსანს, მჭიდრო კავშირი, ძმური სიყვარული და თანხმობა დავამყაროთ ერთმანეთ შორის და ისე ვემსახუროთ ყოველგვარ საზოგადო საერო საქმეს.

**ლადო ბზვანელი.**

# საქართველოს მზეს!..

(დიდ მგოსან აკაკის გარდაცვალების გამო)

მზე ჩაესვენა ნარნარ სინაზით,
მზე დაიჩრდილა სამშობლოს სუსხით,
ფიქრი ობოლი სამარადისოთ
დააკვდა რწმენას უმანკო ოხვრით.
მთა მწუხრის ძაძით გადაიფინა,
ველი აკვნესდა და აქვითინდა,
კავკასიონის მწვერვალთა გუნდი,
ცისკრის ვარსკვლავზე გლოვით დადინდა!—

*
* *

მშობელ ერის საკურთხეველს მოსწყდა სხივი ნარნარ-შვებით,
გრძნეულ ზღვაში ალივლივდა მარგალიტის თრთოლვა-ლხენით,
შავ დუმილში ჩაიქსოვა ივერიის ამოკვნესა,
ყოფნის აზრის შეუმცნები სევდის გრდემლზე გამოჰკვესა!..

—

საუკუნემ გამოსჭედა შავი ცრემლი ცხოვრებისა,
ცის ეტრატზე გაატივა ვარსკვლავთ ხომლი ფიქრებისა,
ცელქმა სიომ მსხუსხავ სივრცის მცნების ლოდზე გადირბინა,
და ტრფობის გედს იმედოვანს მწუხრის ნანა მოასმინა.

—

საქართველოს ველ-მიდამო შავ ბურუსით მოიბურა,
სასაფლაოს უხმო კვნესამ დღის პორფირი მოახურა,
მრთოლავ მკერდმა ვერ გაათბო დანამული შვილის გული,
თან წაიღო სიტყვა ბრძოლის, თან წაიღო სიხარული.

—

ციურ გლოვით შეფოთლილა ჩემი ქვეყნის ტურფა მთები,
ცრემლთა წვიმით გადიბანა ივერიის მწვერვალები,
მწუხარ ღიმით გადმომდგარან მხიბლავ მამათ აკლდამები,
მწვანე ხავსით შეფოთლილა სასაფლაოს უხმო ქვები.

—

ჩაჰქრა ბედი ივერიის, დაიბურა ეს შვების ცა,
ტკბილი მამა, წინამძღოლი შავ სიკვდილმა გამოსტაცა,
კვნესის ერი დატანჯული, უორკეცებს სევდას მწარეს,
სტირის ვიშით და კვლავ გლოვობს საქართველოს მზეს ელვარეს.

და აკვნესდა სიზმრის ვარდი, თეთრი ღამე, თეთრი სხივი,
უკვდავებად გარდაქმნილი, ცის ეტრატზე განაცივი,
...და დადუმდა მგოსნის ჩანგი, მოღმედე სიმთა ჟღერა,
საქართველოს განთიადზე გამოისმა სევდის მღერა.

*
*   *

უკანასკნელი სალამი ტკბილი
მიიღე გრძნობით მამა მთავარო,
აქ ჩრდილოეთში წმინდა აჩრდილზე
მინდა ვილოცო, ცრემლი დავღვარო.—
მახსოვს სინაზე მაგ შენი ჩანგის,
შენი სიტყვები ღრმად გულში ჩამწვდა,
და, საქართველოს მზე, ელვარევ,
სამუდამჟამოთ რწმენით გაღვივდა.

ს. ტაიფუნი.

# ლოდინი

რომანსი

(ძველი რვეულიდან)

მოელოდები ჭულმოკლული, თვალცრემლიანი,
მწარედა ოხრავ... გძულს უაზრო სიცოცხლის დენა;
სიცხით გეწვება ბრძოლის მკერდი... ლერწამი ტანი,
ელი—არ მოდის... აღარ ძალგიძს მეტი მოთმენა...

*
*   *

ოთახში ბნელა. ჰრაქს არ ანთებ... გელევა ძალი,
რბილ სარეცელზედ ესვენები სასომიხდილი;
იმისას ჰფიქრობ, ჰფიქრობ მონა თავისუფალი,
სულს გიდგავს მხოლოდ მაზედ წმიდა ოცნება ტკბილი...

*
*   *

წამოსდეგ. მიხველ ფანჯარასთან... ვერ მიიძინე,
მინებს გარედგან ებურებათ წყვდიადის ბინდი;
თვალებსა ლულავ... თროთი... კანკალებ... ამოიგმინე,
დაემხე იქვე მაგიდაზე და... აქვითინდი...

კიკნა ფშაველი.

# შორის ძახილი

მნათობთა მეფის სამყარო
აღმოსავლეთი გვიამბობს,
ცის დარაჯთ შორის არწივი
ჰაერს ამაყად მოაპობს;
მაღლით დაჰყურებს მიდამოს,
მინდორ-ველს განატიალებს,
იქ სისხლით მკერდ-შეფერილი
მდინარე ლომებრ ღრიალებს!..
გლოვის ხმა, მაღლით აჰრილი
შორ სივრცეს ისრად გაჰკვრია,
ნეტა ვინ იცის ვაჟკაცი
ველად რაოდენ აწყვია,
ვის შეუმოკლეს სიცოცხლე,
ან ვის სიკვდილი ატყვია,
გლოვამ მოიცო რაოდენ—
ვის ჩაეკონა მტრის ტყვია!..
ფრინველთ სამყარო ზანზარებს—
მეფისთვის სუფრა მზადდება,
არწივი ჰაერს მოაპობს,
ქვეყანას ცეცხლად ედება!..
იქ ველი დაობლებული
ვაჟკაცთა სისხლით ილტება,
ფიალა დამზადებული
არწივისათვის ივსება!..
გლოვის ხმა მაღლით აჰრილი
შორ სივრცეს ისრად გაჰკვრია,
ნეტა, ვინ იცის ვაჟკაცი
ველად რაოდენ აწყვია!

**გელა.**

## დაკარგულს ვარსკვლავს

ღრუბლიან ცაზედ, ღამის წყვდიადში
შეჰკრთა ვარსკვლავი უცხო ციალით;
ბნელ უდაბნოში მაშვრალი სული
მყისვე აღვეგზნე მისდა ტრფიალით!..

ბოროტმა სულმა მნათობს შავი ფრთა
კვლავ წააფარა ნელის შრიალით;
დაბნელდა ზეცა, დაისდა გული.
დაუშრეტელი ტანჯვის ფიალით!..

და გარიყული ტლუ ცხოვრებიდგან
აღტყინებული გულისა ძგერით,
ამაოდ ვუხმობ დაკარგულ ვარსკვლავს
ციურ ჰანგებზე მოთქმა-სიმღერით!

ამაო ზრახვას გრძნობა-გონება
ოცნების მხარეს რად მიჰყვებოდა?..
ეხ! რა ვიცოდი ტკბილი ჩვენება
მწარ სინამდვილედ შემეცვლებოდა!!..

**ილ. გოგია.**

# ზღვის სუნთქვა

მშვენიერს ლურჯსა მოწმენდილს ცაზე
არსად ღრუბელი აღარა სჩანდა;
ნაზად მღელვარე პირ-წმინდა ზღვაზე
ანკარა წყალში მზე სხივებს ბანდა.

სიოც კი შესდგა, თითქოს უნდოდა
ენახა წყნარი მას სუნთქვა ზღვისა
და დამტკბარიყო, თუ როგორ კრთოდა
ზღვის წმინდა წყალში სხივები მზისა.

დამშვიდებული ზღვა აღარ ჰქუხდა,
უძირო გული წყნარად სუნთქავდა;
ზღვა ტალღთ გოდებით აღარა სწუხდა,
ზღვის პირისახე ლაჟვარდ ცას გავდა.

მზე დაეხარა. უკანასკნელად
გაცურდნენ ზღვაზე სხივები მზისა,—
ზღვა მოეპარა მზეს საკოცნელად,
გულში ჩაიკრა მნათობი დღისა.

ზღვა შეთამაშდა, შეკრთდა, შეტოკდა,
ზღვამ შეარხია უძირო გული,—
ზღვის ცელქი ტალღა გაცოცხლდა, მოკვ-
ისევ შეიქნა გაცოცხლებული. და,

ზღვამ შეარხია სიღრმით თვის გული,
ზღვამ გაიცინა, ზღვამ გაიხარა,—
ზღვის სიხარულსა ტალღებმა ბანი
შემოსძახეს და გაჩუმდნენ ჩქარა.

ჰაერი შესდგა... ზღვა აღარ იძვრის...
მთა გაიყინა... დადუმდა ბარი...
ცა მოიღრუბლა, ცა ცრემლუბსა ღვრის,
ცის ცრემლთ ღვრას მოჰყვა ძლიერი ქარი.

ზღვის გულს რა ჩასწვდა ფიქრები შავი,
ზღვამ ერთი მწარედ ამოიკვნესა
და თავისუფლად მცურავი ნავი
ზედ მიამსხვრია მრისხანედ კლდესა.

მთლად შეიცვალა ზღვამ წმინდა პირი,
ზღვა აირია, ზღვა აიშალა....
ჯოჯოხეთისა ისმის საყვირი
და ძლიერდება ბნელეთის ძალა.
ხმა საშინელი: ჰექა-ქუხილი,
ქარის ზუზუნი, ტალღთა გოდება,
ციურთა ცრემლთა მწარე დუღილი.—
ოხ, ჯოჯოხეთი მსხვერპლს ელოდება...

ფასკუნჯი.

# მე

ცას შევჩივლე: გულის სევდა,
მიწის სევდით დანაბადი,
ვინ გამიქროს? ვინ შემიშროს
თვალთ მომჩქეფი ცრემლთ ნაკადი?

მიპასუხა: „თუ აღარ გსურს
იყო ობლად, ვით ბედშავი,—
მიწის შვილებს ეერთგულე,
მათი ურვა გაიყავი.

როცა მოძმე ცრემლში სცურავს,
მისი სისხლით ირწყვის ველი,
როცა იგი კვნესის, ოხრავს
მაშინ შვებას ნურც შენ ელი!

წუთისოფლად შენ ბუნებამ
გაგაწესა მხოლოდ მისთვის,
რომ ჩაგრულებს გვერდში უდგე
და ცრემლს ღვრიდე ტანჯულ ძმისთვის!“

და მეც მოვსთქვამ: ჩაგრულ კვნესას
ბოლო როდის მოეღება,
რომ ოდესმე მეც ვიხარო,
რომ მეც ვიგრძნო ნეტარება...

ა. ფანცულაია.

# ზამთრის მელოდია

ა.

მიწა შეკრთა... თოვლის გულზე,
გაიყინა დღის ზღაპარი.
ათამაშდა თეთრი ფიქრი,
შეარხია მთა და ბარი!..
ჩამოთოვლა... ფანჯრის მინას,
დაეკონა თეთრი რთვილი
და შეპენტილ მთის მწვერვალზედ,
ათამაშდა სიო გრილი...

ბ.

წკაპ, წკაპ, წკაპ, წკაპ!..
ეცემიან ძირს წვეთები.
თოვლი დნება... და შავს მანდილს
დაუფარავს სალი მთები...
მოიწყინე ჩემო კარგო,
მოიწყინე... მოიწყინე..—
და ბუნების სარეცელზედ,
მწვავე ფიქრით მივაძინე!..

*
* *

შენც ცრემლს აფრქვევ...—ცხარე ცრემლებს.
—არც ღიმილობ.. და არც მღერი...
მოწყენილა ეს სალამო,
მოწყენილა ცის ჭაერი...

გ.

მე მდუმარე,
ვზივარ ერთი
ეტრატზე ვსწერ საგალობელს.
—შენ მწუხარე—
სევდის ღმერთი—
თავს მევლები!..
გევედრები...
—მოფრენილო,
მუზათ შვილო,
შენი სახე,—
მიკარნახე!..
რომ თავს ვიდვა ქანდაკება,
სანამ ცეცხლი არ ჩაქრება!..

. . . . . . . . .

შენ კი, ჰყუჩობ,—
არ საუბრობ...—
მომარიდე ცეცხლის პირი
და ცრემლებით, ესე ჰსტირი...

—

მითხარ,
ვინ ხარ?!.
ან ტირილსა, ვის მიუძღვნი!..
მე, ზეცას, თუ ხმატკბილ მშობელს?..

დ.

...და ისევ თოვს... არსაით მზე,
რთვილზე ჰკრთება ბროლის მინა...
და თოვლ-ფიფქი,— მინის მკერდზე,
ფრთოლვა ბნელით, გაიყინა!..
..და ისევ თოვს ჩემ ფიქრებშიც...
ველარ ვნახე, შენი სახე
ცეცხლიც ჩაჰქრა...—ქანდაკებაც,
მიწად, ველარ გამოვსახე!..

—

და ასე ვსტირ, მე ქურუმი,
ცრემლები მდის შეუშრალი.
აღარ ვყივი საღმრთო ხმებით,
გულში ჩაჰქრა—ნაპერწკალი!..

მ.

კვალად ვნაღვლობ... კვლავ მარტო ვარ... მენატრება სხივი მზისა...
არსად სატრფო—მეგობარი..—შთამესახა სევდა ცისა...
ზეცავ, ზეცავ, შემიწყალე, მომანიჭე ესდენ შვება,—
რომ ფიქრებით, მაინც კიდევ, აღვადგინო ქანდაკება!..

გ. ლეონიძე.

# არ ვეურჩებით... არ ვეურჩებით...

(სადა ლექსი)

კუნძული...
მწირი კუნძული ჩემი ცხოვრების...
არა ჰშორდება ჯანღ-ნისლთა მთები...
არა ჰშორდება მიკიოტთ ხმები...
ბნელა... სულ ბნელა გაუშვრეტელად...

* *

სხვაგან... სხვა კუნძულს კი ცა დაჰკაშკაშებს...
მთა-ბარი ზურმუხტოვნობს...
ოცნება ჭირ-მზეობს...
სიცოცხლე ეშხით მთვრალობს...

* *

რამდენჯერ, რამდენჯერ მინუგეშებია ჩემი საბრალო გული: ნუ, ნუ ჰკვნესი, გულიკო!.. მოიცა გენაცვალე... ცოტაც მოიცა და იქ იმ ტურფა კუნძულზე გაიშლებიან იალქნები... იმ კუნძულიდან ცრემლთა ზღვაში ჩამოეშვება ხომალდი და გამოჰქროლებს ჩვენსკენ კისკასად, შევარდენივით კისკასად გამოჰქროლებს ჩვენსკენ და მოგვიფრენს მას, ვინც ნიადაგ გვესიზმრებოდა ზღაპრულ მშვენებით... მოფრინდება იგი და ჩვენი კუნძულიც აშარავანდდება... აყვავილდება... ჩვენი კუნძულიც ანარნარდება ფერად-ფერადად...

და შენც გასთბები, ჩემო გულიკო,
შენც ათრთოლდები ტრფიალებითა,
შენც იწყებ მღერას... ცისკროვანს მღერას...

* *

ასე ვინუგეშებდი მომტირალს გულსა,
მაგრამ არ სჩანდა არსით ხომალდი,
არვინ ჰფიქრობდა ჩვენს მწირს კუნძულზე,
არვის ვახსოვდით...

* *

დღესაც ისეა...
დღესაც ისევ ვართ დავიწყებულნი...
მაგრამ იმედით აღარ გავცქერთ მომავალის ცას..
ტკბილ-სასოებით აღარ ველით ნუგეშინის მცემს...
აღსრულდა!..
ჩაკვდა... ჩაგვეხშო სურვილთა გზნება...
გაგვიბედითდა ხარწმუნოება...
შევურიგდით ბედს... შევურიგდით ბედს...
აღარ ვგმობთ კუნძულს ტიალ ჯოფისას.
დაე იმრავლონ მუნ ჭოტებმა... მიკიოტებმა...
დაე ჩამოწვნენ უფრო მძიმედ ჯანღ-ნისლთა მთები...
არ ვეურჩებით... არ ვეურჩებით...
დაე ჩამოწვნენ უფრო მძიმედ ჯანღ-ნისლთა მთები...

დ. თურდოსპირელი.

# ვარდი ჰყვაოდა...

(საკსაგონს-კაიასი)

შენ გვერდით მიჯექი და ტკბილად ჩურჩულებდი... ჩემს გულში მძლავრი ტალღები სიყვარულისა ერთმანეთს ეთამაშებოდენ და მთელ სხეულს სიტკბოებით ავსებდენ... ვარდი კი ჰყვაოდა და ნიავის ფრთებით გვიგზავნიდა ლამაზ ფოთლებსა...

ბულბული მოფრინდა, მხიარულად დააჯდა ჩვენსკენ გადმოშვერილ ტოტს და მორთო ტკბილი, წარმტაცი, საამური სიმღერა. იმღეროდა ტკბილათ. გარემო სდუმდა. სდუმდა თვით შეუჩერებელი სიო... უნდოდა სავსებით მოესმინა, დამტკბარიყო დამაჯადოებელ მელოდიით და შემდეგ... შემდეგ კი ძველებურად ესაუბრნა ყვავილთა ბუჩქებთან...

ჩვენც ვსდუმდით. მაგრად ჩავეკროდით ერთმანეთს და სრულს დავიწყებას მივსცემოდით... რა კარგი იყო...

ღამე ფრთხილად ითვლიმებოდა... ჩემი სული კი ოცნების ტალღებში ერთობოდა და სიყვარულის ჰიმს უთქმელად ღაღადებდა...

მიყვარდი...

შენ ჩურჩულებდი... ჩვენი თვალები კი ერთმანეთს კოცნიდენ...

ვარდი საოცნებოთ ირხეოდა და ორთავეს გიჟურათ გვკოცნიდა...

გვიყვარდა ერთმანეთი..

ფრთხილად დაქროდა ნელი სიო...

ჩუმად გვტაცებდა გახურებულ კოცნას და ყვავილებთან მიჰქონდა...

ვარდი ჰყვაოდა...

ღამის წმინდა ჰაერი სავსე იყო ყვავილთა სურნელებით...

ოცნების ზღვაში ხელი-ხელ გადახვეულნი ვცურავდით და საოცნებო მელოდიას ვაქსოვდით სიყვარულის ლამაზ ტალღებს...

თვალები ელვარებდენ... მისჩერებოდენ მაღლა ვარსკვლავთა... სტაცებდენ ოქროს სხავებს და ერთმანეთს ძღვნიდენ...

ზევით ცაში კი ანგელოზები გალობდენ ციურ ლექსებს და უხილავ თითებით ჩუმად სიხარულის ჩანგს ეხებოდნენ...

მათი მომხიბლავი ჰიმნი ეშვებოდა ძირს... ერთვოდა ჩვენს სხეულს და ოცნების ფრთებით ღმერთთან მიჰქონდა ორივეს გამაღლებული სუნთქვა....

ჩვენ ვიწოდით სიყვარულის ალში...

ირგვლივ მიდამოს ოქროს ფრად მოსდებოდა სიმშვენიერე... ყოველივე სდუმდა და ჩვენ... მხოლოდ ჩვენ გველიმებოდა...

მე მიყვარდი...

... დრო იცვალა...

იწყო ქუხილი... ატყდა გრგვინვა...

კეკლუცი ბუნება საზარლათ შეიცვალა...

ასისინდა ქარი... ტლანკად ეძგერა ყვავილს... შეუბრალებლად დაჰგლიჯა ის... ავაზაკურად მოაბნია გატიალებულ მინდორზე...

და მაშინვე ვიგრძენ სიობლე!..

სიყვარულის ტალღები შავ ზვირთებათ იცვალა...

გული უკანასკნელათ ჩაკვდა, ჩაფერფლდა...

ნათელი ფიქრები ღამის სიბნელემ შთანთქა...

მოციმციმე ვარსკვლავთ შავი ჩადრი გადაეფარა...

ზანტათ შემოკრა ფრთები წყვდიადის მეფე ბუმ და კივილით თავს დამტრიალებს...

ის შიღრღნის გულს და მატირებს... ეს სევდაა...

ვარდმა ერთხელ კიდევ უკანასკნელათ თავზე დამხმარი ფოთლები დამაყარა და ერთიანათ გატიტვლდა...

გატიტვლდა ვარდი და გატიტვლდა გულიც...

გაურკვეველი სიბნელე მოეფინა მიდამოს... იგი დამძახის დამარცხებას...

გული ქვითინებს...
მე მარტო ვარ...
შენ გამშორდი...
ვარდი გახმა...

ლ. ძიძიგური.

# მე ვჰქვითინებ...

დაუჯერე, დაუჯერე, მას უყვარხარ— მელუკლუკებოდა ნაკადი, როდესაც სატრფო სიყვარულს მეფიცებოდა.

უყვარხარ, ღმერთმანი უყვარხარ—მარწმუნებდა კუდრაჭა ნიავი.

ახ, რა უწმუნო ყოფილხარ—სჯავრობდა სუმბული,—ვერა ჰხედავ განა მაგის თვალებს რა ეშხით შემოგფრინვიან?

მართლაც და მის თვალებიდან გადმოფრქვეული სხივები ისეთის სინაზითა და ალერსით იყვნენ შეეშხულნი, რომ უჯერებდი ფიცს...

ვხარობდი... ვნეტარებდი...

* * *

ნაკადო, ნაკადულო, რა თვალს მარიდებ? შესდექ მცირე ხნით. რა იქმნა ჩემი სატრფო, რა იქმნა მისი ფიცი. მხოლოდ ერთი წელიწადი გავიდა რაც იგი სწორედ ამ ადგილას მეფიცებოდა... საუკუნო მეგობრობას მპირდებოდა და აი ახლა მარტო ვარ, მარტოდ მარტო...

— არა გრცხვენიან, სუმბულო, რად შემაცდინე? ნუ თუ ვერა ჰგრძნობდი, რომ იგი გულში სულ სხვასა ჰფიქრობდა... რად შემაყვარე... რად დამაჯერე მისი ფიცი... რად? ერთი წელი გავიდა მხოლოდ მას აქეთ და უკვე მარტო ვარ. მარტო ვდგევარ იქ, სადაც იგი ერთგულებას მეფიცებოდა და მწარედ ვსტირი.

— ნიავო, ნიავო, ტუშის ხმები საიდან მოგიტაცნია... საით მიაქროლებ?

— ბაღიდან... ქორწილიდან... ცისკენ მიმაქვს ტრფობის ვარსკვლავებლად ასაციმციმებლად...

— ბედნიერები... ნეტავი მათ!

მარქვი, გეთაყვა, ვინ არს დედოფალი, ბედნიერების ახსავლის კარი ვისთვის გახსნილა?..

... სდუმს ნიავი.

მე ქორწილიდან მონაქროლ ჰიანურის ჰანგებთან ერთად ვქვითინებ...

სატირი კი ჰკუჰდება სიცილითა.

დ. თურდოსპირელი.

# მაგდალინელი

Იდუმალებით სავსე ფერი შეუკრთა ღამეს, ვით ქორწინების სარეცელზე გამოღვიძებულ ქალწულს, მზის ნაზი მოწითალო სხივთა მძივები, მოსხლტნენ გოლგოთის მთიდგან, დილის ცვარი აცდლდა ახლად გაშლილ ფოთლებზე...

სიცოცხლის ვნებით დაღლილი მაგდალინელი მიეშურებოდა იესოს საფლავზე. სურდა იქ შორიახლო ჩამომჯდარიყო და თვისი ტკბილი მოგონება გამოეტირა. უსაზღვრო სევდა გამოკრთოდა მწარე ფიქრებით შებოჭვილ, განუსაზღვრელ მშვენიერ სახეს. ნათელ თვალთაგან მოსხლტნენ ცრემლთა მოვერცხლილი ზვირთნი, ძალმილეული დაემხო ძირს და მწარედ აქვითინდა.

— რად აწამეთ რად ნაზარეველი? რისთვის აცვით ჯვარს!

აღმოხვდა ოხვრა გულის სიღრმიდგან. მიბნედილი თვალები მიაპყრო მაღლად აზიდულ გოლგოთის მთას და შემდეგ იესოს საფლავს გადახედა. შიშმა, საკვირველებამ, უძრავად გარდაქმნა და გააფითრა მაგდალინელი. დაჟინებით მიაპყრო სევდიანი თვალები გამოქვაბულს: აღარც ლოდი, აღარც დარაჯი, გამოქვაბულის: ბნელ წყვდიადში ციალებს მზის მკრთალი სხივი.

— სად წაიღეთ გვამი იესოსი?

არსაიდამ ხმა, წყნარი დუმილი სდარაჯობს სივრცეს.

— ვინ წაიღო ვინ გვამი იესოსი? — შესძახოდა მაგდალინელი ყველას.

— სად არის გვამი ნაზარეველისა? — მთრთოლვარე ხმით შეეკითხა გზად მიმავალ პეტრეს.

— რას ამბობ დედაკაცო?

— დილით ადრე ვიყავ მის საფლავზე, იქ აღარ არის გვამი იესოსი, წამოიძახა მწუხარე ვნებით ძალმილეულმა და იქვე ჩაიკეცა.

— მართალს ამბობ დედაკაცო?

სევდით გულჩათხრობილ ქალწულის სმენას არ ჩასწვდა პეტრეს მედგარი ხმა. მოციქული განცვიფრებული განშორდა მწუხარებით ღონე მიხდილ ქალწულს...

მძლავრ სევდით გულ-მოკლული მაგდალინელი კვლავ წავიდა მდუმარედ აზიდულ გოლგოთისაკენ და ჩამოჯდა ლოდზე. დანაღვლებულ სახეს ირგვლივ ნაზად შემოეხვია, გაშლილი თმა, ცრემლთა ნაკადი მოსხლტა ღაწვთაგან, დაწყლულებული სულის ოხვრა გოლგოთისაკენ გაიტაცა ცელქმა ნიავმა. მზის სხივთა ციალმა აცრემლებულ თვალებს მხედველობა დაუსუსტა, წარსულთა ფიქრი, წარსულ დროთა სურათები აიშალა ქალწულის გონებაში. გოლგოთის ჩრდილი გადმოწვა ფერდობზე, და აჰა სევდით დატყვევებულ ქარწულის წინ წამოიჭრა მხიბლავი სახე იესოსი.

— მარიამ! მარიამ!

თითქოს შორიდგან მოესმა გრძნობის დამატყვევებელი ხმები ბუნების იდუმალ ჰანგთა ჟღერისა.

— მარიამ! მარიამ!

— მოძღვარ!

შვებით აღმოხდა მაგდალინელს და დაემხო ძირს.

— მოძღვარო! მოძღვარო!

გრძნობით ჩურჩულებდა მისი მთრთოლვარე ტუჩები და კოცნიდა მიწას...

როდესაც გამოერკვა ამ იდუმალ ძალისაგან, მშვიდი სევდიანი თვალები ალაპყრო ზეცად...

ისევ წყნარი დუმილი მეფობდა ირგვლივ, ისევ მრისხანედ გამოიყურებოდა გოლგოთის მთა, ისევ ბნელ წყვდიადს მოეცო გამოქვაბული.

ისევ სიმშვიდე წყნარი სდარაჯობდა საწუთროებას...

**მიხ. ბოჭორიშვილი.**

# „ის მხარე“...

(ძღვნათ თ-ს და ბ-ს)

ოჰ, ის მხარე!..

მე ვიცნობ მას... იქ თოვლიანი მთის მწვერვალები ზეცისაკენ მიისწრაფვიან, ბრძოლას უცხადებენ მას,—მათ სურთ რომ მათზე მაღალი არც თვით ცა იქნეს, მხოლოდ მათა სურთ ქვეყნად იმეფონ...

იქ განრისხებული ცა წვიმასა და მეხს აყრის თავზე შეუპოვარ მთებს, მაგრამ, გულმომბალი ისევ მალე სიცილს იწყებს... ისევ უღიმის მთებს...

იქ მთის ნიავი ჩაკონებია მთისავე ნაკადს და მასთან ერთად თავის უფლების სიმღერას გაიძახის...

იქ, შეუპოვარი კლდეები, რომელთაც მთის ქარიშხალი შიგ გულში სცემს, დაღვრემილნი სდგანან და ნიშნათ გულის წყრომისა ხანდისხან ქვა-ლოდებს გზავნიან დაბლა, რომ მით შეაჩერონ მთის მდინარის ტალღათა სრბოლა, ჯავრი იყარონ მაზე...

იქ, საიდუმლოებით მოცული ასწლოვანი ტყე რაღაცას აბარებს, რაღაცას ეჩურჩულება იქვე მიმავალ მდინარეს ...მასაც მიაქვს მოკითხვა ტყის შორეულ მეგობრებთან დამილილინებს...

და რაებს არ მღერიან იქ მდინარენი!.. რაებს არ ამბობენ!..

მხოლოდ ბევრს არ ესმის ამ მდინარენაკადების ნაზი სიმღერა... მას ვერ გაიგებს უცხო ვინმე... ვერ გაიგებს მათ გულ-ნადებს. ბევრს არ ესმის, თუ რას ამბობენ ის საიდუმლოებით მოცული ნანგრევები... მთების მწვერვალებსა და მდინარეების ნაპირებზე რომ ამართულან...

იქ ქვანიც ღაღადებენ, იქ ყოველი შემოხაზულება, ყოველი ჩუქურთმა ლაპარაკობს წარსულ დიდებულ დროზე...

მშვენიერია, მშვენიერია ის მხარე!..

მაგრამ... იქ ისმის კვნესა სიცილის მაგივრად, იქ მონობაა თავისუფლების წილ, იქ წყვდიადი მეფობს სინათლის მაგიერ, იქ ყველაფერი ლამაზია, მაგრამ ვერვინ სტკბება ამ მშვენიერებით...

დაფიქრებულა, მწუხარებას მოუცავს ის მხარე... ის მშვენიერია ამ მწუხარებაშიაც კი... მაგრამ რა მშვენიერება— მის გულს უხილავი ცხარე ცრემლები სწვავს და ბასრი მახვილით ნელნელა იგმირება... და ვინ შეუშრობს ცრემლებს, ვინ დაუტკბობს მას იმ იარებს?!.

მშვენიერი და ლამაზია ის მხარე...

მაგრამ რა მშვენიერი იქნებოდა, რომ სისხლით მორწყული ცრემლებით არ ირწყვებოდეს?!

**მიწიშვილი.**

# ცხოვრების პირველ საფეხურზე

(ფსიხოლოგიური ეტიუდი)

(გაგრძელება)

## VI

ერთხელ თამრო თავისთვის მარტოკა აივანზე, იქვე ოთახის კარების წინ, იჯდა, თავის კუკებს ათამაშებდა. გვერდზე მუხლის ახლო, ნახევარ არშინის სიგრძე კოხტა აკვანი ედგა თავის სუფთა ჩალასებ, მხარ-მუხლ-ბალიშებით, არტახ-ლახმებით და საბნით გაწყობილი. ერთი მარტო პერანგიანი კუკი კი ხელში ეჭირა და მას ეალერსებოდა.

— ნანა ჩემ შვილს, ნანა.—თან კუკს უკან პერანგის კალთას უკეცავდა, აკვანში აწვენდა; ჩააწვინა კიდეც, შიბაქი გაუსწორა, მუხლები გაუკავა, მუხლთ ბალიში დაადო მუხლებზე, არტახი გადაუჭირა და ახლა ხელებს უსწორებდა ჩასაკვრელად, არტახს უჭერდა, თან კი ჰკოცნიდა, არწევდა აკვანს, ნანას ეუბნებოდა. ამ დროს აივნის კიბეზე რაღაც ფეხის ხმა, ბაკა-ბუკი მოისმა. თამრომ კიბისკენ მიიხედა და დაინახა შუა კიბეში ვირთაგვის საზარელი თავი. ის ძლივ-ძლივობით მოფოფხავდა—მოაბაკუნებდა ქვის კიბეზე. უზარ-მაზარ საზარელ მხეცს თავი ვირის ჰქონდა, ტანი კოლოტივით გაბერილი თაგვისა, ფეხები კი ისევ ვირის ფეხებს მიემგზავსებოდა. მხეცს თავისი დიდრონი დაჭარხლებული, დაბლვეტილი, წირპლით თეთრად ჩამოყაყებული თვალები, პირდაპირ თამროსთვის მიეპყრო, პირდაღებული მისკენ მიიწევდა. შიშის ზარმა მთლად შებოჭა პატარა არსება, უნდა წამოხტეს, შინ შევარდეს, რომ მხეცს დაუსწროს, მაგრამ აღარც ფეხები, აღარც წელი აღარ ემორჩილება. უნდა დაიყვიროს, დედას შეატყობინოს საზარელი წამის მოახლოვება, რომ მალე მიეშველოს, იხსნას ვირთაგვის პირიდან, მაგრამ ენა დაუდუმდა, ხმა ჩაუწყდა. ვირთაგვა კი უფრო და უფრო უახლოვდება, სამი-ოთხი ნაბიჯი ლა დარჩენია გადასადგმელი, ამ ოთხ ნაბიჯსაც გადასდგამს მხეცი და გადაჰყლაპავს კიდეც პატარა გოგონას.

— არა, კიდევ უნდა შევეცადო, როგორმე გავექცე მხეცს, თავს უშველო.—უცბად მოიფიქრა თამრომ და თან უკანასკნელი თავისი ძალ-ღონე მოიკრიფა, ფეხზე წამოხტა, მოტრიალდა, ერთი შემზარავის ხმით დაიწივლა და უცბად ოთახის კარებში შეიჭრა, მაგრამ ოთახის კარებში კი არა თავის საწოლიდან ძირს იატაკზე ტყაპანი გასცვივდა. ახლა ის ცხადათ წიოდა და ჰკიოდა, იატაკზე ფორთხალობდა, ფოფხავდა, წამოდგომას აპირობდა, კიდევ გაქცევა უნდოდა, მაგრამ ხელ-ფეხი მართლა აღარ ემორჩილებოდა. დედას, მამას ორივეს ძლივ ლუღლუღით ეძახდა; შველას სთხოვდა, თითონაცა სცდილობდა თავის ხსნასა და სანამ დედ-მამა მიეშველებოდა თავის საწოლის ქვეშ დასამალავად მიფოფხავდა.

თამროს წივილ-კივილით და ბღარტუნით დაფეთიანებული დედ-მამა ლოგინიდან გიჟებივით წამოცვივდნენ. ძირს იატაკზე მფორთხავ, თმა გაშლილ-გაწეწილ შვილს დასტაცა მამამ ხელი, აიტაცა, მკერდში ჩაიკრა და თან ამშვიდებდა შე-

შინებულ ბალღსა. თავზარდაცემული გაფითრებული დედა დასტრიალებდა შვილსა და ქმარსა, უნდოდა თამრო გამოერთმია მამისთვის, მკერდში ჩაეკრა-ჩაეკონა, მაგრამ თამრო მამას უფრო მაგრა ეკროდა, მამის იმედი უფრო ჰქონდა, ის უფრო უშველიდა, უფრო დაიხსნიდა საზარელ მხეცის პირიდან.

ბევრი ჯაი-ვაგლახის შემდეგ მშობლებმა თამრო ძლივს დაამშვიდეს და ბოლოს კარგა ხნის შემდეგ ბევრი ალერსით და ნუგეშით მოღლილ-მოქანცული დააძინეს თავიანთ ლოგინში, მეორე დღეს თუმცა თამრომ გვიან გამოიღვიძა, ლოგინიდან ადგა, მაგრამ ის თამრო აღარ ამდგარა, რა თამროც წინად იყო. მას თავის შემზარავი ფიქრები მაინც თავს არ ანებებდნენ, ვეღარ გაუძლო შეუბრალებელ მტრის მოლოდინს. ვარდის კოკორივით გაფურჩქნული, ბუნების ულამაზესი ქმნილება, პატარა თამრო ჩამოჭკნა, როგორც უმზეოთ ნორჩი ყვავილი, ჩამოდნა ისე, როგორც სიცხისაგან წმინდა სანთელი, ლოგინად ჩავარდა თამრო, მძიმე ავადმყოფი შეიქნა, მაგრამ მიმთქნარებულ ბალღს ვინ რას უშველიდა, როდესაც მის გულში გენია, გაუქრობელი ცეცხლი გიზგიზებდა. იმ ცეცხლის ჩაქრობა-ჩანელება კი არავის შეეძლო. თამრო უკან-უკან მიდიოდა, საქმე გაჭირდა. ნაცნობ-ნათესავები და მეზობლები რომლებიც ხშირად დაიარებოდნენ თამროს სანახავად, ზოგი მათგანი, უფრო გამოცდილ ექიმის მოწვევას ურჩევდნენ, ზოგნი კი ბერიკაანთ სოფოს მოწვევას, როგორც გამოცდილს, შეშინებულ თვალ ნაკრავ ლოცვების კარგ მცოდნეს. დარწმუნებულნი იყვნენ და ნესტორსაც და ტასოსაც არწმუნებდენ, რომ სოფიოს ლოცვები უეჭველად განკურნავს თამროს. გაბოროტებულმა მშობლებმა ორივე რჩევა მიიღეს: მეორე უფრო გამოცდილი ექიმიც მოიწვიეს და სოფიოც. ნესტორს მეორე ექიმის იმედი უფრო ჰქონდა და თუ უკანასკნელ გაჭირვებამდის ვერ მოიწვია, მიზეზი ის იყო, რომ მის ბუზღუნს და უადამიანობას ერიდებოდა. ტასოს კი სოფიოს ლოცვების იმედი უფრო ჰქონდა, მანამ ექიმის წამლებისა, მით უმეტეს, რომ თამრო ერთი ექიმის წამლების სმით მობეზრდა, შველით კი ვერაფერი უშველეს. ნესტორმა ქუდი დაიხურა და ტასოს უთხრა:

— მაროს სოფიოსთან გავგზავნი, მე კი ექიმ უხეშაშვილთან ჩავალ და თუ სახლშია, ვეცდები, ეხლავ წამოვიყვანო და წამლებიც მალე ავართო. სთქვა და თან მეორე ოთახში მაროსთან გავიდა.

— აბა მარო, შენ დაბერებას, ერთი ბერიკაანთ სოფიოსთა გადადი და საცა იყოს და არ იყოს, იპოვნე და თან წამოიყვანე, მე კი ექიმთან წავალ. —

— სოფიო რაღათ გნებავთ, ბატონო, თუ ექიმს მოიყვანთ. — შეეკითხა მარო ნესტორს.

— არ ვიცი, თამროს ავადმყოფობას შეშინებას და თან თვალთნაკრაობასაც აბრალებენ და იქნება მართლა ისე იყოს, აბა წადი, ჩქარა მოიყვანე, როგორც ამბობენ კარგი ლოცვები სცოდნია. —

— ნეტა მართლა აგრე იყოს, სოფიოს მოყვანით ეშველოს რამე თამროს და თუნდა ჯანდაბას წავალ, — ჩაიბუტბუტა თავისთვის მარომ და თან აჩქარებით გაუდგა გზას.

## VII

კარგა ბინდ-ბუნდი იყო, რომ მარო მოხუცებულ სოფიოს ერთ განაპირა ქუჩაზე თამროსკენ მაატუსტუსებდა. სოფიო

დარწმუნებული იყო, რომ ის შეშინებულთან ან თვალნაკრავთან მიდიოდა, რადგანაც მას სხვა არაფერი საქმე შეეძლო, თუ არ შეშინებულის ან თვალნაკრავის ლოცვა და ამიტომ პირდაპირ შეეკითხა მაროს:

— ქალო, ვინა გყავთ შეშინებული? —

— პატარა თამარი სოფიოჯან. — მიუგო მარომ.

— ჰოო, ის კაწაწა გოგონაა! არა ქალო ის როგორც მეტის მეტი ლამაზი თვალწარმტაცი გოგონა, უეჭველად თვალნაკრავი იქნება და არა შეშინებული! —

— არ ვიცი, გენაცვილე სოფიო, თვალნაკრავია თუ შეშინებული, ბალღი კი აღარ არი და, მიუგო მარომ და თან დაუმატა: წუხელ საშინელი წივილ-კივილით თავის საწოლიდან ძირს გადმოვარდნილიყო და ტირილით დაოსებული თავის საწოლის ქვეშიდან გამოეყვანათ დედმამას.

— თვალ-ნაკრავის გარდა, როგორცა სჩანს, შეშინებულიცა ყოფილა. — დაუმატა სოფიომ მაროს ნალაპარაკევს. ამ ლაპარაკში სოფიო და მარო შევიდნენ კიდეც ნესტორის სახლის ეზოში. დაღლილი — მუხლებ მოჭრილი სოფიო ძლივს-და ადიოდა აივნის კიბეზე. ნათესავი და მეზობელი ქალები თამროს გარს ესხდნენ, ართობდნენ, როდესაც ტასოს ერთად-ერთი იმედი სოფო, შევიდა თამროსთან. ტასო კრძალვით მიეგება სოფიოს და თან გულწრფელად ეხვეწებოდა:

— აბა ჩემო ძვირფასო, სოფიო, შენზეა დამოკიდებული ჩემი სიყმის, ჩემი ერთი შვილის ხსნა, შენ იცი და შენმა ადამიანობამ, როგორც ერთგულად მოჰკიდებ ხელსა, ერთად-ერთი ჩემი იმედი შენ-და ხარ, შენ უნდა მიხსნა ჩემი თამარი განსაცდელისაგან. —

— ნუ გეშინიან, ქალო, მერწმუნე, რომ ღვთისა და ჩემი ლოცვების წყალობით შენი თამარი კვირა ან კვირანახევრის შემდეგ ისეთივე იქნება, როგორიც წინათ გყავანდათ. — არწმუნებდა სოფიო ტასოს.

თავ შეფუფნული სოფიო მაშინვე თამრიკოს მიუჯდა, ჯერ კარგა დააცქერდა მის გამხდარ, გადაფითრებულ პირისახეს და შემდეგ საყვედურის კილოთი, ტუჩზე ხელ მიდებით მიუბრუნდა ტასოს და უთხრა:

— უი, ქა, ბალღი ამოდენა ხანი ერთის მხრით შიშს, მეორეს მხრით თვალს დაუღვნია, დაუმონავებია და ეხლა მატყობინებთ? ქრისტე კი არა ვარ ყველა ვიხსნა განსაცდელისგან, სად იყავით აქამდინ, ამდენ-ხანს რად გიტანჯნიათ ე მარგალიტი ბალღი, — და თან ლაპარაკში, სოფიომ თამროს მაგიდას მიავლ-მოავლო თვალი, ახალ რეცეპტიან შუშებს დააცქერდა, მიხვდა, რომ თამრო დღეს ექიმსაც უნახავს და ახლად მოტანილი წამლები დაულევინებიათ კიდეც — თამროსთვის. სოფიო აიმრიზა, თამროს მშობლების ეს საქციელი არ ეჭაშნიკა. სოფიო დარწმუნებული იყო, რომ მის ლოცვების შემდეგ, თამროს მორჩენას ექიმის წამლებს მიაწერდნენ და არა სოფიოს ლოცვების სიწმინდეს და ძალას, ამიტომ სოფიო მკვახედ შეეკითხა ტასოს:

— ქალო ტასო, თუ თვალ-ნაკრავისთვის და შეშინებულისთვის ექიმის წამლების ძალა გწამთ, მე რაღად მომაჩერჩეტებდით აქა, მე რაღა საჭირო ვარ, — და თან წამოიწია ასადგომად, შინ წასასვლელად, მაგრამ ტასომ სოფიოს მალე დაუჭირა ხელი, დასვა და თან არწმუნებდა და ეხვეწებოდა:

— სოფიო, შენ გენაცვალოს ტასო,

ნუ გამიწყრები, მე სრულებით არა მაქვს ამ წამლების იმედი, მეც და აი ამათაც,— უთითებდა იქვე მჯდომ თავის ნათესავებზე და მეზობლებზე, ერთობ გადავწყვიტეთ, რომ ამ ჩემს ერთად-ერთ შვილს თუ მოარჩენს შენი ლოცვა, თორემ სხვა ვერაფერი. თუ ექიმიც მოვიყვანეთ, ეს იმ ურიასავით მოგვივიდა, რომელიც წყალში იღრჩობოდა და თავის გადასარჩენად ხავსს ეჰიდებოდა. დამშვიდდი, ჩემო სოფიო, დამშვიდდი, ამ ჩემ გოგონას შეულოცე და ესეც დაამშვიდე შენი ლოცვის მადლით.—

თამრო გაცეცებით და რაღაც იმედით აბრიალებდა ჩაცვივნილ დიდრონ შავ თვალებს და ხან სოფიოს შესცქეროდა ხოლმე, ხან დედასა. სოფიოც დამშვიდდა, თამროს მიუბრუნდა და უთხრა:

— ჩემო კარგო, ბევრი შეშინებული თვალნაკრავი, შენზე უარესი ავადმყოფი მომირჩენია, შენც ნუ გეშინის, მალე წამოგახტუნებ, წამოგაგდებ ამ შენ საწოლიდან. მაშ, აბა, ტასო, მიუბრუნდა სოფიო ახლა დედასა, შენ ერთი შავტარა დანა, ნახშირი, წყლით ჯამი, წმინდა სანთელი და ხილაბანდი მომიტანე, მე მალე დაგარწმუნებთ, რომ ეს ჩემი გოგონა შეშინებით და თვალ-ნაკრაობით არის ავად და არა ფილტვების ანთებით, ან სხვა რამ სენით.—დააბოლოვა სოფიომ მაინცა და მაინც გადაკვრით, გესლიანი სიტყვით. ტასომ ყველაფერი დავალება სწრაფად შეუსრულა სოფიოს, რომელიც თამროს უფრო ახლო თავთან მიუჯდა, გასწორდა, სანთელი აანთო და ჯამის პირზე მიაკრა, თავშალი გაისწორა, მისი წვერები უკან კეფაზე გადაიყარა, ქვეშით მოსახვევის წვერები კი ტუჩებზე შემოიხვია და შემდეგ აქეთ-იქით ყბებთან ჩაიმაგრა, უფრო იმიტომ, რომ ჩურჩულიდან და ტუჩების მოძრაობიდან არავის არაფერი რამ არ გამოერკვია ლოცვებიდან, არ დაესწავლა და შემდეგ სამუდამოთ უსახსროდ, ულუკმაპუროდ არ დაესვათ. დანა აიღო ხელში, დანის ტარი მარჯვენა ხელისგულ-ქვეშ მოიქცია, დანის პირი კი ზედ ნახშირ დადებული, შუა სალოკ თითებ ქვეშ, და შემდეგ დანის პირს ქვეშიდან ცერი მოაყრდო, ისე, რომ დანა და ნახშირი სამ თით შუა მოიყოლია. სამი თითი კი ერთად ნიშნავდა სამება ერთ არსებასა, რომლის ძალითაც არჩენდა, ჰკურნავდა თამრიკოსა. სოფიომ ორ ალაგას, სიგრძით ნიდაყვიდან ხელის თითების წვერებამდის, გამონასკული ხილაბანდი საბან ზევით თამროს გულზე დააგდო. ჯამსა და თამროს სამ-სამჯერ პირჯვარი გადასწერა და ზედ ბუტბუტით ჯერ თვალნაკრავისა და შემდეგ შეშინებულის ლოცვა მოაყოლა. შიგა და შიგ თითქოს ხილაბანდსაც ულოცამდა და თანა ჰზომამდა, რომელ ზომასაც ცოტ-ცოტაობით აკლდებოდა. ხილაბანდის პირველ ზომის დაკლება ჰნიშნავდა თამროში შიშის და თვალნაკრაობის დაკლებას. ლოცვა რომ გაათავა, სოფიომ ტასოს სრული იმედი მისცა, რომ კვირა ან კვირანახევრის შემდეგ სრულებით განკურნავს თამროსა, შემდეგ სოფიო გამოემშვიდობა ყველას, სახლში წასასვლელად მოემზადა.

**კ. ხევისუბნელი.**

(დასასრული იქნება)

# თავ. გრიგოლ ორბელიანი და მისი პოეზია *)

(გაგრძელება) **)

პისაც თბილისში უცხოვრია 1885 წლამდის, უსათუოდ ორბელიანთა უბანი ეცოდინება. სწორედ ამ უბანში იყო პოეტის მამის ზურაბის სახლი და მის გარემო ისევ ისე დარჩა პოეტის ცხოვრებაში, როგორც იმის მამის დროს იყო. ადამის დროული არქიტექტურა, ფართე ეზო, შეუღესელი უშნო გალავანი და ჭლაყაფის კარები გალავნის ერთ ყურეში, წვიმისა და მზისაგან გახურებული ფიცრის საჯინიბოს სახლის გვერდით სასახლის ეკლესია. პოეტს არ უნდოდა ამ სახლის და გარემოს განახლება, ვინაიდგან მოაგონებდა ძვირფასს მშობლებს, რომელნიც მაში ცხოვრებდნენ და გარდაიცვალნენ...

ამ ისტორიულს სახლში დაიბადა ჩვენი მგოსანი გრიგოლ ორბელიანი და აქვე მის კედელთ შორის სამუდამოდ გამოეთხოვა წუთისოფელს ღრმა მოხუცებულობაში.

გრიგოლ ორბელიანის მამას ერქვა ზურაბი (კიდევ დიმიტრი). ის მსახურობდა მეფე ერეკლის დროს., რომელთანაც დაახლოებული იყო... მას მიათხოვა მეფემ თავისი შვილის შვილი, ელენეს ასული ხორეშანი, დედა ჩვენის პოეტისა. რუსთა ბატონობის დამყარების შემდეგ შევიდა სამხედრო სამსახურში... შემდეგ დაინიშნა ტფილისის ბაჟის ზედამხედველად და უზენაესი სასამართლოს ზასედატლადი... ირაკლი მეფის ასული ელენე, პოეტის ბებია, ჯერ გათხოვილი იყო იმერთა მეფის სოლომონ პირველის შვილს არჩილზე, რომლის სიკვდილის შემდეგ მითხოვდა ზაქარია ანდრონიკაშვილს, ქიზიყის მოურავს. ელენეს ამისგან ჰყოლია 1784 წელს ქალი ხორეშანი და თვით გარდაიცვალა. ხორეშანი იყო კეთილი, ღვთის მოშიში და ჭკვიანა დედა-კაცი... პოეტს იგი მეტის მეტად უყვარდა არა ჩვეულებრივის სიყვარულით. გრიგოლის გარდა ხორეშანს ჰყავდა შვილები ილია, ზაქარია და ეფემია. ილია და ზაქარია კავკასიის სამხედრო ისტორიაში ცნობილნი არიან, როგორც უშიშარი და თავგანწირული მეომრები. ეფემია კი შეიქმნა დედათ ჩვენი უკვდავის მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილისა...

გრიგოლ ორბელიანი დაიბადა 1800 წელში, სწორედ იმ დროს, როდესაც ძველს ფეოდალურს საქართველოს თავისუფლებას ბოლო ეღებოდა, და ახალი საქართველოს ვარსკვლავი ჯერ ბურუსით იყო მოცული. იმ დროს, როდესაც მოისპო საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება, ასე ახასიათებს მეისტორიე პლატონ იოსელიანი „სიმრავლემან ძეთა და ასულთა მეფისათა დაბადეს შური და მტრობა ურთიერთისადმი. დაჰყვეს ოჯახები და დაბადეს ურჩობა და მედიდურობა სახლის წევრთა შორის, სადაც იყოფოდა მეფის ასული რძლად და ანუ რომლისაგანაც წარიყვანდნენ მეფის ძენი ქალთა სასძლოდ თვისად. თავადნი ესენი, დამოკიდებულნი მოყვარეობითა მეფეთა თანა, არღა ემორჩილებოდენ მეფის მოხელეთა... დასუსტდა აზრი და მნიშვნელობა პირმშოებისა; ეცილებოდნენ მემკვიდრეო-

---

*) ვსარგებლობ სხვათა შორის ბ. იონა მეუნარგიას საუცხოვოდ შედგენილი წერილებით: „ცხოვრ. და ღვაწ. გრ. ორბ..."

**) იხ. „განათლება" № 6—1914 წ.

ბასა, არა პატივს ცემდენ პირველობასა და თვითოეული წევრი სამეფოისა სახლისა ჰგონებდა თავსა თვისსა მეფობისათვის განმზადებულად. სჯული არღა სჯულობდა სამეფოში, სადაცა უფლებდენ მეფის ძენი და კარისკაცნი მათნი"... ამ გარემოებამ დააჩქარა საქართველოს შეერთება რუსეთთან.

პოეტის მამა დიდი შეძლების პატრონი იყო. ოჯახში ჰყავდა მრავალი მოსამსახურე, გამდელი, მოურავი და სხვა... ჰქონდა თავისი საკუთარი კარის ეკლესია და ჰყავდა საკუთარი მღვდელი. იყო ნამდვილი ფეოდალი, რომლის ოჯახში მრავალი ღონისძიება მოიპოებოდა ბავშვის ჯეროვანი აღზრდისთვის. პოეტის დედა ხორეშანი იყო განხორციელებული სათნოება და სიკეთე. მეტად უყვარდა გრიგოლი. როდესაც ამას ეძინა, დედა ლოცულობდა მის თავზე და წმინდა აიაზმას უსხურებდა მძინარეს. კეთილმა დედამ ნორჩს გრიგოლს ჩაუნერგა გულში ღვთის შიში, ერთგულება მამულისა, ღრმა პატივისცემა მშობელთა და ნათესავთა, წესიერების და თავდარიგის სიყვარული. განსაკუთრებით აღსანიშნია ის გარემოება, რომ პოეტი დიდათ აფასებდა სარწმუნოებას. მისი აზრით, მარტო სწავლა არაფერია. მეცნიერება თვინიერ სარწმუნოებისა, ბედნიერების ნაცვლად, სულიერს ტანჯვას შესძენს ადამიანს. მას სურს, რომ მისი ძმისწულის გიორგის გული იყოს სარწმუნოებით გამსჭვალული, ურომლისოდაც კაცი ამ ქვეყნად უბედურია. ძლიერ ეჯავრებოდა პოეტს საფრანგეთი, სადაც სარწმუნოება ძირს იყო დანარცხებული. „მე მსურს",—ამბობს პოეტი—„რომ ჩემი ძმისწული მეცნიერებით განათლებული, საფრანგეთის ახალ ფილოსოფიის ბიწიერ იდეებით წაურყვნელი ქართველი იყოს".

ი. მეუნარგია არკვევს იმ შთაბეჭდილებებს, რომელთ შორის იზრდებოდა მომავალი მგოსანი. ეს შთაბეჭდილებანი იყვნენ: თბილისის აოხრება აღამაჰმა-ხანისგან 1795 წ. მეფე ერეკლეს გარდაცვალება, რუსის ჯარის მოსვლა თბილისში. მეფე გიორგის უდროვოდ სიკვდილი. ბატონიშვილების არეულობა... მანიფესტი... რუსეთის ერთგულებაზე ხალხის დაფიცება... ლაზარევი დედოფლის ხელით მოკლული... დაჭრილი დედოფალი ტროიკით რუსეთში გაგზავნილი... ოსების მეცადინეობა დედოფლის განთავისუფლებისათვის დარიალის იწრო ხეობაში... დედოფალი მონასტერში ჩამწყვდეული... ქალაქში გაჩენილი ჭირი... სამეგრელოს შეერთება რუსეთთან. იმერთა მეფის სოლომონ მეორეს გაქცევა... მთიულეთის არეულობა. კახეთის ამბოხება და სხვა...

ყოველივე ამის თაობაზე ლაპარაკი ცისმარე დღე ესმოდა ახალგაზრდა გრიგოლს... საქართველოს ცხოვრებამ იმ დროს ფერი იცვალა. ესფერისცვალება იწვევდა ძველის მოტრფიალეთა შორის სხვა და სხვა შინაარსის მსჯელობას. გრიგოლი ყოველივე ამის მოწმე იყო და ყოველივე ახალი მოვლენა ქართლის ცხოვრებისა სტოვებდა მის ნორჩს გამოხატულებაში ღრმასა და წარუშლელს შთაბეჭდილებას... ერთი ცივილიზაციის შეცვლა მეორეზე, საჩივარი ძველის მოტრფიალეთა ახალს ზნეობაზე, ნგრევა ძველის პოლიტიკური წყობილებისა და ახალ რეჟიმის დამყარება—მის ნანგრევებზე—აი რა იყო მისი პირველი შთაბეჭდილება, რომლის ნიადაგზე მუშავდა მისი მომავალი სოფლმხედველობა.

წერა-კითხვა გრიგოლს ქართული მწიგნობრობის დიახ კარგათ მცოდნე ანჩისხატის დეკანოზმა ალექსეევ-მესხიევმა შეასწავლა. შემდეგ გრიგოლი მშობლებმა ახლად გახსნილს კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარეს. ქართულს აქ ასწავლიდა მღვდელი ხელაშვილი იონა, საუცხოვოდ მცოდნე ქართული ენისა და მწერლობისა. რუსულს ენას სწავლობდენ იმ დროს ხელნაწერ რვეულებიდამ... მალე

გრიგოლი ახლად გახსნილს არტილერიის სასწავლებელში გადაიყვანეს. აქ სამაგალითოდ სწავლობდა და დიდს ნიჭს იჩენდა... სიყმაწვილეში გრიგოლი პატარა ტანის იყო. ამის გამო „კურკას“ ეძახდნენ. მამამისმა იცოდა ზედმიწევნით საღმრთო წერილი და საეკლესიო წესრიგი, ასე რომ ეკლესიაში მღვდელსაც კი უსწორებდა შეცდომას. იმ დროს ქართულის ენის ცოდნა სომხეთ შორისაც იყო გავრცელებული, ასე რომ სომხნი ეკლესიებში ისმენდენ ქართულს წირვა-ლოცვას და ქადაგებას. ქართული მწიგნობრობა ყოველს თავადის და აზნაურის ოჯახში დიდად-პატივცემული იყო.

ჩვიდმეტი წლის პოეტი იუნკრად შევიდა 1822 წლიდამ—1831 წლამდის გრიგოლი სამხედრო სამსახურში მყოფი, საქართველოში იყო. 1831 წლიდამ 1837 წლამდის რუსეთში სცხოვრობდა. იქ გაიცნო რუსული მწერლობა, ზედმიწევნით შეისწავლა პუშკინი, ჟუკოვსკი, რილეევი, ლერმონტოვი, კრილოვი და სხვანი. სთარგმნა ზოგიერთი მათი ნაწარმოები ქართულად. იქ გაეცნო საქართველოს დედოფლებს, ბატონიშვილებს და მათთან მყოფს თავადებს, როგორც ცოცხალ წარმომადგენელთ იმ დროისა, როდესაც საქართველოს ის ის იყო სული ხდებოდა... 1833 წელს პოეტი, ნოვგოროდში მყოფი, დაიჭირეს და თბილისში გამოგზავნეს, სადაც უნდა გარჩეულიყო ერთი პოლიტიკური საქმე, რომელიც ქართველთა კეთილშობილთა ზოგიერთა შვილის რუსეთისადმი ღალატს შეეხებოდა.

როგორც ვიცით 1829 წელს საქართველოში დაარსდა ფარული საზოგადოება, რომელსაც სურდა გაეთავისუფლებინა საქართველო რუსეთის ბატონობისაგან. ამ საზოგადოების სულის ჩამდგმელი იყვნენ: ბატონიშვილები: ოქროპირი და დიმიტრი და თავადნი: ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, ია ფალავანდიშვილი, გიორგი ერისთავი, მამუკა ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, მასწავლებელი სოლომონ რაზმაძე და ბერი ფილადელფოს კიკნაძე.

პოლონეთის არეულობამ 1830 წელს ფრთები შეასხა ქართულს ფარულს საზოგადოებას. მან გადასწყვიტა 1832 წლის დამლევს მოეხდინა ეს არეულობა, ამ დროსთვის დანიშნული იყო თავად-აზნაურთა კრება. თვითოეულს თავადს უნდა მოეყვანა შეიარაღებული ხალხი და აესრულებინა ის საქმე, რომლის შესრულება წილად ხვდა... ერთი სიტყვით უნდა მომხდარიყო ის, რაც ჩვეულებრივად ხდება არეულობის დროს. მაგრამ 6 დეკემბერს 1832 წ. შეთქმულთა ერთმა მონაწილეთაგანმა ია ფალავანდიშვილმა საქმის მთელი გარემოება მთავრობას მოახსენა... შეთქმულობის მონაწილენი დაიჭირეს. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ პოეტს შორი-ახლო დამოკიდებულება ჰქონია შეთქმულებთან... 1833 წლის ოქტომბერში საქმის გამოძიება გათავდა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ გრიგოლს ძლიერ ცოტა მონაწილეობა მიეღო შეთქმულთა განძრახვის განხორციელებაში და ამის გამო ჩაირიცხა დამნაშავეთა მეშვიდე წყობაში (სულ 10 წყობა იყო)... გრიგოლ ორბელიანი მთავარმართებელმა საპყრობილედამ გაანთავისუფლა და სამსახურში გაგზავნა ჯერ კავკასიის ხაზზე...

უმთავრესი დანაშაული პოეტისა ის იყო, რომ სთარგმნა რილეევის თხზულება: „Исповѣдь Наливайки“. პოეტი კავკასიის ხაზიდამ რამდენიმე წლით შიდა რუსეთში გაამწესეს და აღეკრძალა დროებით საქართველოში ცხოვრება.

ცნობილია, რომ გრ. ორბელიანი ქართველთა ამ შეთქმულობას არავითარს მნიშვნელობას აძლევდა და თვლიდა უსაგნო ოცნებად. პოეტი გამოძიების დასრულებამდის ჩასვეს ციხეში, რომელიც ავლაბარში იყო აშენებული. პოეტი სწერს: „სწორედ ამ დროს ლედაც

მომიკვდა. ვხუდავდი ჩემი ფანჯრის პატარა ჯურჯუტანიდამ, როგორ გაასვენეს მისი კუბო. ქვად ვიქეც... რამდენსამე დღეს ვიყავი უსმელ-უჭმელი, უძილო და უტყვი... რამდენისამე დღის შემდეგ გამომიშვეს კიდეც... მამის სახლი დაცალიერებული და დამწუხრებული დამხვდა... ღამე, მთვარის შუქზე, თვალცრემლიანი ვეამბორე დედის საფლავს... „მამის ვალიანობამ, დედის სიკვდილმა და მისი საფლავის განშორებამ სამსახურში განწესების გამო-ძლიერად იმოქმედა პოეტის სულიერს განწყობილობაზე... საუკეთესო ოხვრაც, რომელიც კი მისი გულიდამ აღმომხდარა ჩვენდა სასიამოვნოდ, სწორედ ამ მძიმე დროს ეკუთვნის. ის რუსეთში მსახურებდა ქალ. ვილნოში ნევის რაზმში. აქ სამი წელიწადი დაჰყო. მეტად შეეთვისა პოლონელებს, რომელნიც ქართველებს მოაგონებდენ გულკეთილობით და სტუმართ მოყვარობით, ხოლო ლამაზი პოლონელი ქალები სილამაზის მოტრფიალე პოეტს ლამაზ ქართველ ქალებს გაახსენებდნენ. საინტერესოა პოეტის მოგზაურობა საქართველოდამ რუსეთში. უგზობისა და უცხენობის გამო ხან ცხენით მიდიოდა, ხან აქლემით, ხან ნავით. პოეტს ადიდებულს დონის მდინარეში ნავი გადაუბრუნდა და თავის ბიჭით და მთელი ბარგით ჩავარდა წყალში, რომელსაც გადაურჩა ყაზახების წყალობით... აქ დაეკარგა მამაპაპული ხმალი, რომელიც მისთვის ძვირფასი იყო... პოეტი პოლონეთს ამსგავსებდა საქართველოს. „უნებლიედ აღმოუტევე ოხვრა გულისაგან ჩემისა. ნუ თუ მხოლოდ შემსგავსებით ანუ შედარებით უნდა ვანუგეშო თავი ჩემი.?ნუ თუ არღა მეღირსების ყოფნა მუნ, სადაც მიისწრაფიან ყოველნი ფიქრნი და სურვანი ჩემნი?—ამბობს პოეტი ერთს თავის დღიურში, აქვე მას ვამჩნევთ ხასიათის იმ მხარეს, რომელიც წინ უძღოდა მას მთელს ცხოვრებაში... მის ნატვრა შეიქმნა-ბედნიერება და სახელის მოხვეჭის სიყვარული. მოუსმინოთ ამის შესახებ თვით მგოსანს: „დასუსტებული ავდექ დღეს. გულის ტკივილის ნიშნებმა მომიარეს კიდევ... რა ძვირფასი არს სიმრთელე კაცისთვის. უიმისოდ სიმდიდრე და თვით დიდებაც არ არის საამო, არა არს ბედნიერება! მაგრამა მაშინ ვსცნობთ ფასსა მისსა, გვეწვევის რა სენი, ოდესაც უძლურება შეგვიპყრობს და დაგვცემს მკვნესარესა სარეცელსა ზედა; მაშინ მოუწოდოთ მას ხვეწნითა, ვედრებითა, ვითარცა შემომწყრალსა მეგობარსა ჟამსა უბედურებისასა... და რაი არს ბედნიერება? მე აწ მგონია, რომ ბედნიერება მყოფობს სიმრთელეში... ნეტარ მას, ვინც არს კმაყოფილი მით, რაიცა მოუვლენია მის წილად ბედსა მისსა; ვინც დამყუდრებული, დამშვიდებული სულითა მივალს გზასა ზედა ცხოვრებისასა... მაგრამ ახ! უნეტარეს არს იგი, ვინცა ცხოვრებითა თვისითა მოიპოვა განა ერთი ფურცელი ისტორიასა შინა. ვითარცა ბრწყინვალე ვარსკვლავი სჩანს საუკუნეთში სახელი მისი, რომელსაცა შთამომავლობა შემზერს კეთილ-მოწიწებითა და კურთხევითა!“

პოლონეთი პოეტს დიდად მოსწონდა. პოეტი იქაურ მებატონეებს გაეცნო და მეგობრობა დაიჭირა მათთან. ხშირად დადიოდა მათს ოჯახებში და იქ ერთობოდა... ძალიან გაერთო მგოსანი პოლონელ ლამაზი სქესის წარმომადგენელთა შორის, მაგრამ მის გულს მაინც მიიზიდავდა თვისკენ ანდამანტივით მისი სამშობლო საქართველო. აქ ეგულვებოდა ორი ტურფა არსება, რომელნიც ხიბლავდნენ იმის გულს. ესენი გახლდენ: სოფიო ორბელიანისა და ნინო გრიბოედოვისა (ახალგაზრდა ქვრივი). სოფიოზე პოეტი ბავშვობის ჟამს თორმეტი წლიდამ იყო დანიშნული. მისდამი ჰქონდა მხურვალე სიყვარული. ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი სიყვარულიც... სამშობლოს განშორებული მგოსანი მუდამ

ფიქრით სოფიკოსთან არის, მას იგონებს, მისი ხილვა სწყურია. 1835 წელს სწერს ერთს თავის წერილში სოფიკოს შესახებ: ,,ვაი თუ ქოქოლა მომაყაროს და მითხრას: მეხი კი დაგეცაო''. იმავე წელში მგოსანს ეშინია, რომ სოფიკო არ გაუფრინდეს... სურს საქართველოში მოსვლა და ჯვარის დაწერა გულის სატრფოზე, რომლის შესახებ ცუდი წინასწარგრძნობა ჰქონდა... უნდოდა აღესრულებია ეს თვისი სურვილი. სანამ სოფიკო პეტერბურგში წავიდოდა... საამისოდ დრო კიდევ ჰქონდა მგოსანს, სულ რაღაც რვა თვე. ითხოვა მთავრობისაგან ერთი წლის თავისუფლება დასასვენებლად, მაგრამ 1836 წელში თხოვნა უკანვე დაუბრუნეს: შენ რომ თხოვნა შემოიტანე, იმ დროს პორუჩიკი იყავი და ახლა შტაბს-კაპიტანი ხარო; უნდა ხელახლად თხოვნა შემოიტანოვო... მაგრამ სანამ ამ თხოვნას პოეტი შეიტანდა, მისი სოფიკო მართლაც გაფრინდა. ის შეირთო მთავარმართებლის კანცელარიის გამგემ ბეზაკმა... მისმა ნათესავებმა კარგათ იცოდენ, თუ რარიგ დასევდიანდებოდა მგოსანი ამ სამწუხარო ამბის გაგებით და საქართველოდამ წერილებით ანუგეშებდენ... კიდეც გამოუნახეს მას სხვა საცოლო... მაგრამ გული მისი დაიხშო სიხარულისთვის. თავს უბედურად გრძნობდა... სახით და გულით 35 წლის მგოსანი თითქოს უდროვოდ დაბერდა. თმაში ჭაღარა გამოერია. ბოლოს 1837 წელს პოეტი დაბრუნდა საქართველოში. 1837—1842 წლებში იგი, სამხედრო სამსახურში მყოფი, სხვა და სხვა ადგილს თავის ნიჭს იჩენდა, მთავრობამ შენიშნა მისი პიროვნება და დაწინაურება დაუწყო. 1843 წელს დანიშნეს ავარიის (ლეკეთში) გამგედ ანუ ხანად. თავის მოღვაწეობას ავარიაში პოეტი ასე აგვიწერს: ,,ზოგი ამბობდენ ავარიაში ნუ გვინდა გურჯი (ქართველი) გიაური ხანადაო... მისვლისათანავე შეჯლისი გავმართე. ესე იგი დაისარჯა ბევრი სპირტი და ბევრი ხორცი. ამით ცოტა გული დაუამდათ... დავიწყე სოფლებში სიარული და ქადაგება, და ახლა ასე რიგად გამიჩარხავს ხალხი, რომ მარტო მე აქაურობით შევებმები შამილსა''. ძლიერი სიდინჯით და დაკვირვებით ექცეოდა ავარიის ხალხს. საჭიროების დროს მკაცრ ქცევასაც არ ერიდებოდა. ხალხის გულის მოგებას პოეტი უთვლის ღონისძიებით სცდილობდა.

აი რას სწერს იგი ზაქარია ორბელიანს: ,,ღმერთს გეფიცები, რომ სწორედ გამატყავეს. თითო ჩემი გასვლა სოფელში თხუთმეტი მანეთი მიჯდება... შაგირდებმა გამაკოტრეს: მომართმევენ შესხმას და მე კი უნდა ფულები მივცე, რომ უფრო ხალისით ისწავლონ ყურანის წაკითხვა. ხვალ სტუმრობა მაქვს. მთლად ავარიის ბეგაულები და პირველი კაცები დამიპატიჟნია. ამითი შექცევა გაძღომა არის და სპირტის სმა სხვა არაფერი“...

არ ერიდებოდა პოეტი არა პოეტურ საშუალებათაც, თუ ამას მოითხოვდა აუცილებელი საჭიროება, როგორც მაგალითად, ლეკთა სოფლების მოხვნას ნიშნად სრულიად აოხრებისა, ,,სისხლის დალევას'', ცოცხალთა ტანჯვას... იმას ამ შემთხვევაში ალაპარაკებდა სურვილი შურისძიებისა იმ აოხრებათათვის, რომელთაც ლეკნი საქართველოში აწარმოებდენ! ძველად და აგრეთვე პირადი მტრობა მათდამი, რადგან მისი ძმა ელია ლეკებმა ტყვედ წაიყვანეს... მაგრამ იმ შურისძიების გრძნობას, რომელიც პოეტს აღელვებდა, ღრმა ისტორიული და ფსიხოლოგიური საფუძველი აქვს და არც თუ ისე სავსებით გასაკიცხია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ... პოეტი ძლიერ ახლო იდგა იმ დროზე, როდესაც ლეკთა ძალმომრეობა ქართველებს შიშის ზარს სცემდა, და ცოცხალი მოწმეც იყო მათი ძალმომრეობითის თარეშისა... მას გული შეტკივოდა მათგან წამებული სამშობლოს მიმართ... ამისდა მიუხედავად, პოეტმა საზო-

ჯადოდ ხვარიაში კარგი სახელი დაიმსახურა. დაღესტნის მეისტორიე ოკოლნაჩი სწერს იმის შესახებ: ,,გრიგოლ ორბელიანი ლეკებმა ჯერ უკმაყოფილოდ მიიღეს, რაკი თავადი ქართველთაგანი იყო. რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ლეკნი არბევდნენ საქართველოს და თითქმის დამოკიდებულად რაცხდენ; მათ დამამცირებლად მიაჩნდათ ქართველს დამორჩილებოდენ. მაგრამ ალერსით მოპყრობამ, ხალხთან ლაპარაკის უნარმა და ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა ცოდნამ თავადს მალე ყველას გული მოუპოვა. არ ვკისრულობთ აქ თავადის მიმზიდველი ხასიათის, მშვენიერ განათლებისა და სამხედრო ნიჭის შესახებ ჩვენი აზრი გამოვთქვათ''...

1846—1850 წლებში პოეტი სხვა და სხვა ომში იღებდა მონაწილეობას. ჭერკებილის აღებისთვის გენერალ-მაიორობა ებოძა. 1850 წელს დანიშნეს ჭარ-ბელაქანის უფროსად.

მოუსმინოთ, რას სწერს ბ. ი. მეუნარგია პოეტის შესახებ, როდესაც ის ჭარ-ბელაქანის გამგედ იყო: ,,აქ ამ დროს მშვიდობიანობა არ იყო. უაჩალები აოხრებდენ იქაურობას და გრიგოლს ბევრი ჯაფა დასჭირდა მშვიდობიანობის აღსადგენად. მიუცილებელმა ადმინისტრატიულმა საჭიროებამ აიძულა პოეტი ეხმარა არა პოეტური ღონისძიება: თავები და ხელები ეჭრევინებინა უაჩალებისთვის. რანაირად იცვალენ დრონი, რანაირად გასჭედა კაცის გული დაუსრულებელმა კავკასიის ბრძოლამ. ეს ის კაცი იყო, რომელიც თორმეტცამეტი წლის წინად ნანობდა, რომ სალდათებს ,,როზგი'' დაჰკრა. ჭარბელაქანი რამდენიც იყო დამშვიდდა. ამ მშვიდობიანობის აღდგენას დიდათ შეეწია ქრისტიანობის გავრცელება საინგილოში. 1851 წელს რიცხვი ახლად მონათლულთა ინგილოთა იყო 1170 სული...'' 1852 წ. გრიგოლი დროებით დაინიშნა კასპიის მხარეთა ჯარების მთავარსარდლად და სამოქალაქო ნაწილის გამგედ... მას მოუხდა რვა თვის განმავლობაში ბრძოლა უაჩალებთან. მის დადგენილებით უნდა დაექციათ სახლკარი უაჩალებისა და მათი სარჩოსაბადებელი საზოგადოების სასარგებლოდ დარჩენილიყო. ამ გვარივე სასჯელი უნდა მიეყენებიათ იმათთვის, ვინც იმათ შემწეობას აღმოუჩენდა ან დამალავდა... შემდეგში პოეტი ისევ ჭარბელაქანში დაბრუნდა...

1853 წელს ზაქათალის მხარეს ეწვია თვით ხელმწიფის მოადგილე ვორონცოვი, რომელიც დიდის ზეიმით მიიღო პოეტმა. ის სწერს: ,,ყველა რიგზე იყო: ხალხი, ჯარი, სახლები მომართულ-მოკაზმულ-გაბრწყინვებული და თვით მთავარმართებელიც იყო დიდად მხიარულად; წამალსაც აღარა სვამდა, მადაც გაეხსნა და იყო მხიარულს გუნებაზე''.

1854 წელს, როდესაც რუსეთისა და ოსმალოს შორის ასტყდა ომი, შამილი გაძლიერდა... ის 15 ათასი ჯარით დაეცა ჭარბელაქანს, მაგრამ ძლეულ იქმნა გრიგოლ-ორბელიანის მიერ.

ილ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება)

# ერის სულის ჯალათები*)

„დედა ენა არის ენა სულისა,
უცხო ენა-კი ენა მეხსიერებისა!

**ი. გოგებაშვილი.**

შემაძრწუნებელი ცნობა ამოვიკითხე გაზ. ,,სახალხო ფურცლი''-ს 1915 წ. 14 იანვრის № 185-ში.

—,,მარტვილის (სენაკი მაზრა) უმაღლეს დაწყებით სკოლაში ქართულ ენას **სრულიად** არ ასწავლიან; გლეხებს ძალიანა სურთ შემოღებულ იქმნას ამ სკოლაში ქართული ენის სწავლება, მაგრამ მათს სურვილს ყურადღებას არ აქცევს სკოლის ინსპექტორი ლაბარტყავა".

ქართველ ყრმათა, ქართულ ცხოვრებისთვის ასაზრდელ სკოლაში ,,ქართულს **სრულიად** არ ასწავლიან!.." ამ სამარცხვინო კურიოზს ხშირი განმეორებით უკვე იმდენათ შევეჩვიეთ, რომ ახლა და ახლა ამ სტრიქონებს, რომელნიც, (თუ ჩავუკვირდებით) ავაზაკურად დანთხეულ სისხლის წვეთებით ელვარებენ ჩვენს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ზერელე გაკვრით გადავავლებთ თვალსა და ყურს ავარიდებთ. მაგრამ აბა; ცოტათი მაინც ჩავუფიქრდეთ მის შინაარსს, თუ იგი აშკარა თავმდები არ არის ჩვენი ეროვნული არყოფნის დაღმართზე დაქანებისა?

,,ხალხს რომ დედა-ენა არ ვასწავლოთ —ამბობს რუსთა გამოჩენილი პედ. ვესსელი,—ეს იქნება ხალხის აზრის, გონებისა და მისი **სულიერი** ნიჭიერების განვითარების აკრძალვა, ეს იქნება ხალხის ხის დატოვება ბავშვურს მდგომარეობაში და თუ ხალხს თავისი ენის ნაცვლად სხვა ენის სწავლაზედ დაგაყენებთ, უფრო უარეს ვიზამთ: ამით ჩვენ დავუმახინჯებთ ბუნებით, თავისებურს, გონებრივს გახსნასა და დავასახიჩრებთ მთელს მის **სულიერ** ბუნებას''.

,,უცხო ენების შესწავლა და მოხმარა დედა-ენასავით,—(ამბობს მეორე,-სწავლული შლეიხერი) ისევე შეუძლებელია, როგორც ფორთხვით, ან ხელებით სიარული, შეუძლებელია ისე, როგორც კაცი დადის ფეხებითო''.-

,,ენა,—ამბობს მესამე—(უშინსკი,)—არამც თუ გამომხატველია ხალხის სიცოცხლის, იგი არის თვითონ ეს სიცოცხლე. როდესაც ჰქრება ერის ენა, ჰქრება თვით ერის არსებობაც. და ქვეყანაზედ არ მოიპოვება იმაზე უფრო აუტანელი ძალდატანება, როდესაც ჰსურთ ერს წაართვან ეს მემკვიდრეობითი საუნჯე, შექმნილი და შექმნილი მის წინაპართა ურიცხვ თაობათა დვაწლით...

დედა-ენა უხსნის ბავშვს ბუნებას ისე, როგორც ვერ აუხსნიდა ვერც ერთი ბუნების მეტყველი.

თუ ენა, რომელზედაც ჩვილი ბავშვი იწყებს ლაპარაკს, ეწინააღმდეგება დაბადებიდგან დაყოლილს ეროვნულს აგებულებასა, ეს ენა ვერას გზით ვერ იქონიებს იმისთანა ძლიერს გავლენას ბავშვის სულიერს განვითარებაზე, როგორსაც უთუოდ იქონიებდა დედა-ენა, ვე-

---

*) მთავრობა რომ სრულიად წინააღმდეგი არ არის ქართული ენის სწავლებისა, ამის შესახებ იხილეთ ლადო ბზვანელის წერილი ,,განათლება'' № 2 გვ. 152.

რედ.

რას დროს ვერ ჩაატანდა ისე ღრმად მის სულსა და სხეულში, ვერას დროს ვერ გაიდგამს იმისთანა ღრმასა და სალს ფესვებს, რომელთაც მოსდევს მდიდარი და უხვი გაფურჩქვნა, აყვავება **სულიერი** ბუნებისა''.

დასასრულ მოვიყვან-ქართველ ერისადმი, წრფელი გრძნობით გულ აგზნებულის, უანგარო მოღვაწის, ნიჭიერი პედაგოგის—იაკ. გოგებაშვილის სიტყვებსაც.

,,ბავშვი, (ამბობს იგი),—დაბადებიდგანვე მოკლებული დედა-ენის გამაცხოველებელ გავლენას, ეგვანება საცოდავ მერცხალს, რომელსაც ძალ-დატანებით უკრძალავენ მერცხლის ჭიკჭიკს და შოშიას სტვენას ასწავლიან. ამ გვარი უკუღმართობა ჰბადებს უთანხმოებას, წინააღმდეგობას ბავშვის მეტყველებისა და მის სულის და ხორცის შუა და ამ უკუღმართი გზით აღზრდილი ბავშვი ვერას დროს ვერ ავა იმ გონების სიმაღლემდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებითს ნიჭს, ვერ მიეწევა, ვერ ეღირსება ჯეროვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას, მეტ-ნაკლებობით გამოვა წეკერ-ნეკერა, ქარაფშუტა პირი, უხასიათო ადამიანი და იმის ნახევარსაც ვერ გააკეთებს თავისს სიცოცხლეში, რის გაკეთების ნიჭიც მისთვის ბუნებას მიუცია, ასე აშკარად სჯის ბუნება ყველას, ვინც-კი მის კანონებს ასე უკუღმართად ექცევა''. (იაკ, გოგებაშვილი—,,ბურ. ერ''.)

ყოველივე ამისგან ცხადია, რომ—ვინც ხალხის დედა-ენას აბუჩად იგდებს, ხელს უწყობს მის დავიწყებას და ამის ნაცვლად რომელსამე სხვა ენას ათვისებს მათ, იგი, ამ ენის სახით **ჰკლავს** თვით ერის, ,,ამ ღვთაებრივი ქმნილების'' **სულს**...

ჯალათი, ვინც არ უნდა იყოს, და როგორიც არ უნდა იყოს, ყველა საზიზღარია, როგორც ავაზაკი, რომელიც გვართმევს იმ ციურ საუნჯეს, რომელის არც აღდგენა და არც დაბრუნება არ შეიძლება,—იგი ყველა დარგის და ყველა ხარისხის ავაზაკზედ უარესია... მაგრამ ყველაზედ უფრო შეუწყნარებელია და აუტანელი ჯალათობა ადამიანის,—ამ ღვთაებრივი ქმნილების,—**სულისა**: იმ სულისა, რომელიც არის გამომხატველი ყოველი იმ მაღალ თვისებათა, რომელიც გვაშორებს პირველყოფილ მხეცურს საფეხურსა და გვაახლოვებს და გვამსგავსებს ჩვენს ზეციურ მამას... მაგრამ კიდევ უფრო საშინელებაა ჯალათობა მოზარდი, ნორჩი თაობის სულისა, რომელზედაც არის დამყარებული დადებითი ღირსებათა სიღრმე-სიგანე მომავალი ცხოვრების ვითარებისა... თვით აზრშინაარსი და მნიშვნელობა მომავალ არსებობისა და კიდე უფრო, თუ ამ ჯალათობის მსხვერპლი ხდება არა ერთი და ორი პიროვნება, არამედ მთელი ჯგუფი, რამდენიმე ათეული და ასეული უსუსურ ქმნილებათა... და მე სწორედ ზემოდ მოყვანილი ციტატების მეოხებით, ვანიჭებ ჩემს თავს უფლებას, ასეთი ,,სულიერი ჯალათის'' სახელით მოვნათლო ის გარეწარნი, (მათ-შორის ბატონი ლაბარტყავაც), რომელთაც, რაიმე ბრმა შემთხვევით ჩავარდნიათ ხელში ჩვენი ქვეყნის რომელიმე კუთხის მომავალ თაობის ბედიღბალი და ვერაგულად სარგებლობენ ამ შემთხვევით... პირადი კეთილ დღეობისა, საკუთარი ცხოვრების მყუდროების შენარჩუნებისათვის, არა ზოგვენ თავისი ერის მომავალს და წარბ შეუხრელად სჯიჯგნიან მის სულიერ წმინდათაწმინდას, მისი შთამომავლობის გონების კეთილ-შობილურ შემეცნებათა ასაყვავებელ ნიადაგზე, სამკურნალო

მცენარეთა ნაცვლად, შხამიან ანწლსა და ნარეკალს სთესენ. მომავალ თაობას სრულ გადაგვარებისა და სულიერ დამახინჯების გზაზედ აყენებენ, რომ იმ უკანასკნელ ეროვნულ თვითცნობიერების ნაპერწკლებსაც დაუკარგონ მომავალ ქართველის გულში გასაღვიძელი და ასაღორძინებელი ნიადაგი, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დიდ-ჭირნახული ჩვენი სამშობლოსთვის, ორიოდე ღირსეულ მამულიშვილების, საკუთარი სიცოცხლის წვეთებით დაუთესიათ.

ნეტა რითი იმართლებს თავს ბ-ნი ლაბარტყავა, მომავალ ქართველი თაობისა და მათშორის,—დღეს მის მიერ სულიერ გადაგვარებისა და იდეიურად მოსპობის გზაზე დამდგარ მოზარდთა წინაშე, რომელთაც, ადრე თუ გვიან, უეჭველად გადაეყრებათ გონების თვალთაგან ეგ—უფროსების მორეევერანსე-კარიერისტ ,,აღმზრდელების'' მიერ მოხვეული შხამიანი ბურუსი. და მკაფიოდ დაინახავენ ქართულ ეროვნულ სამსხვერპლოზედ მოღლვარე, სხვათა ღვაწლთ შორის, თავიანთს უჩინრად მიმქრალს სულებს,—გამოერკვევიან და მოსთხოვენ პასუხს თავიანთ ,,სულის ჯალათებს''!..

ან და რას ეუბნება ბ-ნი ლაბარტყავა თანამედროვე განათლებულს, ეროვნულად გათვითცნობიერებულს ქართველ საზოგადოებას, რომელთა ყურადღება მიქცეულია მასზე, ამ მწვავე კითხვებზე პასუხის მოუთმენელ მოლოდინით, არამც თუ დღეს,—არამედ ჯერ ისევ შარშანს აქეთ, როცა პირველად იყო აღნიშნული ჟურნალ-გაზეთებში, ხსენებულს სკოლაში, ქართული ენის, ამ—,,ერის მომავალი არსებობის ქვაკუთხედისა'' და ,,სულის'' ბედ-იღბალი, ქუთაისის გუბერნიის სასწავლო მთავრობის გმირობა და ბ-ნი ლაბარტყავას სამარცხვინო, ლაჩრული ,,მორევერანსეობა''!

დიახ, მოუთმენლად ველით ამ საგანზე თქვენს პასუხს და სათანადო განმარტებას.

ამასთანავე უნდა შევნიშნო ერთი რამ. ცხადია ზემო ხსენებულ ფაქტის არსებობას თქვენდამი რწმუნებულს სკოლაში თქვენც არ უარყოფთ, (და ვერც უარყოფთ—მე დარწმუნებული ვარ), რადგან საამისო დრო უკვე დიდი ხანია გავიდა, საჭიროებაც მოითხოვდა, თქვენგან ამ ბრალდების თავიდგან აცილებას, მაგრამ თქვენ ამის შესახებ კრინტიც არ დაგიძრავსთ,—ხოლო თუ თქვენ ამ მოვლენას დეფექტად სთვლით თქვენს სკოლაში, მაგრამ მას მაინც მიეცა იქ ადგილი, სასწავლო მთავრობის მეოხებით და თქვენის სისუსტით ვერ შესძელით ამ აშკარა პედაგოგიური სიყალბის წინაშე ჭეშმარიტების აღდგენა-დაცვა და სწავლა-აღზრდის საქმის ჭეშმარიტ ეროვნულსა და თანამედროვე მეცნიერულ თვალსაზრისით საღს პრინციპებზე დამყარება; მაშინ ზნეობრივად მოვალე იყავით უარი გეთქვათ თანამდებობაზე, თუნდა სამუდამოთ დაგეკარგათ მსგავსი სამსახურის უფლებაც... და თვით ეგ სკოლაც, როგორც თვისი დანიშნულების უკუღმა აღმასრულებელი დაწესებულება, უმჯობესია (დროებით მაინც) სრულად დაიხუროს... ვინაიდგან... ცხადია,—თუ მასში არა აქვს ადგილი იმ ხალხის დედა-ენას, რომელსაც იგი ემსახურება, და ამით გადაგვარება-დამახინჯებისა და სულიერ დაავადების გზაზედ აყენებს მომავალ თაობას და მით აღსასრულის წუთებს უსწრაფებს მთელ ერს, თავისთავად იბადება კითხვა:—,,რაღაა მიზანი მისი არსებობისა! და საჭიროა, თუ არა, იგი?" რომელიც, თუ საღ პე-

დაგოგიურ მოსაზრებებს ძავემყარებით, ვერასოდეს ვერ ჰპოვებს დადებითს პასუხს!..

წინაალმდეგ შემთხვევაში თქვენ გამოდიხართ მხოლოდ და მარტო თბილი კუთხისთვის და ჯამაგირისთვის მომქმედი, არასიმპატიური „მოხელე“, ამ სიტყვის უკიდურესი მნიშვნელობით..

ხოლო თუ ეს გარემოება შედეგია თქვენის პირადი რწმენა-შეხედულებისა (არ ვიტყვი პედაგოგიურ მოსაზრებებზე დამყარებულს, ვინაიდგან ვერავითარ პედაგოგიურ მოსაზრებაში ვერ იპოვით ამის გასამართლებელ საბუთს) და განზრახ განდევნეთ თქვენი სკოლიდან ქართული ენა, მაშინ გთხოვთ, კეთილ-ინებოთ და ჩვენც აგვიხსნათ და გაგვიმარტოთ ეგ თქვენი ახალი უცნაური, მაგრამ ჯქნებ ჭეშმარიტი (!) მოსაზრებანი...

საინტერესოა აგრეთვე, თუ როგორ უყურებენ ამ გარემოებას დანარჩენი მასწავლებლები ხსენებულის სკოლისა და რა ზომები მიიღეს, რა საშუალება-ღონისძიებას მიმართეს მათ პირადათ, ამ ბოროტების წინაალმდეგ, თუ კი რამე ამ საქმეში არის მათზე დამოკიდებული?

მოუთმენლად ველით პასუხს!..

**ია ნარიძე.**

---

## ,,შადრევანის" რედაქცია და ბ-ნი პ. ჯაფარიძე

(პასუხის პასუხი)

ჩვენს პასუხზე, რომელიც ვუძღვენით „შადრევანის“ რედაქციას (იხ. „განათლება“ № 2), პასუხს გვაძლევს ხსენებული რედაქცია „შადრევანის“ № 12-ში. ჩვენ შეკითხვაზე თუ, რატომ არ შეასწორებინა ჯაფარიძეს წერილი, რედაქცია გვეუბნება: „ბ-ნ პ. ჯაფარიძეს თავისი წერილები ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოქონდა რედაქციაში და შეუძლებელი იყო რაიმე აზრის გამომუშავებაო(?)“ (იხ. „შად.“ № 12). არ ვიცი ეს „გამომუშავება“ როგორ ესმის რედაქციას, მაგრამ მაინც, გავკადნიერდები და მოვახსენებ, რომ ეს საბუთი არ არის. ბ-ნი პ. ჯაფარიძის წერილის ყოველს ნაწილში მოიპოვება ესა თუ ის შეუწყნარებელი შეცდომა. რედაქცია ამას გვერდს უხვევს, რადგანაც აზრის „გამომუშავება“ შეუძლებლად მიაჩნია. ამავე დროს რედაქციას „ხელთ აქვს შესწორებული და შეუსწორებელი წიგნებიც ი. გოგებაშვილისა“ („შად.“ № 12) და როცა ბ-ნი ჯაფარიძე „რუსკ. სლ.“ მეორე ნაწილს შეუსწორებლად აღიარებს, რედაქციაც ეთანხმება; შესწორებულისა და შეუსწორებელი წიგნების შედარება, შიგ ჩახვედვა და გაშინჯვა საჭიროდ არ მიაჩნიათ არც რედაქციას და არც ბ-ნს ჯაფარიძეს, წიგნები-კი სულ სხვას ლაპარაკობენ. აქ ერთი წუთით წიგნების გადაშინჯვა იყო საჭირო და არა „აზრის გამომუშავება“ რომელიც ყოველს წერილს თავისთავად მოჰყვებოდა ხოლმე.

რედაქციას დიდი იმედი ჰქონია, რომ ბ-ნი ჯაფარიძის წერილებს მოჰყვება „ზოგიერთი ძალების ამუშავებაო“. ამას რამდენჯერმე იმეორებს რედაქცია. მაგრამ ტყუილი იმედია. კარგად ვიცით, თუ სად რა ძალა მოგვეპოვება, უგაზეთოდაც შეგვიძლიან მისი პოვნა და ვეძებდით კიდეც გამოცდილ, საქმის მცოდნე რიგიან მას-

წავლებელთა შორის. ისეთები-კი, ვინც სიცრუით სავსე წერილებით ცდილობენ განსვენებულის გოგებაშვილის სახელმძღვანელოების განქიქვას და პედაგოგიური საკითხიც ჩინურ ანბანად ეჩვენებათ, კარგს ვერას შესძენენ ჩვენს საპედაგოგიო მწერლობას. სწორედ ამის შესახებ მოვახსენე „შადრევანის“ რედაქციას, თუ რა ძალები მუშაობდნენ ხსენებული სახელმძღვანელოების შესწორებაზე, მაგრამ რედაქცია ისევ თავისას იმეორებს და სადღაც ბნელს კუნჭულში მიმალულ ძალებს ეძებს. ვნახოთ სად რას იპოვის!

„შადრევანი“-ს რედაქცია ისე ორჭოფად გამოთქვამდა თავის აზრს გოგებაშვილის მეთოდის შესახებ, რომ ძნელი იყო გაგება იმისი, ემხრობოდა ამ მეთოდს, თუ აძაგებდა. ჩვენც გადაჭრით არა გვითქვამს რა, არ გვითქვამს და არც ისე გაგვიგია, თითქოს რედაქცია იწუნებდეს გოგებაშვილის მეთოდს, მხოლოდ სურვილი გამოვსთქვით რედაქციას თავისი აზრი უფრო მკაფიოდ გამოეთქვა ამ საგანზე. შემდეგ რედაქცია განაგრძობს: „ბოცვაძე გვასწავლის თუ როგორია ი. გოგებაშვილის მეთოდი და ვისი მეთოდით უნდა გასწორდეს ხსენებული წიგნებიო“ („შადრ.“ № 12). აი ჩემი სიტყვები: „მე პირადად არაფერს მოგახსენებთ ჯერ-ჯერობით განსვენებულის ი. გოგებაშვილის მეთოდის არც ღირსებისა და არც ნაკლის შესახებ“ („განათლება“ № II, გვ. 156). განა ამ საკამათო წერილებში ხმა ამომიღია და მითქვამს, თუ როგორია გოგებაშვილის მეთოდი, ნათქვამია კარგ მთქმელს გამგონეც კარგი უნდაო, და დარბაისელი რედაქცია-კი ნებსით თუ უნებლიეთ, თითქოს განგებ არ ცდილობს ნათქვამი სწორედ გაიგოს. ამიტომ რედაქციის სიტყვები: „ძნელია ისეთ ადამიანთან კამათი, რომელსაც უძნელდება სხვისი აზრის გაგებაო“ („შადრევანი“ № 12), სწორედ თვით „შადრევნის“ რედაქციაზეა ზეგამოჭრილი.

აი ამისი საბუთიც: რედაქციამ, მიუხედავად ჩვენი თხოვნისა (იხ. „შადრევანი“ № 10) აღძრულ საკითხს არ გადასცდენოდა, მოგვაწერა ისეთი რამ, თითქოს ამა თუ იმ მასალის შეუფერებლობის საკითხი მე აღმეძრას საკამათო წერილებში და მოჰყავს სიტყვები ისე, როგორც საჭიროდ მიაჩნია: მაგ.: „ბ. ბოცვაძეს, როდესაც დასჭირდება იძახის, ეს და ეს ამბავი **შევცვალეთ** იმიტომ რომ ჩვენს ცხოვრებას არ შეეფერებოდა და გაუგებარი იყო ბავშვებისთვისო (იხ. „განათლება“ № 1, გვ. 67 „პედაგოგიური სიბეცე თუ ენის ქავილი“ („შადრევანი № 12). ჩავიხედოთ „განათლებაში“ და დავუკვირდეთ რა სწერია ამ საკითხის შესახებ: „ამა და ამ რუსულ სახელმძღვანელოების რედაქცია შეუფერებელია არა რუსთა ბავშვებისათვის, რადგანაც ბევრი სიტყვა, მაგ. „Забавница“ და აგრეთვე გამოთქმანიც ჩვენის ბავშვებისათვის საძნელოა. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოში“-კი დაცულია მარტივი გამოთქმა ბუბლიკოვ-გოლდენბერგის წიგნის „Русская шк.“ რედაქციისა (იხ. გვ. 65) და სხვ.“ შეადარეთ ეს ამოწერილი ადგილები და დარწმუნდებით, რომ აქ ლაპარაკი რუსული სახელმძღვანელოების რედაქციებზეა და მიღებულია ერთი მათგანი რომელიმე რუსულ სახელმძღვანელოდან და არა ჩვენ მიერ „შეცვლილი“ და ეს კი საჭირო იყო იმიტომ, რომ დაგვერწმუნებია მკითხველები, რომ ბ-ნი ჯაფარიძე მართალი არ არის, როცა „რუსკოე სლოვოს“ ენას საზოგადოდ „მოუხეშავ“ რუსულ ენად ნათლავდა ხოლმე, რაც შეადგენდა კამა-

თის ერთად ერთ მთავარ საკითხს. ამ საკითხის გადახვევა „შადრევანის“ რედაქციამ მოინდომა, როცა საფანელი შემოაკლდა, ეს ერთგვარი ლიტერატურული ქამანდებია, რასაც „შადრევანის“ რედაქცია „აბრუნდის“ ეძახის და რასაც თვითონ ხმარობს და სხვას-კი უკიჟინებს. ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო.

„შადრევანის“ რედაქცია და მასთან ერთად ბ-ნი პ. ჯაფარიძეც გვიკიჟინებენ უკან დახევას. რაში გამოიხატება მათის აზრით უკან დახავა ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ, დეე, მკითხველმა განსაჯოს ვინ იხევს უკან, მე თუ „შადრევანის“ რედაქცია. მოგეხსენებათ, რომ „შადრევანის“ რედაქციამ, როცა ბ. ჯაფარიძის წერილების ბეჭვდა დაიწყო, პირველ წერილსვე შენიშვნა წაუმძღვარა და შემდეგაც გაიმეორა ხაზგასმით (იხ. „შად.“ № 10) „აღძრული კითხვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ რედაქციას მის შესახებ კამათი საჭიროდ მიაჩნიაო“, მაგრამ როცა რედაქციამ თავისი თავი და ბ-ნი ჯაფარიძეც გულში დამარცხებულად სცნო, არც ერთი საკამათო წერილი „შადრევანის“ ფურცლებზე არ გააჭაჭანა. როცა ,,შადრევანის‘‘ რედაქცია წინდაწინვე გავაფრთხილეთ ბ-ნი პ. ჯაფარიძის უმართებულო წერილების ბეჭდვის დრო, ის განზე გადგა, აი ეს არის ნამდვილი უკან დახევა, რასაც ბრძენი რედაქცია სხვას უკიჟინებს. თუ-კი „შადრევანის“ რედაქციას და მისს უებრო თანამშრომელს ბ-ნს ჯაფარიძეს მართლა საზოგადო საქმე აწუხებდათ და არა სხვა რამ ბნელი ფარული აზრები, რედაქცია ვალდებული იყო საკითხის შესახებ კამათი არ შეეწყვიტა და წერილის დაბეჭდვაზე სხვებისთვისაც უარი არ ეთქვა. ეხლა გამოდის, რედაქცია ეკამათება მხოლოდ თავის თანამშრომელს ბ-ნ ჯაფარიძეს, სხვებს-კი შერცხვენილი ეუბნება, ამ საკითხს ჩვენ ადგილს ვერ დაუთმობთ, სხვა საკითხიც ბლომად გვაქვსო და სხ. ნუ თუ ესეც უკან დახევა არ არის!? ნუ თუ ეს საკითხის მიფუჩეჩება არ არის! რად აცხადებდა რედაქცია კამათის საჭიროებას და რად ამბობს ახლა უარს და არ ბეჭდავს სხვის წერილებს, ეს უეჭველად რედაქციის საიდუმლოებას უნდა შეადგენდეს.

„შადრევანის“ რედაქცია არსად არ ერიდება სხვისი აზრის დამახინჯებას. მის საპასუხო წერილში (შადრევანი № 12) ასეთი ადგილები მრავალია. მართებულობა-კი საზოგადოთ იმას მოითხოვს, როცა სხვისი სიტყვები მოჰყავს ვისმე, სიტყვა სიტყვით ამოსწეროს და ისე უჩვენოს მკითხველს, ,,შადრევანის‘‘ რედაქცია-კი ამას გაურბის და სხვის ნათქვამს ისე ხმარობს, როგორც მისთვის ხელსაყრელია. ასეთია მაგალითად ადგილები, რომელიც ეხება რედაქციის მიერ ათვალწუნებულს გამოთქმის ,,**МУЖИКЪ СЪ ВОЗОМЪ СКАЗАЛЪ**‘‘ და ჩემს განმარტებას ამის შესახებ და რედაქციის დასკვნას, თითქოს გოგებაშვილის ,,რუსკ. სლ.‘‘ შესახებ ჩემს გამოთქმულს აზრებში სადმე უკან დახევა სჩანდეს. უკან დახევას ჩვეულნი არ გახლავართ და რედაქცია-კი უფრო რიგიანად მოიქცეოდა, რომ თავისი დანაშაულობა, არა მარტო კამათის მოსპობით, არამედ პირდაპირ აღიარებინა და აღძრულ საკითხის გამორკვევას მეტის სიდინჯით, მოფიქრებით და სიმართლით შესდგომოდა.

---

ახლა ორიოდე სიტყვას მოვახსენებ ,,ლია წერილის‘‘ ავტორს ბ-ნს პ. ჯაფარიძესაც.

ჩემს მწვავეს, მაგრამ სამართლიანს პასუხს, რომელი დასტამბული იყო ,,განათლების“ № 1-ში, ეტყობა ძლიერ გაუწიწმატებია ბ-ნი პრ. ჯაფარიძე და გაზეთ ,,ახალი აზრის‘‘ № 149-ში მუქარისა და გაჯავრების კილოთი სავსე ,,ღია წერილს‘‘ მიძღვნის. გაწიწმატება და გაჯავრება უღონობისა და სისუსტისა ხმალია, მაგრამ რაც უნდა გაჯავრდეს კაცი, სიმართლეს მაინც არ უნდა უღალატოს. ჩემს წინადადებას, რომლითაც მივმართე გაზეთ ,,შადრევანის‘‘ რედაქციას და ბ-ნ ჯაფარიძეს, ორნივე ისე ხმარობენ, როგორც მათთვის ხელსაყრელია და არა ისე როგორც იყო ნათქვამი და რომლის აზრიც ცხადი უნდა იყვეს ყველასთვის.

როცა ბ-ნი ჯაფარიძის საუკუღმართო წერილების ბეჭდვა იწყეს ,,შადრევანში‘‘ პირველი წერილის წაკითხვისთანავე გასაფრთხილებლად მივსწერე რედაქციას:

„ვიდრე ბ-ნი ჯაფარიძე დაამთავრებდეს თავისს წერილებს და მეც ჯეროვანს პასუხს გავცემდე ვსთხოვ, რედაქციას დაასახელონ რამდენიმე პირნი რომელნიც გაეცნობიან მასალებს და უთველს სიმრუდეს მიუდგომლად გამოარკვევენ მეთქი“.

ამ წინადადებიდან ქართულის მცოდნე ადვილად მიხვდება, რომ ჩემი პირობა იყო დაესახელებიათ ვინმე მასალების გასარჩევად ,,ვიდრე ბ. ჯაფარიძის წერილის ბეჭდვა დასრულდებოდა და მეც პასუხს დავამზადებდი. ეს ჩემი წინადადება ,,შადრევანის‘‘ რედაქციამ არ მიიღო და განაგრძო წერილის ბეჭდვა, არც ბ-ნმა პრ. ჯაფარიძემ გვიპასუხა თავის დროზე და მეც იძულებული ვიყავი პასუხი დამეწერა. ამ სახით ჩემი წინადადების აზრი ჩემმა მოკამათეებმა უკუ აგდეს, არ შეიწყნარეს. მე არაოდეს არ მომითხოვია ისეთი კომისია, რომლის წევრთა შორის ჩემ მიერ არჩეულნიც უნდა ყოფილიყვნენ და სამართალში გამომეწვია ვინმე უდროოდ. ასეთს მოთხოვნას რა აზრი ექნებოდა იმ დროს, როცა ბ-ნი პრ. ჯაფარიძის წერილის ბეჭდვა მხოლოდ იწყებოდა, ჩემის აზრით საკმარისი იყო რედაქციის რომელსამე წევრს ან სხვა ვისმე გადაესინჯა ის მასალები, რომელიც ბ-ნს ჯაფარიძეს ამტყუნებდა და შემდეგ ამას რაც მოჰყვებოდა, სხვა იქნებოდა. მაშასადამე თითქოს მე ბ-ნი ჯაფარიძე სამედიატორო სამართალში გამომეწვიოს; სიმართლეს მოკლებულია და ,,უკან დახევის‘‘ შესახებაც ლაპარაკი ზედმეტია.

ახლა ისე გამოდის მე კი არა, ბ-ნი პრ. ჯაფარიძე მიწვევს სამართალში. ამაზე კი მოვახსენებ ბ-ნს ჯაფარიძეს, რომ ჯერჯერობით კამათი არ დასრულებულა, ჯერ კიდევ ნახევრადაც არ შევხებულვარ უველა იმ აბდა-უბდურ მოსაზრების გარჩევას, რომლითაც ბ-ნმა ჯაფარიძემ პოჰფინა ,,შადრევანის‘‘ ფურცლები.

თუ ბ-ნმა პრ. ჯაფარიძემ დაასრულა თვისი საისტორიო წერილები და შემდეგ კომისიის დანიშვნასა თხოულობს, მეც ნება უნდა მქონდეს დავასრულო პასუხი და სამედიატორო სამრთლის შესახებ საკითხი მერმე აღვძრათ. დავუცადოთ იმასაც, თუ რას იტყვიან სხვებიც აღძრულ საკითხის შესახებ. საკითხის გამოსარკვევად მარტო კომისია არ კმარა, საჭიროა მკითხველი საზოგადოებაც საქმეში ჩახედული იყვეს და მოკამათეთა აზრი წაკითხული ჰქონდეს. ამიტომ ვსთხოვე ,,შადრევანის‘‘ რედაქციას ჩემი პასუხის დაბეჭდვა. მაგრამ იგი დამარცხებული, როგორც მოგეხსენებათ, სრულიად სპობს კამათს.

რაც შეეხება „მოქალაქობრივ გამბედაობას“, თუ ვის მეტი ძალა აქვს, ამას

შემდეგშიც დავინახავთ. უბრალო ბაქიაობითა და სიტყვების წარამარა ხმარებით ბ-ნი ჯაფარიძე ვერავის შეაშინებს. ძალა სიმართლეშია. ბ-ნი ჯაფარიძე-კი გვაგონებს ისეთს დამარცხებულს, რომელიც ქვემოდან ემუქრებოდა მოწინააღმდეგეს— ამიშვი, თორემ..

არაფერს ვიტყვი რაღაც „აპეკუნობის“ შესახებ, რომლიდანაც ბ-ნს ჯაფარიძეს „მოწაფეობის დროიდანვე თავი დაუხსნია'', მაგრამ ტყუილად ჰგონია ბ-ნს ჯაფარიძეს თავისი თავი ცამდის მართალი. საღი კრიტიკის თვალით რომ ვისმე გაეშინჯა ბ-ნი ჯაფარიძის წერილები, დღის სინათლესაც ვერ იხილავდა.

მართალია მე უფრო მკაცრი კილო ვიხმარე ბ-ნი პრ. ჯაფარიძის საპასუხოდ, ვიდრე ,,შადრევანის“ რედაქციამ, მაგრამ ძნელია თავშეკავება და აკადემიური კილოს დაცვა იმ შემთხვევაში, როცა ნათლად ხედავ, რომ მოკამათე უკუღმართ აზრებით არის აღჭურვილი, სიმართლეს განძრახ გაურბის, ვერავითარ დაკვირვებას და საქმის ცოდნას ვერ იჩენს და სიცრუის ხუხულას აგებს ხოლმე. ამ შემთხვევაში ზოგჯერ სიმკაცრე სჯობიან ლმობიერად მოქცევას, რადგანაც ნათქვამია—,,რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემისო'' და მეც მგონია, რომ ბ-ნი ჯაფარიძე შემდეგში, თუ თავის დანაშაულობას გაითვალისწინებს, მაინც უფრო ჩაუკვირდება საგანს და ხელს აიღებს უსაბუთო და ზერელე მსჯელობაზე, რაც მისთვისაც სასარგებლო იქნება.

ლ. ბოცვაძე.

---

## ქართული ენა და სამეცნიერო ტერმინოლოგია*)

ხშირად, ძლიერ ხშირად ჩვენს ცნობილს მწერლებსაც კი მოსდით უნებლიეთი შეცდომა ან ქართულში ან მეცნიერულ ტერმინებში... ეს შეცდომები დღეს-ხვალობით უყურადღებოდ რჩება და ენა კი ირყვნება...

მიყვარს ტკბილი ხალასი ქართული და რაც გინდა საინტერესო შინაარსიანი წერილი თუ წიგნი (ნაბეჭდი) იყოს, თუ რომ რამდენიმე წინადადების წაკითხვამ გულის ყური არ დამიტკბო, ბრაზ მორეული უკუ ვაგდებ ხოლმე „შე ბედსვიანო და თუ კი ქართულიც არ იცი, მაშ რაღა „მეც ნახირ-ნახირო“...!

ბევრჯელ მინატრია: ნეტავ თუ რომელიმე ჟურნალმა პატარა ადგილი დაუთმოს სადმე კუნჭულ-ბოლოში ერთს განყოფილებასაც, სახელდობრ: „ქართული ენა და სამეცნიერო ტერმინოლოგია“... ჩემის აზრით ჟურნალმა „განათლებამ“ უნდა ითავოს, როგორც სამეცნიერო-პედაგოგიურმა ორგანომ. მაშ გთხოვთ ბ-ნო რედაქტორო; ამას უაღრესად მოითხოვს სამშობლო ლიტერატურის ინტერესი. ვისაც კი ჩემებრ უყვარს ქართული, ის არ დაიზარებს ამ მცირე, მაგრამ დიდ მნიშვნელოვან შრომას. ბატონებო! მოგვაწოდეთ თქვენი შენიშვნებიც, დაანებეთ სრულებით თავი: ეს მავანს ეწყინებაო, ეს მავანს მოვინდურებო, მე არ მესმისო! ნუ თუ ამ წვრილმანებს უნდა ვანაცვალოთ სამშობლო ენის ინტერესი?! მაშ როდის და რაგვარ გავწმენდთ ღვარძლისაგან პურს.

*) სიამოვნებით დავუთმობთ ადგილს ჟურნალში ასეთს შენიშვნებს. რედ.

* * *

აგერ ლექსი „კოცონი", ხელი უწერია გრ. რობაქიძეს; განა შეიძლება ამ ფილოსოფოს-მწერლის წაუკითხველობა! აგერ პირველი სტრიქონები*) აფრქვევიან თვალ მარგალიტს, მაგრამ ერთმა წუწკმა ტერმინმა კი ფრთები მთლად მომიშალა. ეს ტერმინი გახლავსთ **ომელა**.

ათიოდე წლის წინეთაც გული მატკინა ამ შეჩვენებულმა **პარაზიტმა** მცენარემ, მარად მწვანემ და სხვისა მჭამელმა.—

„ცნობის ფურცელში" ავტორი (აღარ მახსოვს ვინ) აგვიწერდა შვეიცარიელთა თუ შვედების ხალხურ ჩვეულებას: შობა-ახალწლის ბედნიერ დღეებში ქალები (ქალიშვილები) ფერხულს უვლიან შობის ხეს და უმანკოების ემბლემად გასათხოვარ ქალებს თავზედ ადგმენ **ომელას** გვირგვინსაო, ახლა ძლიერაც ვნანობ, რატომ მაშინ მწერალთა ყურადღება არ მივაქციე. სიტყვა **ომელა** არც რუსულია. ამ მცენარეს **ფითრს** ჩვენში ყველანიც იცნობთ, მუქთა ხორობს ბებერ მსხლის ტოტებზე, მუხაზე და სხვა. ზამთარ-ზაფხულს მომწვანოთ არის **გაფითრებული***), ზამთრის პირად უმწიფდება ნაყოფი (ხილი) მსხვილი მარგალიტის ტოლი და მისებრ ლამაზი, თეთრად ბრწყინვალე, ხილს ფრინველნი (ჯაფარა, კაჭკაჭი და სხვა.) ეტანებიან და თავის გაგანგლულ ნისკარტს ახლო მეზობელ ხის ტოტზე მაგრად იწმენდენ და ფითრიც საიმედოთ ღრმად ითესება ხილნარის ქერქში. ახლა კი თვითონ იცის როგორც დაიწყობს ცოცხალ ხის სისხლის (წვნის) წოვნას. იქნობამდე სწუწნის, ვიდრე პატრონი გახმება და თითონაც გადაჰყვება. წაკითხული გექნებათ, რა თქმა უნდა, თედო რაზიკაშვილის დიდმნიშვნელოვანი „ფითრი", სადაც იგულისხმება გულ უბრყვილო, მიმნდობი ქართველი კაცი და მისი მოშლორობელი წურბელები.

დიაღ, შეცდომაა თუ ფიქრობთ, რომ ქართულ მდიდარ ენას არ აბადია სიტყვა, ომელას სახელი, აფსუს!.- მე დარწმუნებული ვარ, რომ პორნოგრაფიული ექსტაზით გატაცებულს, აღზგნებულს მგოსანს არც თუ ფითრი (ომელა) ესაჭიროებოდა, ავტორს უნდოდა უთუოთ ეთქვა „ვით ფათალო ჩაწმახნული"; სწორედ ეს **ფათალო** (სურო) მარად მწვანეა და ხეებს ეხვევა (მუხას და სხვა.) ძლიერად ჩაწმახნული. ფითრი კი ამ ლექსისთვის არ გამოდგება, პარაზიტია და სულ რაღაც ორიოდე მტკაველი სიმაღლე ბუჩქად იზრდება პატრონის ტოტზე. არც თუ **შროშანა**, Ландышъ არის ეკალი*). ამი-

---

**) იხ. „სახალხო ფურცელი" № 223 პირველ მარტისა... აქ არ შემიძლია არ შევნიშნო: განა რა იყო ისეთი სასწრაფო, რომ ეს რაღაც **პორნოგრაფია** სამგლოვიარო დღეებში თუ წერილებში თაიგულივით არ ჩაგესვათ! უბრალო ეთიკა მოითხოვს, როდესაც ვგლოვობთ და ამისთანა დიდ დანაკლისს დავსტირით, როგორათაც ვარ. **გელოვანს**, ამ დროს ქვენა ვნების აღმძვრელ ლექსებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

**) რა მოხერხებულად ქმნიდენ ქართულს ჩვენი წინაპარნი! ეჭვი არ უნდა **ფითრიდან** (მც.) წარმოუშობავთ სატყვა **გაფითრებული** (პირის სახე და სხვ.), მართლაც და თვით ფითრი უფერული მწვანეა.

*) ესეც საჭიროა გვახსოვდეს:
**შროშანა** არის Ландышъ (მცენარე, ყვავილი)
**შროშანი** ფრინველი Скворецъ.

ტომაც შეეძლო პოეტს დაესახელებინა სხვა ყვავილი ეკლიანი. მაგ. ვარდი ან ასკილი.

* * *

ბაჩანას ლექსში „**მუხას**" არის ერთი სიტყვა, რომელიც უეჭველად გასწორებას მოითხოვს: „მთა ბარი **ირეგვნებოდეს**" აქ **ნ** სრულებით მეტია. გამოდის რომ მთა ბარი რეგვენი ხდება. უნდა იყოს: **ირეგვებოდეს**, მაგ. სეტყვამ ვენახი დარეგვა.

* * *

ეს ორიოდე წელიწადია უმართებულოდ იწერება სიტყვა **წუთი წამის** მაგივრად, არავინ ყურადღებას არ აქცევს და მთელი თაობა თუთიყუშივით იმეორებს ამ შეცდომას. მაშ კარგად დავიხსოვნოთ: **წუთი** არის Секунда და **წამი** არის минута არა გჯერად ჩემი? მაშ მოწმეებსაც მოვიყვან.

1) საბა-სულხან ორბელიანმა 200 წლის წინეთ გვიანდერძა: „**წამი** აქვს ჟამსა (საათსა) ერთსა სამოცი, წამსა ერთსა **წუთი** სამოცი და სხვა. 2) დ. ჩუბინოვი ჩვენი დროისაა და გვიანდერძა: „წენტილსა აქვს 15 **წამი** ან **მინუტი**; **წამსა** აქვს 60 **წუთი** ან **სეკუნდი** და სხვა" (იხ. სიტყვა **ჟამი**).—

* * *

კაი ხანია დაადგინეს **ეკკლესიის** მაგიერ ვწეროთ **ეკლესია** და ასეც ვსწერთ. იმავე დროს სავალდებულოდ გახადეს ვსწეროთ: **წმიდა**, **წმიდანი**, Святой და წმინდა, სიწმინდე, чистый чистота. ჯერ კი ჰო და მერე კი **დისციპლინა** დაარღვიეს-აირია მონასტერი.

* * *

განვლილ შემოდგომაზე რუს. გაზეთებმა გამოაცხადეს: არიქა, ხალხო, дурман-ის თესლი შეაგროვეთ, მისგან ძვირფასი წამალი კეთდებაო. ქართ. გაზეთებმაც სთარგმნეს, ღაღადჰყვეს, მაგრამ არ კი იცოდნენ რომ: Дурманъ-ი არის **ლემი** და Бѣлена, **ლენცოფა**. ამიტომაც ურჩევდენ ხალხს ლენცოფას თესლი შეაგროვეთო, მაშინ როდესაც ლენცოფა **ატროპინს** სრულებით არ შეიცავს (იმ საჭირო წამალს) და **ლემი** კი მდიდარია **ატროპინით**.

მე განვაგრძობ, შეძლების და გვარად ამ შენიშვნების წერას—ეს ჩემი ზნეობრივი მოვალეობაა—თან ხო არ უნდა წავიყოლო ჩემი ცოდნა. ჰო და იმ პირობით კი, რომ მეც სამაგიეროდ გადამიხადოთ—ჩემს ნაწერებშიაც გასასწორებელი გაასწოროთ. ამასაც ახლავე ვაცხადებ, რომ მე არ გახლავართ რაც ლინგვისტი და არც გრამატიკოსი. მაშასადამე არც შემიძლია გამოგყვეთ ვისმე მეცნიერულ თეორიებში. მე ვარ ხალხის შვილი, ხალხის ენის მცოდნე და კარგი ქართულის დიდათ მოსიყვარულე და არც ჩემს გულისყურს ეჩოთირება, არ შემიძლია შეცდომად არ მივიღო.

ბატონებო! მეტი ყურადღება, მეტი გულდადება გჭირიათ მწერლებსაც და რედაქციებსაც, თორემ დღეს ქართული ენა **რევოლუციას** განიცდის და არა ბუნებრივ **ევოლიუციას**, დროა დრო დაუფიქრდეთ,—გამოარკვიეთ და მეც მიშველიეთ. სხვა არა იყოს რა, ე ტერმინებს ხო ბევრს შეგაწევთ.

**ილ. ალხაზიშვილი.**

---

რედაქტორ-გამომცემელი
**ლ. გ. ბოცვაძე.**

# ცნობები

# ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგადოების მოქმედებისა.

## ოქმი

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების
7 დეკემბერს 1914 წ.

(დასასრული)

შეკითხვა შემოაქვთ იმ კომისიის მოქმედების შესახებ, რომელსაც დავალებული ჰქონდა მაღაზიის საკითხის გამორკვევა.

რ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ მაღაზიის გადატანის საკითხის გამოსარკვევად არჩეულმა კომისიამ უკვე მიიღო დადგენილება მაღაზიის გადატანის შესახებ, როგორც მახსოვს მოხსენებაც წარდგენილია.

ვ. ბურჯანაძე უპასუხებს, რომ კომისიას, მართალია, კრებები ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ საკითხი მაღაზიის გადატანის შესახებ ჯერაც გამოურკვეველია, რადგან ამ კომისიას გამგეობისათვის მოხსენება არ წარმოუდგენია.

ს. დადიანი ნდობას უცხადებს ამავე კომისიას და საჭიროდ ალიარებს ისევ იმ კომისიას მიენდოს საქმის დაბოლოვება.

შ. მიქელაძე (გამგ. წევრი) აღნიშნავს, რომ გამგეობას საერთოთ გადაწყვეტილი ჰქონდა მაღაზიის გადატანის საკითხი, მაგრამ ომის მიზეზის გამო ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოყვანილი არ იქნა.

დ. დუმბაძე. ჩვენც აღვნიშნეთ მოხსენებაში, რომ კომისიას მოხსენება არ წარმოუდგენია.

ირკვევა, რომ მაღაზიის გადმტან კომისიას მოვალეობა არ შეუსრულებია.

კრება წიგნების ზეჭვდის ანგარიშს და აგრეთვე საზოგადოების შემოსავალ-გასავალს ამტკიცებს.

დ. ხართიშვილი თხოულობს მომავალში უფლება მიეცეს სარევიზიო კომისიას შეამოწმოს ფაქტიურად ყველაფერი, როგორც შემოსავალ-გასავალი, ისე გამგეობის ყოველივე მოქმედება.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ თანახმად წესდებისა სარევიზიო კომისიამ უნდა შეამოწმოს დაბეჭდილი წლიური ანგარიში გამგეობის მოქმედება.

თავმჯდომარე აუწყებს კრებას, რომ საზოგადო კრების განსახილველად გამგეობა აყენებს 31 ნამდვილ წევრისაგან შემოსულ განცხადებას, და თან განმარტავს, რომ გამგეობა ამ საკითხის გადაწყვეტას არა სთვლის დროის შესაფერად და ამისათვის შეუძლებლად მიაჩნია მხარი დაუჭიროს საწევრო გადასახადის შემცირების საკითხს.

ვ. კიკალიშვილი. ეს საკითხი არა ერთხელ წარმოყენებულა საზოგადო კრებებზე და ყოველთვის უარყოფით გადაწყვეტილა. ამ საკითხის ირგვლივ ატეხილ ისტორიაში ორი აზროვნება არსებობს, ერთს ერთნაირად ესმის ეს საკითხი, მეორეს მეორენაირად; ერთნი ამბობენ: ჩვენ პრინციპიალურად წინაამდეგნი არა ვართ საწევრო გადასახადის შემცირებისა, მაგრამ ჯერ დრო საკმაოდ მომწიფებული არ არის და საზოგადოებას საფრთხეც მოელის, ამ მოსაზრებას იზიარებს გამგეობაც. ამ მოსაზრების მიმდევარი ჯგუფის აზრი შემცდარია. გადაავლეთ თვალი საქართველოს და თქვენ დაინახავთ, მთელი ნახევარი ნაწილი საქართველოსი ამისათვის საკმაოდ მომზადებულია თვით განვითარების გზაზე სდგას. დასავლეთ საქართველოში საყოველთაო, პირველ-დაწყებითი სწავლა უკვე განხორციელებულია, იქ ხალხი თავის მოქალაქობრივ უფლებების განხორციელებას თხოულობს... ხალხი, რომელსაც შეუგნია უფლება თვითონ, გამონახავს გზას და ამ მხრით სრულიად საშიშო არ არის შუამდგომლობის აღძვრა წესდების შეცვლის შესახებ. მეორენი ამბობენ: არასოდეს არ ვიქნებით თანახმა საწევრო გადასახადის შემცირებისო. ამ ჯგუფის ფსიხოლოგია ადვილი ასახსნელია, ამის მაგალითს ყოველი ხალხის ცხოვრებაში ვხედავთ, რომ რამოდენიმე პირი წამოსკუპდება სახალხო საქმის სათავეში და გაბედულად აცხადებს, ხალხის საქმე ზევიდან უნდა ვმართოთო, ხალხი ჩვენ უნდა გავათვითცნობიეროთ, ჩვენ უნდა ვემსახუროთ მისს სულიერ მოთხოვნილებებსო; მაგრამ ეს აზრი შემცდარია, ხალხი თვით უნდა განაგებდეს თავის საქმეს, ყველაფერი უნდა კეთდებოდეს ხალხის საშუალებით და მისი აქტიური მონაწილეობით. დრო უკვე დამდგარია — ხალხი საკმაოდ მომზადებულია და თუ ორ მილიონ ქართველ მცხოვრებთაგან მხოლოდ სამი ათასი კაცი ღებულობს მონაწილეობას ჩვენს კულტურულ დაწესებულებაში, ეს აიხსნება თქვენი კარ ჩაკეტილობით. გააღეთ კარები მიეცით ხალხს ფართო გზა აქტივობისა, და თქვენ ნახავთ, რომ საქმე გამოცოცხლდება და წინმსვლელობის ელფერი მიეცემა. პროვინცია უკვე ამ გზაზე სდგას, და თხოულობს და თხოულობს საწევრო გადასახადის შემცირებას. მაგალითად: ამას მოითხოვენ ბათომის, სოხუმის და სხვა განყოფილებები. რეფორმა ხდება ძირიდან, და სანამ ეს მოხდებოდეს, უმჯობესი იქნება ჩვენ თვითონ ზევიდან მოვახდინოთ რეფორმა და შევამციროთ საწევრო გადასახადი ერთ მანეთამდე.

პ. საყვარელიძე. წ.-კ. გ. საზოგადოება ეს ერთგვარი სკოლაა და სკოლის როლს იგი მაშინ უფრო ნათლად შეასრულებს, როდესაც თვით ხალხს მიაღებინებთ აქტიურ მონაწილეობას ყოველ მის საქმეში, ამით გაწვრთნით მას, თუ იგი გაუწვრთნელია, და მივსცემთ შეგნებას, თუ შეუგნებელია. ზოგიერთს, მაგალითად, მოჰყავს სახალხო უნივერსიტეტი და ამბობს; სახალხო უნივერსიტეტში საწევრო გადასახადი ერთი მანეთია, მაგრამ საქმე კი სასურველად ვერ მიდის, აქ სახალხო უნივერსიტეტის მაგალითის მოყვანა უადგილოა და შეუფერებელი: სახალხო უნივერსიტეტი ყველა ეროვნებათა წარმომადგენლის დაწესებულებაა. წ.-კ. საზოგადოება ემსახურება ქართველი ერის ყოველ გვარ ინტერესს. საუბედუროდ, ჩვენ საზოგადოებაში ორ მოპირდაპირე მხარეს ვხედავ: გაბატონებულ ნაწილს და დემოკრატიულს. ქუთაისისა და თბილისის გაზეთები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ ხალხი ეროვნულ ნიადაგზე დადგა და ამავე დროს კი არ ვცდილობთ ხალხი გავათვითცნობიეროთ; სცადეთ ბატონებო, შემოუშვით ეს ხალხი ამ ეროვნულ დაწესებულებაში და თუ გააქართველებთ, გაანაციონალისტებთ, ეს ხომ უკეთესი და საქმისთვის საუმჯობესო იქნება. რატომ არ უნდა ვცადოთ, და ზოგიერთების აზრით, გადაგვარების გზაზედ დამდგარი ხალხი გადმოვაგვაროთ და ეროვნული იდეები ჩაუნერგოთ. ზოგიერთნი დამცინავი კილოთი ამბობენ: რატომ ერთი მანეთი უნდა იყოს და საწევრო გადასახადი არა ერთი აბაზი. ასე რომ ვიმსჯელოთ, ყოველ საკითხს აბსურდამდე გავიყვანთ. ჩვენ ვამბობთ, რომ დღევანდელის პირობების მიხედვით შეიძლება საწევრო გადასახადის მანეთამდე შემცირება და ამ გადასახადის შემოტანა არ გაუჭირდება მუშას, წვრილ ბურჟუას და ამით წევრთა რიცხვი თვალსაჩინოთ გაიზრდება. ეჭვი არ უნდა, შემოსავალი იმატებს. არ შემიძლიან არ მოვიყვანო ერთი ფრიად საგულისხმო მაგალითი: ამას წინად შემთხვევით დავესწარი ერთს კრებას, რომელიც არკვევდა საკითხს ჩვენი თეატრის აღორძინების შესახებ. ერთმა ორატორმა ამ კრებაზედ რუსულად ილაპარაკა, მოიყვანა სტატისტიკური ცნობები თეატრის შემოსავალ-გასავლისა და აგრეთვე რიცხვი დამსწრეთა რაოდენობისა წარმოდგენებზე და დასძინა, რომ დამსწრეთა 90 %-ს შეადგენდა მდაბიო ხალხი. 75 პროც. მთელი შემოსავლისა ისევ მდაბიო ხალხისაგან შემოდის. ეს თვალსაჩინო მაგალითი მისაბაძი უნდა გახდეს ჩვენთვისაც, გამგეობას არ უცდია: ჯერ სცადოს, მიიღოს დადგენილება საწევრო გადასახადის მანეთამდე შემცირებისა, ამით წევრთა რიცხვი საკმაოდ გაიზრდება და შემოსავალიც იმატებს, ხალხიც დაინტერესდება საქმით. ჩემი წინადადებაა ეთხოვოს გამგეობას აღძრას შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე წესდების შეცვლის შესახებ.

არ. ჯაჯანაშვილი (გამ. წევრი) ამ რამდენიმე წლის წინად აღიძრა საკითხი საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ, მაშინ საწევრო გადასახადის რაოდენობა ექვს მანეთს უდრიდა; საზოგადო კრებამ მიიღო სამი მანეთი, როგორ იმოქმედა ამან საზოგადოების შემოსავლის გაძლიერების საქმეზე. შემოსავალმა იკლო და არა იმატა, კვლავ აღიძრა ეს საკითხი, რომ სამი მანეთიც შეემცირებიათ მანეთამდე. გვიკიჟინებდნენ, ვითომ ჩვენ ამ კულტურულ დაწესებულებაში ხალხის შე-

შვების წინააღმდეგი ვიყავით მათი შიშით, მაგრამ ეს შემცდარი აზრია, ხალხის ჩვენ არ გვეშინია; ან რატომ უნდა გვეშინოდეს ხალხის, როდესაც მთელი ჩვენი მოქმედება ხალხის ინტერესების დასაცავადაა მიმართული. სწორედ იმ მოსაზრებით, რომ საწევრო გადასახადის შემცირება ვერ მოქმედებს შემოსავლის გაძლიერებაზე, მე პრინციპიალურად წინაამდეგი ვარ საწევრო გადასახადის შემცირებისა; ვინაიდან საწევრო გადასახადის შემცირების დადებითად გადაჭრა მოითხოვს წესდების ერთი მუხლის შეცვლას და დღევანდელ პირობებში შესაძლებელია მთავრობამ ყურადღება მიაქციოს წესდების სხვა მუხლებსაც და ჩვენდა საზიანოდ და ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ შესცვალოს. მე ფორმალური მოსაზრებითაც წინააღმდეგი ვარ საწევრო გადასახადის შემცირებისა. რამ გამოიწვია წესდების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა მთავრობის წინაშე, ამის მაგალითიც შეგვიძლიან დავასახელოთ. მოსკოვის განათლების ლიგას სრულიად აუკრძალეს მოქმედება, როდესაც ამ ლიგამ მოითხოვა წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა. ზოგიერთებს წარმოუდგენია თითქოს წ.-კ. გ. საზოგადოება ისეთი დაწესებულება არის, რომლითაც ხალხმა უნდა განახორციელოს თავისი მოქალაქობრივი უფლება. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ საკითხს, უმჯობესია საწევრო გადასახადი სრულიად მოვსპოთ. მაგრამ მე ესე საკითხს არ უყურებ: წ.-კ. გ. საზოგადოება კულტურული დაწესებულებაა და არა პარლამენტი, სადაც შეიძლება უფლებაზე ლაპარაკი, თვითეული ქართველის მოვალეობაა, თუ მას გული შესტკივა ამ კულტურული დაწესებულებისათვის, შემოიტანოს თავისი წვლილი. სამი მანეთი არც ისეთი დიდი და სამძიმო გადასახადია, თუ გინდ მუშისთვისაც: თვეში მოუწევს ხუთი შაური და ვინ უშლის ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს ეს ფული. მე არც მინდა შემოვიდეს ისეთი მუშა, რომელიც ხუთ შაურსაც არ გაიმეტებს ამ კულტურული დაწესებულებისთვის.

ბ-ნი სულავა. ექვსი წელიწადია, რაც საწევრო გადასახადის შემცირებაზე ბჭობაა საზოგადო კრებებზე, მაგრამ ეს საკითხი დღემდე გამოურკვეველია. გამგეობა ამ საკითხს გვერდს უხვევს და არ უნდა, რომ შეუშვას ამ დაწესებულებაში ის ფხიზელი ელემენტები, რომელნიც საქმეს გამოაცოცხლებენ. საწევრო გადასახადის დაკლება აუცილებლად საჭიროა, რათა ხალხს მიეცეს საშუალება მიიღოს მონაწილეობა ამ ეროვნულ საქმეში და თავისი წვლილი შეიტანოს. მას განგებ ელობებიან წინ და ეუბნებიან, თქვენი საქმის მართვა-გამგეობა ჩვენს ხელში უნდა იყოს. თვეში 25 კაპ. გაღება მუშისთვის ძნელია, რადგან მუშას სხვა დაწესებულებაშიაც უხდება მონაწილეობის მიღება და თავის წვლილის შეტანა. სახალხო უნივერსიტეტში ამ უმუშევრობის დროს ერთი მანეთის შეტანაც ძნელია. ორატორი განმეორებით თხოულობს შემცირდეს საწევრო გადასახადი, თორემ დრო მაინც თავისას იზამს.

ნ. ღვინიაშვილი. 15 წელიწადია, რაც წ.-კ. გ. საზ. ვიცნობ და არ მქონია სურვილი ამ საზოგადოებაში ჩავწერილიყავი. როცა დამებადა სურვილი, კიდევაც ჩავეწერე და სამი მანეთიც შევიტანე. დამნაშავე აქ არა სამი მანეთია, არა ამ ფულის გადახდაა საძნელო მუშისათვის, არამედ ინტელიგენციის ის ნაწილი,

რომელმაც ქართველი მშრომელი ხალხი ქართულ სულს და გულს მოჰგლიჯა, ჩამოაშორა მშობელ კერას შეაძულა თავისი ეროვნული მე და, როცა მოღრუბლულ ცაზე სხივმა გამოაშუქა, როცა არ. ჯორჯაძის მოძღვრებამ ჩემს გონებაში მძლავრად შემოაშუქა, მაშინ საზოგადოთ მუშის სულმაც ჭეშმარიტების გზა იპოვა და მეც დამებადა სურვილი წევრად ჩავწერილიყავი ამ კულტურულ დაწესებულებაში, დავახლოვებოდი. ჩემთვის სამ მანეთს ხელი არ შეუშლია, აქ ლაპარაკობდნენ სკოლების გაუმჯობესებაზე, კარგ მასწავლებლების მოწვევაზე, კარგის ჯამაგირებით. რით გვინდა ყველა ეს განვახორციელოთ, თუ ამ ერთად ერთ საქველმოქმედო საზოგადოებას საღსარს მოვუსპობთ, შემოსავალს შევუმცირებთ.

ბ-ნს ბუკიას არ მოსწონს ღვინიაშვილის სიტყვა, როგორც მუშის ნათქვამი, და თავის განმარტებას რუსულის ანდაზით იწყებს „ყველა ოჯახში გამოერევა მახინჯი წევრი“...

ბუკიას ეს სიტყვები ხმაურობას იწვევს და თავმჯდომარე იძულებულია, სიტყვა წაართვას ორატორს.

დ. ხართიშვილი. ეს კითხვა ძველი კითხვაა, მას შემდეგ, რაც საწევრო გადასახადის შეუსრულებლობისათვის საზოგადოებიდან წევრთა განდევნა დაკანონდა, ყოველ წლივ, ამ კითხვას აყენებდენ საზოგადო კრებაზე, დიდს აურზაურს იწვევდა ხოლმე ყოველთვის ეს კითხვა; კრება ყოველთვის ორ ბანაკად იყოფოდა და მხურვალე კილოთი ეკამათებოდნენ ერთმანეთს; ეს ხელს უშლიდა საქმის გამორკვევას. დღევანდელი კრებაც არ ასცდება ნაჩვევ გზას, და კითხვა განმარტების მაგივრად გართულ-გამწვავდა; ამ კითხვას სჭირია გამორკვევა და არა გამწვავება, როგორც ამას ზოგიერთები სჩადიან, ამიტომ მე ვეცდები სტატისტიკური ცნობების საშუალებით გავაცნო კრებას წევრთა მატება-კლების ისტორია 1887 წლიდან. 1911 წელს წლიურ კრებაზე იქმნა დადგენილი: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ წ.-კ. გ. ს. წევრთა რიცხვი შემცირდა, საზოგადო კრება ავალებს გამგეობას შეისწავლოს ეს საკითხი და ამ საკითხის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად საგანგებო კრებას წარმოუდგინოს თავისი მოხსენება. ეს კრება უნდა მოწვეულიყო არა უგვიანეს იმავე 1911 წლის ენკენისთვისა. გამგეობამ კრების დავალება არ შეასრულა, საგანგებო კრება არ მოიწვია და არც კითხვა შეისწავლა შესაფერისად. 1912 წელს წლიურ კრებაზე ამისი გახსენებაც კი არ უნდოდა, სანამ მე არ შევეკითხე. ამის შემდეგ 18 ივნისს 1912 წლის კრებაზე გამგეობამ კრებას მოახსენა: „წევრთა რიცხვის შემცირების მიზეზების შესასწავლად ამოირჩია კომისია, რომელშიაც შევიდნენ: ს. ჯაფარიძე, ნ. ელიავა და შ. დედაბრიშვილი; ამ კომისიას სხდომა არა ჰქონია, რადგანაც სხდომაზე ორი წევრი სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ვერ მოდიოდნენ. დარჩა ერთი შ. დედაბრიშვილი და მისთვის კი ცხადი ყოფილა, რომ წევრთა რიცხვი კი არ შემცირებულა, არამედ გაუგებრობის მიზეზით იყო ისეთი აზრი და საზოგადო კრებაც შეცდომაში შეიყვანეს. გამოირკვა, რომ წევრთა რიცხვის დაკლებაზე ლაპარაკი მეტია, პირიქით მომატებიაო, დაასკვნის გამგეობა და განაგრძობს: „ამიტომ გამგეობამ დაადგინა საგანგებო კრება არ მოეწვიაო“. ეს დადგენილება მე უფლების გადამეტებათ აღვიარე და

დავგმე; საკითხის მათებური გამორკვევა მაშინვე ყალბად გამოვაცხადე და კრებას განმეორებით მოვახსენე სტატისტიკური ცნობები. მე წარმოგიდგენთ ამ ცნობებს და დაგიმტკიცებთ, რომ გამგეობას დღესაც არა აქვს ეს საკითხი შესწავლილი და რომ არ. ჯაჯანაშვილის განცხადება სიყალბეა...

თავმჯდომარე ზარს რეკს, სიტყვას აწყვეტინებს. ზარის რეკის დროსაც ხართიშვილი სიტყვას განაგრძობს აწეულის კილოთი: რომ ეს სიყალბეა, ამას თქვენი ანგარიშებიდან ამოკრებილი ცნობებით დაგიმტკიცებთ...

ა. ღომთათიძე აცხადებს, რომ ხართიშვილს არაფერი საერთო აქვს იმ ჯგუფთან, რომელსაც ზოგიერთები აკუთნებენ.

დ. ხართიშვილი განაგრძობს: 12 წლის განმავლობაში 1887-დან 1899 წლამდის წერა-კითხვის საზოგადოების საწევრო შემოსავალი მხოლოდ 6095 მან. (აქედან ერთდროულია 700 მან.) თითო წევრზე მოდის მხოლოდ თითო მანეთი და 04 კაპ. ცოტა ნაკლები. წევრთა საერთო რიცხვი 1887 წელს—440 იყო. 12 წლის შემდეგ ეს რიცხვი მხოლოდ 73-ით გაიზარდა და 1898 წელს 513 იყო. ასეთია სურათი 1899 წლის საზოგადო კრებამდე. ამ წელს ეწერებიან მუშები, რასაც შემდეგ მოჰყვა წევრთა ბლომად ჩაწერა საზოგადოებაში; თუ უწინ, 12 წლის განმავლობაში მხოლოდ ასამდე წევრი შეემატა, ახლა მუშათა მონაწილეობამ ისეთი გავლენა იქონია, რომ საერთოდ 1899—1907 წლამდის შემოემატა 972 წევრი. მაშინ ექვსი მანეთი იყო საწევრო გადასახადი. საწევრო ფულის შემოსავალმაც ასევე იმატა, თუ 12 წლის განმავლობაში, სანამ მუშები ჩაეწერებოდით, მხოლოდ 6095 მანეთი შემოსულა, ჩვენმა მონაწილეობამ იგი 15,768 მანეთამდის გაადიდა 8 წლის განმავლობაში. აქედან თითო წევრზე საშუალოდ 1 მანეთი და 83 კ, მოდის. რისაც უნდა აღინიშნოს, რომ კრებებზე ჩვენი მონაწილეობით მეტ სიცოცხლეს იჩენენ, რომ მუშათა მონაწილეობით არ დამარცხებულიყო გაბატონებული წრე, დაადგინეს: „ვინც ყოველ წლიურად არ შემოიტანს საწევრო გადასახადს (3 მან.) კენჭის უფლება წაერთვასო" ამ დადგენილების სასარგებლოდ ისინი ამბობდნენ შემოსავალი იმატებსო. თუ როგორ იმატა შემოსავალმა, ამისთვის საჭიროა გავიცნოთ მესამე ხანა ჩვენის საზოგადოებისა, ე. ი. დრო, როცა უფულო წევრებს საზოგადოებაში აღარ ედგომებათ. ეს ხანა დაიწყო 1907 წლის ბოლოდან. ამ წელს საზოგადოებაში ირიცხებოდა 1568 წევრი, აქედან გამოაკლდა 1057 წევრი, ამ წელს საწევრო შემოსავალი თითო წევრზე შესდგა საშუალოდ 1 მ.—48 კ. შემდეგ წლებშიაც დაახლოვებით ამდენივე მოდიოდა. (80 კ. 1—75 კ.) ოთხ წელს (1907, 08, 09, და 1910 წ. ახალი წევრი შეემატა 1175 კაცი და ფულის შეუტანლობის გამო ოთხი წლის განმავლობაში გაძევებულ იქმნა 2365 კაცი. აი ასეთი სინამდვილის წინ გამოდის ბ-ნი ჯაჯანაშვილი და კრებას არწმუნებს, ვითომც წევრთა რიცხვი კი არ კლებულობს, მატულობს. 1913 წ. ანგარიში გვეუბნება საზოგადოებას ამ 1914 წლის იანვრისთვის ჰყავდა მხოლოდ 469 წევრი, მაშინ როცა 1913 წ. იანვარს საზოგადოებაში ირიცხებოდა 240 კაცი. წლიურ კრებაზე იქნა მიღებული 494; რაც შეადგენს ერთად 734-ს. აქედან გასაგებია, რომ ფულის შეუტანლობისა გამო

აკლდა 265 წევრი თბილისში. თუ როგორ ხდება ეს, ამის მაგალითს 1911 მი-ღებულთა შესახებ მოგახსენებთ, ამ წელს იქმნა მიღებული 129 ახალი წევრი, ამათგან 1912 წელს მხოლოდ 42,5 პროც. გამორიცხულად იყვნენ აღიარებუ-ლი. აი ყველა ამას უნდა გაუწიოს ანგარიში საზოგადო კრებამ...

ს. დადიანი. პრინციპიალურად მე მომხრე ვარ საწევრო გადასახადის შემცი-რებისა, მაგრამ იმიტომ კი არა, ვითომ ვილაცანი კედლებს აშენებდნენ ხალხის წინააღმდეგ, მე უკეთესი წარმოდგენისა ვარ იმ ხალხზე, რომლის სახელითაც აქ ლაპარაკობენ, მე მრწამს, რომ ოღონდ ხალხმა შეგნებულად იმოქმედოს და მას ძლიერი კედელიც ვერ გაუძლებს; სასაცილოა, დღევანდელ დიად მომენტის დროს ჩვენ ბეღურებს ზარბაზნებს ვუშენთ; როდესაც საშინელი ომის აჩრდილი თავს დაგვტრიალებს და ჩვენს ერს განადგურებას უქადის. მე ისე არ გავკადნიერდები, რომ აქ ხალხის სახელით ვილაპარაკო, მისი ვექილობა გავსწიო, როდესაც ეს ჩემ-თვის,,არავის მოუნდვია, მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ მეც მომიკრავს ყური ამ ხალხის ხმისათვის. შორს რომ არ წავიდეთ მე მხოლოდ იმას გეტყვით, რისი მო-წამეც ერთი კრების გათავების შემდეგ ვიყავი. აქ დამსწრენი შეჯგუფული იყვნენ და ამ საკითხზე კამათობდნენ. ერთმა მუშამ სთქვა: „კაცო საქმე სამ მანეთში კი არ არის, ჩვენს შეგნებაზეა, მე „კლუბში ჩაწერილი ვარ, თუმანს ვიხდი იქ და აქ კი არა ვარ ჩაწერილიო". აი მართალი ხმა იმ ხალხისა, რომლის ვექილობასაც აქ სწევენ; სანამ შეგნება არ ექნებათ იმისა, რომ ეს საზოგადოება უნდა იყოს ჩვენი ეროვნების ბურჯი, მანამდის შაურიც რომ გახადოთ გადასახადი აქ ის ხალხი არ მოვა. ერთ კრებაზე ბ-ნმა ალ. ლომთათიძემ უსაყვედურა გამგეობას: კურსები თუ რუსულ ენაზე მოგთხოვეს, რუსულ ენაზე გაგემართათო, რა ცოდნის გადაცემაც შესაძლებელია რუსულად, რუსულად გადაეცითო, ბ-ნებო ყოველი ცოდნის გადა-ცემა შეიძლება რუსულად, მხოლოდ ერთი რამეს გადაცემა არ შეიძლება, სახელ-დობრ იმისა, რის შეგნებაც თვით ლომთათიძეს არა ჰქონია, სახელდობრ იმისა, რომ მხოლოდ მშობლიური ენით შეიძლება იმ აზრის გადაცემა, რომ ერი დიდი ღირებულებაა და ქართველი ერი უნდა სცოცხლობდეს...

აქ თავმჯდომარემ შეაჩერა და შენიშვნა მისცა, რომ არ შეიძლება პირადათ შეეხოთ წევრს.

ალ. ლომთათიძე პროტესტს აცხადებს და ამბობს: მომავალმა დაგვდოს მსჯავ-რი ვინ უკეთესი ქართველია, მე, თუ თქვენ.

ს. დადიანი განაგრძობს: მე ბოდიშს ვიხდი თუ შეურაცყოფა მივაყენე ბ-ნს ლომთათიძეს, მაგრამ მე სიტყვა სიტყვით მოვიყვანე მისი აზრი და არის თუ არა შეგნებული, ამის გარჩევა კრებისათვის მიმინდვია.

ბ-ნებო, წინა კრებაზე ბ-ნმა ჯაფარიძემ გაჩოსთქვა ის აზრი, რომ ჩვენი სკო-ლები ისეთი ტიპის უნდა იყვნენ, რომ მოწაფეთ შეეძლოთ მთავრობის სასწავლე-ბლებში გადასვლაო. ხალხს თვით სასამართლოშიაც კი სჭირდება რუსულის ცო-დნაო... იმის ნაცვლად, რომ მან მოითხოვოს ისეთი სასამართლო, სადაც ამ ხალ-ხის ენა უნდა ესმოდეთ, რომ მოითხოვოს ეკლესიაში თუ სასწავლებლებში მშო-ბლიური ენა იყოს, იგი გვირჩევს სულ სხვა გზას, რომელიც ჩემის აზრით ერს

ჯურღმულში გადაჩეხავს, ბ-ბო ეს აზრი ანარეკლია იმ აზრებისა, რომელსაც ამ ორი-სამი წლის წინად ნ. ჟორდანია ავრცელებდა პრესაში.

თავმჯდომარე კვლავ შენიშვნას აძლევს ორატორს და სთხოვს პირდაპირ საკითხს შეეხოს.

დადიანი. ივი სწერდა: ეროვნება ნაყოფია კაპიტალისტურ წესწყობილებისა. კაპიტალიზმი საქართველოში რუსეთმა შემოიტანა და მან გაუკაფა გზა ქართველ ერს ეროვნულ აღორძინებისაკენ. მე გულ-ახდით ვაცხადებ, რომ ის ქართველი, რომელიც ასეთი აზრებისაა, ამ საზოგადოებაში არ უნდა მოვიდეს, რადგანაც ეს პრინციპები ძირითადად ეწინააღმდეგება საზოგადოების საფუძველს, თუ საწევრო გადასახადის შემცირება მოასწავებს ასეთი ხალხის გამრავლებას ეს შემცირება უდროვოდ უნდა ჩაითვალოს. ჩვენს საზოგადოებას ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ ჩვენ უნდა შევეცადოთ გავასწოროთ ეს ნაკლი, მაგრამ ამას შესძლებს ნამდვილად შეგნებული ხალხი, რომელიც აქ შეგნებულად მოვა. ორატორის დასკვნა ასეთია: კრება პრინციპიალურად ერთხმად თანახმაა საწევრო გადასახადის შემცირებისა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც ამ საზოგადოებას მოაწყდება შეგნებული ტალღა ქართველი ხალხისა.

ი. რაშიშვილი. 25 წელიწადია, რაც წ.-კ. საზოგადოებაში ვირიცხები. ეს არის ერთად-ერთი ეროვნული დაწესებულება, აქ ყოველს ქართველს შეუძლიან შემოსვლა და, თუ დამისახელებენ ისეთს ქართველს, რომლის ტიპი ბ-მა ღვინიაშვილმა დაგვიხატა, მე პირველი წინააღმდეგი ვიქნები ასეთი ქართველისა, მაგრამ მე ასეთი ქართველი არ მეგულება. ხალხის ამ დაწესებულებაში შემოშვება საქმეს გამოაცოცხლებს, გამგეობაში მჯდომ ინტელიგენტებს აამუშავებს. მე მგონია, რომ უმჯობესი იქნება ყველა ქართველი შემოვიდეს აქ პროპორციონალურად, რომ გაბატონების შიში არავის არ ჰქონდეს. სახალხო უნივერსიტეტში კარგად არის საქმე დაყენებული იმიტომ, რომ იქ ხალხი იღებს მონაწილეობას. ორატორის აზრით საჭიროა საწევრო გადასახადის შემცირება.

ივ. კაჩუხოვი. საკითხს საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ 8 წლის ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი, ორი აზრია გამეფებული: ერთი ბატონური — მე უნდა ვიყო ხალხის ინტერესების სათავეში, მე უნდა ვმართო ხალხის საქმეები, ხალხი უნდა ასრულებდეს ჩემს ბრძანებას. მეორე აზრი დემოკრატიულია, ე. ი. ყველაფერს უნდა აკეთებდეს თვით ხალხი, ყველაფერი კეთდებოდეს ხალხის საშუალებით. პირველი ბატონური აზრის მიმდევარნი იმით ასაბუთებენ თავის მოსაზრებას საწევრო გადასახადის შემცირების წინააღმდეგ, რომ ხალხი ჯერ მომზადებული არ არის, რომ ხალხს ჯერ საკმაოდ არ შეუგნია თავისი კულტურული ინტერესებიო და აგრეთვე იმას შიშობენ, რომ შევამციროთ, ვაი თუ ამას რეპრესიები მოჰყვეს და საზოგადოება სულ დაგვიკეტონო. ბ-მა ბურჭულაძემ ერთი ფრიად საგულისხმიერო საბუთი მოიყვანა: გურიაში სამკითხველოების საქმე კარგად არის მოწყობილიო, ხალხი თვითონ მართავს სამკითხველოების საქმეს და დიდის პატივისცემით ეპყრობა ამ დაწესებულებათო. კავთისხევში კი საქმე ცუდად მიდისო. რატომ ვხედავთ ასეთს ერთი-ერთ-

მანეთის საწინაამდეგო მაგალითებს? კავთისხევის საქმეს განაგებს გამგეობა, ზევიდან ახდენს განკარგულებას, ხალხი კი მონაწილეობას არ ღებულობს, გურიაში კი თვით ხალხი განაგებს საქმეს. ორატორს არ უკვირს, რომ ა. ჯაჯანაშვილი საწევრო გადასახადის შემცირების წინაამდეგია, რადგან მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო, აკვირვებს მხოლოდ, რომ „ერთი გზა-დაბნეული მუშაც“ ამავე აზრს იზიარებს.

თავმჯდომარე შენიშვნას აძლევს და სთხოვს, რომ ორატორთა შესახებ არ იხმაროს საწყენი და მკვახე სიტყვები.

კაჩუხოვის უკანასკნელმა სიტყვებმა დარბაზში ხმაურობა ასტეხა. ჯაჯანაშვილი და სხვები თხოულობენ ორატორის კრებიდან გაძევებას. კაჩუხოვი ბოდიშს იხდის მუშის წინაშე.

თავმჯდომარე ჰპირდება კაჩუხოვს სიტყვა დაამთავრებინოს.

გ. რცხილაძე (გამგ. წევრი) წინადადებას იძლევა კრება გადაიდოს, რადგან ეს საკითხი სერიოზულია და თხოულობს დაკვირვებით და გონივრულად გადაჭრას, დღევანდელ აღელვებულ კრებას კი არ შეუძლიან ამ საკითხის გულდასმით გამორკვევა.

ი. ნაკაშიძე. აქ ნათქვამი სიტყვა „გზა აბნეული“ არც ისე შეურაცხმყოფელია. ერთმა პროფესორმა მეორე პროფესორის აზრის საზინაამდეგოთ წიგნი გამოსცა და ზედ წააწერა: „გზა-აბნეული პროფესორი“-ო, მაგრამ ამ სიტყვას არავითარი პროტესტი არ გამოუწვევია.

არც თავმჯდომარე სცნობს შეურაცმყოფელად კაჩუხოვის სიტყვებს და ნებას აძლევს ორატორს სიტყვის დამთავრებისას.

კაჩუხოვი განაგრძობს: სტატისტიკური ცნობები, რომელიც აქ მოიყვანეს, სიმართლეს მოკლებულია. საწევრო გადასახადის შემცირებით წევრთა რიცხვი მატულობს და არა კლებულობს და მანეთამდე რომ დავიყვანოთ, ერთი ორად გაიზრდება. რა აწუხებთ, რისთვის არ უშვებენ ხალხს ამ კულტურულ დაწესებულებაში, იმიტომ რომ ეშინიათ: შემოვა ხალხი, შემოიტანს თავის აზრებს, ჩადგება საქმის სათავეში და ჩვენ გამოგვდევნისო. ს. დადიანი სცდება, როცა ამბობს, აქ ხალხი კი არა, ხალხის აპეკუნები მოდიანო, არა, ბ-ნო, არასოდეს არ ყოფილა მაგალითი, რომ ხალხი მასსიურად აწარმოებდეს საქმეს, ამისთანა დროს ყოველთვის ხალხის სახელით, ხალხის ინტერესების გამოსახატავად გამოდის ესა თუ ის ჯგუფი და აწარმოებს მის საქმეს და ეს ხალხი ნდობით ეპყრობა მხოლოდ იმ ჯგუფს, რომელიც მის ინტერესებს იცავს.

თავმჯდომარე, კაჩუხოვის სიტყვის შემდეგ, კრებას ხურავს დღის 4 საათსა და 40 წუთზე. შემდეგი კრება დაინიშნა კვირას, 14 დეკემბერს, დილის 11 საათზე.

კრების თავმჯდომარე **დ. კარიჭაშვილი.**

კრების მდივანი **ვარ. ბურჯანაძე.**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

1915 წლის

# შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ანგარიში.

## მცირე განმარტება

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების 1915 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის შესახებ.

1. 1915 წლის ხარჯთ-აღრიცხვის საფუძვლად მიღებულია უკანასკნელი წლების შემოსავალ-გასავლის რაოდენობა, გამოცდილება და მოსალოდნელი შემოსავლის უტყუარი წყაროები. შემოსავალი ნავარაუდევია, რამდენადაც შეიძლებოდა უმცირესი, ხოლო გასავალი კი უმეტესი.

2. გასავალში აღნიშნული ფული აუცილებლად დანიშნულებას უნდა მოხმარდეს. ნაშთის 10 პროც. მიემატება სათადარიგო თანხას.

3. გასავლის აღრიცხვაში მასწავლებელთა ჯამაგირები წარსულ წლებთან შედარებით მეტია ნავარაუდევი. ძირითად ჯამაგირად 30 მანეთის ნაცვლად მიღებულია 40 მანეთი. ყოველ სამი წლის შემდეგ, 9 წლის განმავლობაში, ემატება 5 პროც., ხოლო 9 წლის შემდეგ 10 პროც., ვიდრე ჯამაგირის რაოდენობა 734 მანეთამდე არ ავა. გასავლის აღრიცხვაც ამ ანგარიშის მიხედვით არის შედგენილი.

4. თანახმად წარსული წლის საზოგადო მორიგი კრების დადგენილებისა საზოგადოების დანარჩენ მოსამსახურე პირთა ჯამაგირებიც წარსულ წლებთან შედარებით მეტია ნავარაუდევი. მთელი ჯამი მომატებულ ჯამაგირებისა (სულ 10 მოსამსახურე პირისა) უდრის 1317 მანეთს. გამგეობის დადგენილების თანახმად მიმდინარე წლიდან დაწესებულია 5 წლოვანი მიმატება 10 პროც.-ის ანგარიშით. ამის მიხედვით ორ მოსამსახურე პირს **ბუჰგალტერს და მაღაზიის გამგეს**, რომელნიც მსახურებენ წ.-კ. გ. საზოგადოებაში პირველი 18 წელიწადს, ხოლო მეორე 6-ს, ჩაეთვალათ ნამსახური პირველი 5 წელიწადი და მოემატათ: ბუჰგალტერს—98 მანეთი, მაღაზიის გამგეს—84 მანეთი. (ეს ფული შედის ზემო აღნიშნულ ჯამში).

5. საზოგადოების თანხები სამადაა განაწილებული: ა) საზოგადო დანიშნულების თანხები; ბ) სპეციალური დანიშნულების ფონდები და გ) გარდამავალი თანხები.

**საზოგადო დანიშნულების თანხებს** შეადგენს: ა) სათადარიგო თანხა, რომლის რაოდენობა 1914 წლის დამლევს უდრიდა 9987—80 კ.; 1915 წლის დასაწყისს მიემატა ა. ხახანაშვილის ნაანდერძევი ქონებიდან 3955—19 კ. და გახდა 13,942 მან.—99 კ., ამ თანხის სარგებლიდან 90 პროც. გადადებულია დასახარჯად, ხოლო 10 პროც. ემატება თვით თანხას, ამავე თანხას ემატება ყველა თანხების სარგებლიდან ათ-ათი პროც., ამ ნაირად წლის ბოლოს ე. ი. 1916 წ. 1 იანვარს თანხა გაიზრდება 15,512 მანეთ და 53 კაპ—დე;

ბ) ხელუხლებელი თანხა. ამ თანხის რაოდენობა 1914 წლამდე უდრიდა 10,102 მანეთსა და 53 კაპ.; 1915 წლის დასაწყისს მიემატა ა. ხახანაშვილის ნაანდერძევი 40,000 მანეთი; სულ შესდგა 50,102 მანეთი და 53 კ. ამ თანხის სარგებლის 90 პროც. მოხმარდება საზოგადო დანიშნულებას, ხოლო 10 პროც. მიერიცხება სათადარიგო თანხას.

**სპეციალური დანიშნულების ფონდები:**

3. სალიტერატურო. ამ თანხის 90 პროც. გადადებულია დასახარჯათ (მიეცემა მწერლებს დახმარებად) ხოლო 10 პროც. ემატება სათადარიგო თანხას.

4. სასტიპენდიო ძმ. ზუბალაშვილებისა. ეს თანხა შემოდის ნაწილ-ნაწილად და ისევ სტიპენდიებზე იხარჯება. სარგებელს არ იძლევა. 1915 წელს 1 იანვარს ამ თანხის ნაშთი იყო 462—78 კაპ. წლის განმავლობაში შემოვა 5000 მანეთი.

5. სასტიპენდიო ნ. ღოღობერიძის სახელობისა. ამ თანხის სარგებლიდან 25 მანეთი ემატება სათადარიგო თანხას, ხოლო 925 მანეთი გადაიდება დასახარჯათ: 6. საპრემიო ღოღობერიძის სახელობისა, 7, განთლების გასავრცელებლად გოჩა-ჯიხაიში და რგანში, 8, წიგნების გამოსაცემად, 9, სასტიპენდიო სარაჯიშვილის სახელობისა, 10, საპრემიო—დადიანისა; 12 სენაკის სკოლის გრ. დადიანის შემოწირული, 13, გურიანთის სკოლით—ყველა ამ თანხების სარგებლიდან 90 პროც. გადადებულია დასახარჯათ, ხოლო 10 პროც. მიემატება სათადარიგო თანხას.

მე-11, 14, 15, 16, 17 და 18 ნომრებით აღნიშნული თანხების სარგებლიდან 90 პროც. ეკვეცება თვით თანხას, 10 პროც.—სათადარიგო თანხას.

**გარდამავალი თანხები.** ამ თანხებიდან მე-19, 20, 21, 22, 24, 25, 26, 27, 28, 29 და 33. №№-ბით აღნიშნული თანხების სარგებლის 90 პროც. ეკვეცება თვით თავნს, 10 პროც. კი სათადარიგო თანხას.

23. თელავის განყოფილების. ეს თანხა (%% ქაღალდებად) მობარებულია თელავის განყოფილებისაგან შესანახად. კუპონების ფასიდან 10 პროც. ემატება სათადარიგო თანხას,—90 პროც. კი ეგზავნება ყოველ ნახევარ წლობით თელავის განყოფილებას.

30, 31, 32 №№-ბით აღნიშნული თანხები სარგებლის 90 პროცენტის ზედ შეკვეცით გადადებულია დასახარჯათ წლის განმავლობაში. თანხები დანიშნულებას უნდა მოხმარდეს. 10 პროც. ამ თანხების სარგებლისა ეკვეცება სათადარიგო თანხას.

ი. **გოგებაშვილის ნაანდერძევი** (34 №.) 17009 მან. და 78 კაპ.). შეტანილია გარდამავალ თანხებად, ვიდრე ამ თანხებს არ მიეცემა დანიშნულება ანდერძის თანახმად ე. ი. სანამდი არ დაიდგმება განსვენებულის საფლავზე ძეგლი და არ გამოიცემა მისი ქართულ-რუსული ხელნაწერები და წიგნები. შემდეგ ნაშთის ერთი ნაწილი უნდა გადაიდოს სახალხო განმანათლებელ ფონდის გასაძლიერებლად, ხოლო მეორე ნაწილი მოხმარდეს საზოგადო დანიშნულებას. მიმდინარე წელს კი ამ თანხის მოსალოდნელ სარგებლიდან 90 პროც. გადადებულია დასახარჯათ, 10 პროც. ემატება სათადარიგო თანხას.

ამ ნაირად თანხების სარგებლისა და შემოსავლის მთელი ჯამიდან, რაც შეადგენს 21,146 მან. და 50 კ.—19,676 მან. და 86 კ. ჩარიცხულია შემოსავალში და გადადებულია დასახარჯათ დანიშნულების მიხედვით, 1569 მან. და 54 კ. მიემატება სათადარიგო თანხას; 4027 მან. 10 კ. მიერიცხება თავნს. ასე, რომ 1916 წლის 1 იანვარს თანხების რაოდენობა იქნება 319,534 მან. და 52 კაპ.

| №№ რიგზე | თანხების დასახელება | 1915 წელს 1 იანვარს და წლის დასაწყისს იყო. | | მოსალოდნელი შემოსავალი და სარგებელი | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | **I**<br>**საზოგადო დანიშნულების თანხები.** | | | | |
| 1 | სათადარიგო თანხა . . . . . | 13942 | 99 | 663 | 18 |
| 2 | ხელუხლებელი ძმ. ზუბალაშვ. და ა. ხახანაშ. სახ. | 50102 | 47 | 2444 | 14 |
| | **II**<br>**სპეციალური დანიშნულების ფონდები.** | | | | |
| 3 | სალიტერატურო (დახმარება მწერლებს) . | 2775 | 03 | 158 | 18 |
| 4 | სასტიპენდიო ძმ. ზუბალაშვილების . . | 462 | 85 | 5000 | — |
| 5 | სასტიპენდიო ნ. ღოღობერიძის სახელობისა . | 20,050 | — | 950 | 00 |
| 6 | საპრემიო ნ. ღოღობერიძის სახელობისა . | 11306 | 54 | 498 | 87 |
| 7 | განათლების გასავრც.-ად გოჩა-ჯირაიშში და რგანში ნ. ღოღობერიძისა . . | 10,000 | — | 475 | 00 |
| 8 | წიგნების გამოსაცემად ნ. ღოღობ.-ძის სახელ-სა | 11306 | 54 | 498 | 87 |
| 9 | სასტიპენდიო დ. სარაჯიშვილისა . . | 81450 | 90 | 4387 | 70 |
| 10 | საპრემიო გრ. დადიანისა . . . | 4361 | 59 | 248 | 61 |
| 11 | ი. ჭავჭავაძის სახელობის . . . . | 698 | 48 | 39 | 81 |
| 12 | სენაკის სკოლის გრ. დადიანის შემოწირული . | 1515 | 71 | 86 | 40 |
| 13 | გურიანთის სკოლის დ. ნაკაშიძის შემოწირული . | 2540 | 09 | 144 | 78 |
| 14 | ი. გოგებაშვილის განათლების ფონდისთვის . | 1752 | 44 | 99 | 89 |
| 15 | დ. ეპისკოპოზის სახელობის (მაჰმადიანთათვის). | 1083 | 04 | 61 | 74 |
| 16 | ქუთაისის საკვირ. სკოლის რ. ერისთავ. შემოწ. | 1155 | 89 | 65 | 89 |
| 17 | სამუზეუმო . . . . . | 69324 | 53 | 3601 | 50 |
| 18 | სასტამმო . . . | 1515 | 08 | 71 | 97 |
| | **II1**<br>**გარდამავალი თანხები** | | | | |
| 19 | ვასილ პეტრიაშვილის სახელობის | 2515 | 05 | 138 | 61 |
| 20 | ი. გოგებაშვილის სახელობის სასკოლო . . | 2307 | 54 | 131 | 53 |
| 21 | სასკოლო . . . , . . | 798 | 42 | 45 | 51 |
| 22 | შ. რუსთაველის სახელობის . . . | 116 | 14 | 6 | 62 |
| 23 | თულავის განყოფილების . . . | 1800 | 00 | 85 | 50 |
| 24 | სახელმძღვანელოების გამოსაცემად . . | 552 | 62 | 31 | 50 |
| 25 | თამარაშვილის ძეგლის . . . | 16 | 25 | — | 93 |
| 26 | თამარ მეფის სახელობის ტაძრის . . | 22 | 40 | 1 | 28 |
| 27 | გ. წერეთლის . . . . . | 20 | — | 1 | 14 |
| 28 | ძველის წიგნებისა . . . . | 338 | 87 | 16 | 10 |
| 29 | დაბრუნებული სასტიპენდიო თანხა . . | 10 | 00 | — | 57 |
| 30 | ილია ჭავჭავაძის აღსრულების ადგილზე ჯვარის დასადგმელად . . . . | 300 | — | 17 | 10 |
| 31 | ილიასეულ ყვარელის მამულის გასამჯ.-სად . | 400 | — | 22 | 80 |
| 32 | ხახანაშვილის საფლავზე ძეგლის დასადგმელად. | 3000 | 00 | 142 | 50 |
| 33 | სალექსიკონო ძმ. ზუბალაშვილებისა . . | 3513 | 66 | 200 | 28 |
| 34 | ი. გოგებაშვილის ნაანდერძევი . . | 17009 | 78 | 808 | — |
| | ს უ ლ . . | 318064 | 90 | 21,146 | 50 |

საზოგადოების თავმჯდომარე

თავმჯდომარის ამხანაგი

გამგეობის წევრნი: { გ. ლასხიშვილი. შ. დედაბრიშვილი. ლ. ბოცვაძე.

| შემოსავლიდან და სარგებლიდან გადაიდება დასახარჯათ | | სარგებლიდან მიემატება სათადარიგო თანხას | | სარგებლიდან მიემატება თანხას | | თავნის რაოდენობა 1916 წ. 1 იანვარს | | შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მან. | კაპ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. | |
| 596 | 87 | 66 | 31 | — | — | 15.512 | 53 | 1) ამ ჯამში შედის მთელი ჯამი მირიცხული 10%-ისა. |
| 2199 | 73 | 244 | 41 | — | — | 50,102 | 47 | 2) ამ ჯამში შედის 40,000 მ. ხახანაშვილის სახელ., 10,102 მ. და 47 კ. ზუბალაშვილებისა. |
| 142 | 37 | 15 | 81 | — | — | 2775 | 03 | |
| 5437 | 85 | 25 | — | — | — | — | — | 4) ეს თანხა ნაწილ ნაწილ შემოდის და ისევ სტიპენდიაზ იხარჯება. 437 მ. 85 კ. ნაშთია. |
| 925 | 00 | 25 | — | — | — | 20,050 | — | |
| 448 | 99 | 49 | 88 | — | — | 11,306 | 54 | 5) აქედან 50 მ. უნდა დაიხარჯოს, როგორც ნაშთი. |
| 427 | 50 | 47 | 50 | — | — | 10.000 | 00 | |
| 448 | 99 | 49 | 88 | — | — | 11,306 | 54 | |
| 3948 | 93 | 438 | 77 | — | — | 81.450 | 90 | |
| 223 | 75 | 24 | 86 | — | — | 4,361 | 59 | |
| — | — | 3 | 98 | 35 | 83 | 734 | 31 | |
| 77 | 76 | 8 | 64 | — | — | 1515 | 71 | |
| 130 | 31 | 14 | 47 | — | — | 2540 | 09 | |
| — | — | 9 | 98 | 89 | 91 | 1842 | 35 | |
| — | — | 6 | 17 | 55 | 57 | 1138 | 61 | |
| — | — | 6 | 58 | 59 | 31 | 1215 | 20 | |
| — | — | 360 | 15 | 3241 | 35 | 72.565 | 88 | |
| — | — | 7 | 19 | 64 | 78 | 1579 | 86 | |
| — | — | 13 | 86 | 124 | 75 | 2639 | 80 | |
| — | — | 13 | 15 | 118 | 38 | 2425 | 92 | |
| — | — | 4 | 55 | 40 | 96 | 839 | 38 | |
| — | — | — | 66 | 5 | 96 | 122 | 10 | |
| 76 | 95 | 8 | 55 | — | — | 1800 | 00 | |
| — | — | 3 | 15 | 28 | 35 | 580 | 97 | |
| — | — | — | 9 | — | 84 | 17 | 09 | |
| — | — | — | 12 | 1 | 16 | 23 | 56 | |
| — | — | — | 11 | 1 | 03 | 21 | 03 | |
| — | — | 1 | 61 | 14 | 49 | 353 | 36 | |
| — | 52 | — | 5 | — | — | 10 | 00 | |
| 315 | 39 | 1 | 71 | — | — | — | — | |
| 420 | 52 | 2 | 28 | — | — | — | — | |
| 3128 | 25 | 14 | 25 | — | — | — | — | |
| — | — | 20 | 02 | 180 | 26 | 3693 | 92 | |
| 727 | 20 | 80 | 80 | — | — | 17009 | 78 | |
| 19676 | 88 | 1569 | 54 | 4027 | 10 | 319,534 | 52 | |

გ. ნ. ყაზბეგი.

დ. გ. კარიჭაშვილი.

გ. რცხილაძე. იპ. ვართაგავა.
გ. ცინცაძე. კ. ნინიძე.
ნ. ნაკაშიძე. ვ. მუსხელიშვილი.
პ. კიკალიშვილი. ი. გიორგობიანი.

# შემოსავალი

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1. საწევრო გადასახადი . . . . . . . . . | 1400 | — |
| 2. ყულაბებით შეგროვილი . . . . . . . . | 100 | — |
| 3. საღამოების და კონცერტის გამართვით . . . . | 1000 | — |
| 4. განყოფილებათა შემოსავლის 20 პროც. . . . . | 600 | — |
| 5. თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან . . . . | 6000 | — |
| 6. თბილისის ქალაქის თვითმართველობისაგან ნავთლუღის სკოლისათვის . . . . . . | 500 | — |
| 7. სოფ. წინარეხის საზოგადოებისაგან ადგილობრივ სკოლისთვის . | 80 | — |
| 8. სწავლის ფული ნავთლუღის სკოლის მოწაფეთაგან . . . | 60 | — |
| 9. სხვა და სხვა შემოწირულება . . . . . . . | 1000 | — |
| 10. თავნი ფულის სარგებელი და სასტიპენდიო ზუბალაშვილ. . | 19676 | 88 |
| 11. წიგნის მაღაზიის შემოსავალი . . . . . . . | 5100 | — |
| 12. წიგნების გამომცემლობიდან . . . . . . . | 9600 | — |
| 13. დაბრუნებული ხარჯი (ხახანაშვილის დასაფლავებაზე გაწეული) . | 2398 | 34 |
| 14. წარსული წლის შემოსავლის ნაშთი . . . . . | 4002 | 09 |
| სულ . | 51,517 | 31 |

# გასავალი

## I. ადმინისტრატიული სექცია

| | | მან. კაპ. |
|---|---|---|
| 1. | კანცელარიის ბინის ქირა | 600— |
| 2. | საკანცელარიო წიგნები, განათება, გათბობა და სხვა წვრილმ. | 500— |
| 3. | წლიური ანგარიშის დასაბეჭდად | 360— |
| 4. | ინვენტარის შესაძენად | 25— |
| 5. | სარგებ. ქაღალდების და მომგებიანი ბილეთ. დაზღვევა და შენახვა | 350— |
| 6. | ჟურნალ „განათლებას“ დამატებისათვის | 200— |
| 7. | ჯამაგირი საქმის მწარმოებელს | 1625— |
| 8. | „ ბუჰგალტერს | 1078— |
| 9. | „ გადამწერს | 360— |
| 10. | „ კანცელარიის მსახურს | 350— |
| 11. | „ მაღაზიის გამგეს | 924— |
| 12. | „ მაღაზიის გამგის თანაშემწეს | 560— |
| 13. | „ მაღაზიის მსახურს | 350— |
| 14. | მაღაზიის ბინის ქირა | 600— |
| 15. | „ დაზღვევა | 205— |
| 16. | „ პატენტი და სამრეწველო ბაჟი | 170— |
| 17. | „ გათბობა, განათება და სხვა წვრილმანი ხარჯები | 300— |
| 18. | წიგნების საწყობებში თაროების მოსაწყობად | 200— |
| 19. | ი. გოგებაშვილის ანდერძის დავალებით: ა) ქარ. საბავშვო ბაღს | 120— |
| | ბ) განათლების საზოგ. სკოლას | 120— |
| | გ) ქრა-კერვის სკოლას | 120— |
| | დ) ჟურნალ „განათლება“-ს | 300— |
| | ე) აკაკი წერეთელს | 100— |
| | ვ) ეფემია ინოურს | 120— |
| | ზ) სტ. კ. კასრაძეს. | 480— |
| | თ) გოგებაშვილის თანხის გასაძლიერებლად | 880— |
| 20. | სენაკის სკოლას გრ. დადიანის ნაანდერძევი თანხის სარგებელი | 77—76 |
| 21. | სკოლებისა და ბიბლიოთეკების მეთვალყურეს | 1300— |
| 22. | მასვე საგზაო ხარჯად | 600— |
| 23. | კნ. ოლ. ჭავჭავაძისას ბინის ქირა | 300— |
| 24. | დახმარება მწერლებს | 240— |
| 25. | ილიას ძეგლის მომვლელს | 24— |
| 26. | გრ. დადიანის საპრემიო | 223—75 |
| 27. | თელავის განყოფილებას კუპონების ღირებულება | 76—95 |
| 28. | ღოღობერიძის საპრემიო | 400— |
| 29. | სასტიპენდიო ხარჯები | 10311—78 |
| 30. | გურიანთის სკოლას დ. ნაკაშიძის ნაანდერძევი ფულის სარგებ. | 117—29 |
| 31. | ხახანაშვილის საფლავზე ძეგლის დასადგმელად | 300— |
| 32. | ილიას აღსრულების ადგილზე ჯვარის დასადგმელად | 500— |
| 33. | ილიასეულ ყვარელის მამულის გასაუმჯობესებლად | 400— |
| 34. | ეფროსინე აღლაძის ქვრივს დახმარება | 300— |
| 35. | ადმინისტრატიული სექციის განკარგულებაში | 1803—78 |
| | სულ | 30472—31 |

## II. სასკოლო სექცია

36. მასწავლებელთა ჯამაგირი: 1. აკაურთის—504 მ. 2. ატენის—480 მ. 3. გერგეთის—504 მ. 4. გომარეთის—480 მ. 5. ვარიანის—480 მ. 6. ნავთლუღის—(504+282)=762 მ. 7. შრომის—1080 მ. (480+480+120) 8. ყალამშიის—480 მან. 9. წინარეხის—600 მ. 10. ვერის საქველმოქმედო—315 მ. 11. სოფიოს სახელობის და კუკიის საქველმოქმედო—315 მ. 12. ავლაბრის საქველმოქმედო—72 მ. 90 კ. და 13. საგურამოს—504 მან. . . . . . . . . . 7080—90
37. სასწავლო ნივთებისათვის, წიგნებ. და წვრილმან ხარ. 11 სკოლას 770—
38. სკოლების ბინის ქირა და მსახურთათვის (საგურამოს ბინა—84 მ. მსახურს—72 მ., ნავთლუღის: სკოლის ბინის ქირა—180 მ., მასწავლებლის ბინის ქირა—60 მ., მსახურს—36 მ.; ვარიანის: ბინის ქირა—200 მ,, მსახურს—60 მ., შეშა—60 მ.). 752—
39. ზუგდიდის სკოლას 1 ივლისიდან . . . . . . . 380—
40. ნალჩიკის სკოლას 11 თვის . . . . . . . . 440—
41. მასწავლებელთა კრების მოსაწვევად . . . . . 500—
42. სკოლებისათვის ხელსაწყო ნივთების შესაძენად . . . 400—
43. ბათომის სკოლის მასწავლებლებს: (ივ. გოგოლაშვილს—420 მან. ა. მგელაძეს—360 მ., მარიამ ლომინაძეს—300 მ. და იუსტინე კალანდაძეს—70 მ.) 6 თვის. . . . . . 1150—
44. განათლების გასავრცელებლად რგანში და გოჩა-ჯიხაიშში . . 427—
45. მოულოდნელი ხარჯი და საგზაო ფული მასწავლებლებს . . 435—10

სულ . 12335—

## III. წიგნების გამომცემელი სექცია

46. გამგეობის მიერ დამტკიცებული 8 წიგნის გამოსაცემად . . 1273—61
47. 6 ახალი სახალხო წიგნის გამოსაცემად. . . . . . 1726—39

სულ . 3000—00

## IV. ბიბლიოთეკების და სახალხო კითხვების მომწყობი სექცია

48. დახმარება ბიბლიოთეკებს: 1. ვერისას—200 მ., 2. ავლაბრისას—200 მ. 3. დიდუბისას—200 მ., 4. ნაძალადევისას—200 მ., 5. წმიდა ნინოს უბნის—200 მ., და 6. ნავთლუღისას—200 მ. 1200—
49. დახმარება: 1. ატენის ბიბლიოთეკას—200 მ., 2. წინარეხისას—80 მ. და 3. შრომისას—80 მ. . . . . . 360—
50. ახალციხის ბიბლიოთეკას—80 მ., უდისას—50 მ. . . . 130—
51. დახმარება სოფლის ბიბლიოთეკებს . . . . . . 400—
52. კინემატოგრაფის შესაძენად . . . . . . . 500—
53. ლექციების გამართვა და სხვა მოულოდნელი ხარჯები . . 410—

სულ . 3000—00

## V. სამუზეუმო სექცია

54. ყდებისთვის . . . . . . . . . . 400—
55. წიგნების და ხელთნაწერების შესაძენად . . . . . 400—
56. კარადების გასაკეთებლად . . . . . . . . 500—
57. ბინის გათბობისა და წყლისათვის . . . . . . 250—
58. ჯამაგირი ბიბლიოთეკარს . . . . . . . . 600—
59. " მსახურს . . . . . . . . . 350—
60. საკანცელარიო . . . . . . . . . . 100—
91. მოულოდნელი ხარჯები . . . . . . . . 110—

2710—

სულ . 51,517—31

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქცია!

იმ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, რომელიც გამოიწვია ,,განათლების" იანვრის ნომერში დაბეჭდილმა: ,,მასწავლებლის დღიურმა", გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ჩემს შემდეგ განცხადებას. მე ხსენებულ ნაწარმოებში აზრათ არ მქონია ვისთვისმე კერძოთ შეურაცხყოფა მიმეყენებია, მით უმეტეს სულაც არ მიფიქრია გამელანძღა ქვედა-ჰოვნარის სკოლის გამგე მღვ. ამროსი კანდელაკი, რომელიც ცნობილია როგორც სკოლის კარგი მოამაგე და რომელთანაც მე დიდი ხანია მეგობრული განწყობილება მაქვს. სამწუხაროა, რომ მ. ამროსი კანდელაკმა მიიღო თავის-თავზე ზოგიერთი ადგილები დღიურისა და კორესპოდენციის ხასიათი მისცა ჩემს წერილს *).

პატივისცემით **პროკლე ტაპიძე.**

---

*) სწორედ სამწუხაროა, თუ მართლა მამ ამბროსი თავის თავზე იღებს მოწერილს ამბავს, რომელშიაც მკითხველი უნდა სცნობდეს ტიპიურ დახასიათებას სამრევლო სკოლის გამგე სულიერ მამებისას.

**რედ.**

---


ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНЫЙ, НАУЧНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

# „СѢВЕРНЫЯ ЗАПИСКИ"

ПЕТРОГРАДЪ

(3-й годъ изданія)

**Продолжается подписка на 1915 г.**

| | годъ. | 6 мѣс. | 3 мѣс. |
|---|---|---|---|
| съ достав. и пересылкою | 4 р. | 2 р. 50 к. | 1 р. 25 к. |

*Подписка принимается:* въ Главной конторѣ журнала **Петроградъ, Загородный пр., 21, въ крупныхъ книжн. магаз. и во всѣхъ почтовыхъ учрежденіяхъ.**

Отдѣльные номера продаются во всѣхъ крупныхъ книжныхъ магазинахъ и высылаются изъ главной конторы журнала за 60 к., наложеннымъ платежомъ 80 к.

Издательница **С. И. Чацкина.**

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

# „განათლება“

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის.**

(წელიწადი მერვე)

1915 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მან.). მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმოთ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1915 წლის წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: **„მრავალჟამიერ“** მუსიკა ანდრია ყარაშვილისა, მამაკაცთა და ქალვაჟთა გუნდისათვის. **პესტალოცის, ჰერბერტ სპენსერის, რუსსოს და კომენსკის სურათებს**, რომელთა მაგიერ 1914 წლის ხელის მომწერლებმა მიიღეს ალბომი ი. გედევანიშვილის პიესის „სინათლისა“ და „პატარა მურია“ სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დალაგებული ანდრია ყარაშვილის მიერ.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და წიგნის მაღაზია „Новая рѣчь“ **კიკნაძესთან. ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, **სამტრედიაში** წ.-კ. საზოგადოების კიოსკში **მ. კოპალეიშვილთან,** ამ სამ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტს.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

**მისამართი:** Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბასპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთ. სახლი № 4